მაია წურწუმია

სამოქალაქო საზოგადოება

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია წურწუმია

სამოქალაქო საზოგადოება
(დამხმარე სახელმძღვანელო)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

უაკ (UDC) 32.001 (0758)
წ - 897

ნაშრომში, უცხოელ ავტორებზე დაყრდნობით, გადმოცემულია სამოქალაქო საზოგადოების სასწავლო კურსში გათვალისწინებული ძირითადი ცნებების და პრობლემების ანალიზი. ყურადღება ეთმობა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მიმართულებებს საქართველოში.

წიგნი დახმარებას გაუწევს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს და საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს სამოქალაქო საზოგადოების თეორიის შესწავლასა და განხილული თემატიკის შესახებ ცოდნის შემდგომი გაღრმავების საქმეში.

რედაქტორი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალხაზ მაცაბერიძე**

რეცენზენტები: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი **სალომე დუნდუა**
ფილოსოფიის დოქტორი **ელგუჯა ქავთარაძე**

© მ. წურწუმია, 2011
გამომცემლობა „უნივერსალი", 2011
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-446-9

შინაარსი

თავი I. სამოქალაქო საზოგადოება და მისი არსი 4
1. სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე გაგება, სტრუქტურა და ნიშნები..... 4
2. არასამთავრობო ორგანიზაციები - მესამე სექტორი 12
თავი II სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის განვითარების ისტორია..... 22
1.სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის გენეზისი..... 22
2. სამოქალაქო საზოგადოების თეორიის განვითარება XX საუკუნეში..... 33
თავი III. სამოქალაქო საზოგადოება და პოსტკომუნისტური განვითარება..... 44
1. სამოქალაქო საზოგადოება კომუნისტური რეჟიმის პირობებში..... 44
2. პოსტკომუნისტური სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციები 60
თავი IV. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული განვითარება 73
1. დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება..... 73
2. სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი..... 84
1. გლობალური სამოქალაქო საზოგადოება..... 99
2. ახალი სოციალური მოძრაობები და სამოქალაქო საზოგადოება..... 108
თავი VI. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში 118
1. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მიმართულებები საქართველოში..... 118
2. არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში..... 127
სავალდებულო ლიტერატურა 136
დამატებითი ლიტერატურა 138

თავი I. სამოქალაქო საზოგადოება და მისი არსი

1. სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე გაგება, სტრუქტურა და ნიშნები

სოციალურ მეცნიერებებში სამოქალაქო საზოგადოების ცნებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ამასთან ის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა პოლიტიკის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისთვისაც. ბევრ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების იდეა დაფიქსირებულია ოფიციალურ დოქტრინებსა და საკანონმდებლო დოკუმენტებში. იგი განსაკუთრებით აქტუალური საზოგადოებრივი განსჯის საგანი გახდა ახალი დემოკრატიის ქვეყნებში. როგორც ფრანგი პოლიტოლოგი დომინიკ კოლა წერს, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან არც ერთი ტერმინი არაა ისეთი პოპულარული, როგორიც სამოქალაქო საზოგადოება და ის კვლავაც რჩება დაუსრულებელი დისკუსიის საგნად. არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ცალსახა განმარტება. ბევრი ავტორი მას განსხვავებულ კონტექსტში იყენებდა, რამაც დეფინიციათა სიმრავლე განაპირობა. თანამედროვე პირობებში თანდათანობით ხდება სამოქალაქო საზოგადოების ახალი პარადიგმის ჩამოყალიბება.

სამოქალაქო საზოგადოება ის არენაა, სადაც ადამიანები ნებაყოფლობით, სამოქალაქო ინიციატივის საფუძველზე ერთიანდებიან, მოქმედებენ სახელმწიფოსაგან ავტონომიურად და ახორციელებენ კოლექტიურ ძალისხმევას საერთო ინტერესების განსახორციელებლად. სამოქალაქო საზოგადოება არ წარმოადგენს ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურას, თუმცა თავის თავში მოიცავს სხვადასხვაგვარ კავშირებს, გაერთიანებებს, ასოციაციებს. სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მისია მოქალაქეთა ინტერესების არტიკულაცია და მათი უფლებების დაცვაა. ამასთან აღსანიშნავია,

რომ თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრებით, სამოქალაქო საზოგადოება დასავლური ლიბერალურ დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარების პროდუქტია, ამიტომ მოქალაქეთა ინტერესები და მოთხოვნილებები, რომელთა დასაცავადაც მოწოდებულია სამოქალაქო საზოგადოება, არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ლიბერალურ დემოკრატიულ პრინციპებს. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ხშირად კონკრეტული საზოგადოების ან ქვეყნის დემოკრატიულობის კრიტერიუმია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე აშშ-ში, ტრადიციულად არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რასაც მეტწილად განაპირობებს დასავლური მენტალიტეტი, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებების და ინდივიდუალიზმის იდეას. რაც შეეხება აღმოსავლეთის ქვეყნებს, აქ ისტორიულად წინა პლანზე იდგა სახელმწიფოს ინტერესები, მოქალაქეების სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების იდეა, ამიტომაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები აქ შედარებით სუსტადაა განვითარებული.

სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთი დემოკრატიული პრინციპების არსებობა როგორიცაა საზოგადოებრივი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საკუთრების, სიტყვის, ასოციაციების თავისუფლება, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა განსაკუთრებით ვლინდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება ცდილობს დაარღვიოს მოქალაქეთა ტრადიციული უფლებები. იგი თამაშობს ერთგვარი შემაკავებელი ბერკეტის როლს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების საწინააღმდეგოდ. სამოქალაქო ინსტიტუტების აქტიური ფუნქციონირება, ეგალიტარულ ინსტიტუტებში მოქალაქეთა ჩართულობა უზრუნველყოფს ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის და სოციალური პოლიტიკური ინსტიტუ-

ტების დემოკრატიულ ხასიათს. სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად მოიაზრებენ როგორც „პოზიტიური თავისუფლების“ (ტერმინს იყენებენ კოენი დ არატო) საზოგადოებას, რომლის შიგნითაც ადამიანებს შეუძლიათ კოლექტიურად განიხილონ საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ, იმოქმედონ შეთანხმებულად, წარმოადგინონ ახალი იდეები, ზეგავლენა მოახდინონ ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. სამოქალაქო საზოგადოება იქმნება, როგორც დემოკრატიული და ლიბერალური პრინციპების რეალიზაციის სფერო.

სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს ცნება არ ხვდება ოჯახის, ბიზნესის და სახელმწიფოს სფეროებში. სამოქალაქო საზოგადოება განსხვავდება პოლიტიკური საზოგადოებისაგან იმით, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვება და განხორციელება. ის ასევე არ მოიცავს ეკონომიკურ საზოგადოებას, ბიზნეს ფირმებს, რომელთა პირველადი მიზანია მოგება. თუმცა სამოქალაქო საზოგადოება ხშირად ცდილობს დაამყაროს გარკვეული ინტერაქტიული ურთერთობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საზოგადოებასთან. სამოქალაქო საზოგადოება გამორიცხავს ინდივიდუალური და ოჯახური ურთიერთობის ფორმებს, ასევე გართობას, დასვენებას, რელიგიურ თაყვანისცემას.

ტრადიციული საზოგადოებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო ტიპის საზოგადოებაში ადამიანთა შორის კავშირების დამყარების საფუძველია არა მხოლოდ კერძო, ნათესაური, მეგობრული ან მეზობლური კავშირები, არამედ საერთო ინტერესები და მოთხოვნილებები. სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს საერთო აქტივობას, რომელიც ადამიანთა ფართო წრეებს მოიცავს, სადაც ადამიანები ამავე დროს არიან მოქალაქეები, აღჭურვილნი უფლებებით, მოქალაქეობრივი მოვალეობებით, გარკვეული მორალური ნორ-

მებით, პირადი ღირსების გრძნობით, სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებისადმი პატივისცემით. მათ საკუთარი ინტერესები გააჩნიათ, რომელიც გააზრებულია უფრო ღრმა საზოგადოებრივი ინტერესების ჭრილში, ერთიანდებიან სხვა, ანალოგიური ინტერესების მქონე მოქალაქეებთან, რათა გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები, დაიცვან და დაიკმაყოფილონ საკუთარი მიზნები და მოთხოვნილებები. პირდაპირი დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად სამოქალაქო ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოვიდნენ ინიციატივით ქვევიდან, მიაღწიონ გარკვეულ ცვლილებებს, თავიდან აიცილონ ნეგატიური მოვლენები.

სამოქალაქო საზოგადოება გაცილებით ეფექტურად ვითარდება, როდესაც ამისათვის შესაბამისი პირობები იქმნება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საკუთრების, სიტყვის, ასოციაციების თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა, მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფა კერძო საკუთრების ფლობის ნიადაგზე, საზოგადოების წევრებს შორის ფართო კავშირების არსებობა, ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, ხელისუფლების ნაწილის გადაცემა თვითმართველობის ორგანოებისათვის. ასეთ პირობებში სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები მოქმედებენ, როგორც საზოგადოების დაქირავებული მუშაკები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია, ნიჭი და უნარი გადაწყვიტონ საზოგადოების პრობლემები. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახები შესაძლოა არსებობდეს არადემოკრატიული რეჟიმის პირობებშიც, ამ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ავტონომიურობა არ არის სამართლებრივად გაფორმებული, მაგრამ მათი არსებობა გასათვალისწინებელია არაფორმალური, კერძო კავშირების სახით.

სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების არსებობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ ასევე იქ, სადაც მოქალაქეთა ინი-

ციატივების ერთობლიობა, სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, გარკვეულ ავტონომიურობას ინარჩუნებს. სამოქალაქო საზოგადოება, როგორც რ. დარენდორფი მიიჩნევს,შეიძლება ყოველთვის არ იყოს კანონიერი. ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, კანონები კი ეწინააღმდეგება ლიბერალურ, სამოქალაქო ღირებულებებს.

სამოქალაქო საზოგადოება თავისუფალი ინდივიდების ერთიანობაა, რომელთაც გააჩნიათ კერძო საკუთრება და ის საშუალებები, რომელიც ადამიანს ესაჭიროება ნორმალური არსებობისათვის. ის თავისუფალია აირჩიოს საკუთრების ფორმა, პროფესია, შრომის სახე და თვითონვე განაგოს საკუთარი შრომის შედეგი. განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების პირობებში ადამიანი ნაკლებად არის დამოკიდებული საკუთარ სოციალურ გარემოცვაზე, ან ახლობლების წრეზე. მას შეუძლია იარსებოს ავტრონომიურად, დაამყაროს კავშირები არა მხოლოს სისხლით ნათესავებთან და ახლო მეგობრებთან, არამედ სრულიად უცხო ადამიანებთან საერთო ინტერესების და მოთხოვნილებების საფუძველზე. ინდივიდის თავისუფლების პოლიტიკური ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ ის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია, შეუძლია გახდეს პოლიტიკური პარტიის წევრი, გამოვიდეს არსებული ხელისუფლების კრიტიკით, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ან არ მიიღოს არჩევნებში.

სამოქალაქო საზოგადოება ღია სოციალური განათლების სფეროა - უზრუნველყოფილია სიტყვის თავისუფლება, კრიტიკის თავისუფლება, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მიღების და გაცვლის შესაძლებლობა, ქვეყნიდან თავისუფალი გასვლა, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გაცვლა-გამოცვლა. უცხოეთის კულტურულ და სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

სამოქალაქო საზოგადოება პლურალისტული სისტემაა. ის მოწოდებულია დააკმაყოფილოს ყველაზე განსხვავებული მოთხოვნები და ინტერესები. პლურალიზმი გამოიხატება ყველა სფეროში:

ეკონომიკური - საკუთრების სხვადასხვა ფორმები (კერძო აქციონერული, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი)

სოციალურ-პოლიტიკური - საზოგადოებრივი განათლების ფართო განვითარებული ქსელის არსებობა.

სულიერი — მსოფლმხედველობის თავისუფლების უზრუნველყოფა, იდეოლოგიური მოტივებით განპირობებული დისკრიმინაციის გამორიცხვა, ტოლერანტული დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიების, განსხვავებული შეხედულებების მიმართ.

სამოქალაქო საზოგადოება თვითგანვითარებადი და თვითმართვადი სისტემაა. საზოგადოების დინამიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მოქალაქეთა ინიციატივა, როგორც გაცნობიერებული და აქტიური მოღვაწეობა საზოგადოების საკეთილდღეოდ, შესაბამისობაში ისეთ სამოქალაქო კატეგორიებთან, როგორიცაა სამოქალაქო ვალი, სამოქალაქო სინდისი, სამოქალაქო ცნობიერება.

სამოქალაქო საზოგადოება ესაა სამართლებრივი დემოკრატიული საზოგადოება, სადაც მოქმედებს კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება. სამართლებრივი სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შედეგი და მისი დამხმარე შემდგომი სრულყოფის პროცესში.

სამართლებრივი სახელწიფოს პირობებში არსებობს გარანტია, რომ წარმოქმნილი წინააღმდეგობები გადაიჭრება სამართლებრივი და ცივილიზებული გზით. სოციალური კატაკლიზმების გამორიცხვის გარანტია საზოგადოების

არაძალადობრივი, თანდათანობითი განვითარების გარანტია.

საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე, შესაბამისად იზრდება სამოქალაქო კულტურის გარკვეული დონით არსებობის მნიშვნელობა. სამოქალაქო კულტურის ცნება ასახავს ინდივიდების მიერ საზოგადოებრივი ამოცანების, პრობლემების გააზრების, ასევე მათი სოციალური აქტიურობის ხარისხს.

მოქალაქე, რომელიც მოქმედებს სამოქალაქო კულტურის ფარგლებში, არ არის მუდმივად პოლიტიკური პროცესების მონაწილე, მაგრამ აქტიურად ადევნებს თვალყურს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს პოლიტიკაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია მობილიზება გაუკეთოს საკუთარ სოციალურ გარემოცვას პოლიტიკური მიზნებით. ალმონდი და ვერბა ამ პროცესს უწოდებენ პოტენციური ზეგავლენის რეზერვს.

სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია თავისუფალი, გათვითცნობიერებული, ცივილიზირებული და აქტიური მოქალაქეები, რომლებიც ერთიანდებიან და ვითარდებიან სახელმწიფოს დახმარების გარეშე. ასეთი გაერთიანების წევრობა ყოველი მათგანისათვის ინდივიდუალური არჩევანია. საკუთარი ინტერესების განხორციელების მიზნით კოლექტიური მოქმედების კულტურა არ გულისხმობს მოქალაქეთა მხრიდან საკუთარი ინდივიდუალიზმის დაკარგვას. მოქალაქე ინარჩუნებს საკუთარ პოზიციას, მაგრამ ამავე დროს ტოლერანტულია განსხვავებული აზრის მიმართ, პატივს სცემს ადამიანთა მრავალფეროვან ინტერესებს. რომელთა გამოხატვისა და რეალიზაციის სფეროა სამოქალაქო საზოგადოება. ასეთი მდგომარეობის მიღწევა მოითხოვს ტრადი-

ციული მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციას და ზოგადად მოქალაქის საზოგადოებრივი სტატუსის შეცვლას.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოება არაა საზოგადოებრივი აქტივობის ერთჯერადი გამოვლინება, არამედ გულისხმობს გაზიარებული ღირებულებების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობების დინამიურ განვითარებას. როგორც ჰოვარდი აღნიშნავს, სამოქალაქო საზოგადოება არაა მასების მობილიზაციის ნებისმიერი ფორმა, არამედ მოითხოვს წევრობას და მონაწილეობას ორგანიზებულ ჯგუფებში, კლუბებსა თუ ასოციაციებში. იგი სამოქალაქო საზოგადოებას არ მიაკუთვნებს სპონტანურ დემონსტრაციებს და მასობრივ გამოსვლებს, ასევე იმ ორგანიზაციებს, სადაც წევრობა არ არის ნებაყოფლობითი, ან როდესაც ისინი არ არიან სახელმწიფოსაგან ავტონომიურები. ამ შემთხვევაში ჰოვარდს მოყავს საბჭოთა პროფკავშირების მაგალითი.

სამოქალაქო საზოგადოების სფეროს ვერ მივაკუთვნებთ ასევე ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც თითქოს გარეგნულად შეესაბამებიან სამოქალაქო საზოგადოების ძირითად განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც ადამინები ერთიანდებიან საერთო ინტერესებისა და მოთხოვნილებების საფუძველზე, მაგრამ ეს ინტერესები ეწინააღმდეგება ლიბერალურ დემოკრატიული ნორმებსა და ღირებულებებს. მკვლევარები ასეთი ორგანიზაციების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „არასამოქალაქო". ამდენად სამოქალაქო ინსტიტუტებად ვერ მივიჩნევთ ექსტრემალურ ჯგუფებს, რელიგიურ ფუნდამენტალისტებს, ეთნიკურ შოვინისტებს, ვინაიდან ისინი ცდილობენ სოციალური სივრცის მონოპოლიზებას, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოების პლურალისტულ და ბაზარზე ორიენტირებულ ბუნებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „Civil society: measurement, evaluation, policy", Anheier, helmut k, Published London: Earthscan 2004

2.„Civil Society and the Development of Democracy", larry Diamond, Estudio\working paper, June 1997

3.Howard Marc Morje, The weakness of Civil Society in Post-Communist Europe, Cambridge University Press. 2003

4.Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. – М.: Издательство «Весь Мир», 2003

2. არასამთავრობო ორგანიზაციები - მესამე სექტორი

არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში. მკვლევართა უმეტესობის მიერ მიჩნეულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ნაწილია, მისი ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას და ზოგადად, დემოკრატიული პროცესების განვითარებას. ამავე დროს სამოქალაქო საზოგადოებას არცთუ იშვიათად განსაზღვრავენ როგორც „არასამთავრობო ორგანიზაციების ხშირ ქსელს", ან მესამე სექტორს, როგორც ცალკე მდგომ ერთეულს, მთავრობას - პირველ სექტორსა და ბიზნესს - მეორე სექტორს შორის.

სანამ მესამე სექტორის არსის განსაზღვრას შევუდგებოდეთ, უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსები კოენი და არატო, მიუთითებენ საზოგადოების

სამწევრიან მოდელზე: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამოქალაქო საზოგადოება. საზოგადოების პოლიტიკური ასპექტი მოიცავს მთავრობებს, კანონებსა და პოლიტიკური ინსტიტუტებს, ეკონომიკური საზოგადოება ეს არის ბიზნესის სფერო, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგი შედგება ნებაყოფლობითი ჯგუფებისაგან, რომლებიც იმართება გაზიარებული სამოქალაქო ნორმების მეშვეობით. ჯ.ფიშერი წერს, რომ საზოგადოება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სკამი, რომელსაც აქვს სამი ფეხი. პირველი მათგანი, მთავრობის შტო, ქმნის საჯარო კაპიტალს, ბიზნესი ქმნის საბაზრო კაპიტალს, ხოლო მესამე სექტორი ქმნის სოციალურ კაპიტალს.

მესამე სექტორი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც იქმნება სამოქალაქო ინიციატივებზე დაფუძნებული არასახელმწიფოებრივი, არაკომერციული ორგანიზაციებისაგან. მთელ მსოფლიოში ეს ორგანიზაციები სხვადასხვა სახელით იხსენიება: არასამთავრობო, არაპოლიტიკური, არასამეწარმეო, არაკომერციული, არამომგებიანი და ა.შ. დროთა განმავლობაში ტერმინოლოგია მათი მისამართით შეიცვალა. 1910 წელს, როდესაც 132 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ გადაწყვიტა ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, გაერთიანების შემდეგ მათ დაერქვათ საერთაშორისო ასოციაციები. ერთა ლიგა ოფიციალურად იხსენიებდა მის კავშირს კერძო ორგანიზაციებთან (Private Organizations), იმ დროს ეს გაერთიანებები თავიანთ თავს უწოდებდნენ საერთაშორისო ინსტიტუტებს, საერთაშორისო კავშირებს ან უბრალოდ საერთაშორისო ორგანიზაციებს. 1945 წლის შემდეგ, გაეროს ურთიერთობის აღსანიშნავად საერთაშორისო ორგანიზაციებთან, შემოღებულ იქნა ახალი ცნებები. ისინი მოხსენიებულნი არიან როგორც NGO (ინგლისური განსაზღვრების Non Governmental Organization-ის აბრევიატურა) გა-

ეროს წესდების 71 პუნქტში. შეიძლება ითქვას, რომ NGO გახდა გაეროს ტექნიკური ჟარგონი. ამ ტერმინმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა 1970-იანი წლებიდან. ეს სოციალური ფენომენი გახდა საზოგადოებრივი დისკუსიების და პოლიტიკური პროგრამების საგანი. 1990-იანი წლებიდან კი აშშ-ში უკვე დარეგისტრირებული იყო 1 მილიონამდე არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაცია.

არ არსებობს NG-ების ზოგადად მიღებული განმარტება, ტერმინს აქვს სხვადასხვა კონოტაცია სხვადასხვა ვითარებაში. თუმცა არსებობს რამდენიმე ფუნდამენტური თვისება, რომლებიც უნდა ახასიათებდეს არასამთავრობო ორგანიზაციებს: დამოუკიდებლობა, ნებაყოფლობითობა, არამომგებიანი ხასიათი. NGO უნდა იყოს დამოუკიდებელი ნებისმიერი მთავრობის პირდაპირი კონტროლისაგან, თუმცა ზოგ შემთხვევებში მთავრობები ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ მათზე ცალკეულ სფეროებში, ასევე აარსებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მხარს უჭერენ მათ პოლიტიკას. ასეთ გაერთიანებეს უწოდებენ გონგოებს (GONGO – Government Organized NGO).

ავტორიტარულ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება შეიძლება ჩაერიოს კერძო სფეროებში, დაარღვიოს საზოგადოების წევრების ავტონომიურობა NGO-ებისთვის ძნელია დამოუკიდებლობის შენარჩუნება. არასამთავრობო ორგანიზაციებს ნორმალური ფუნქციონირებისათვის, იმისათვის, რომ შეძლონ საკუთარი პროექტების და პროგრამების განხორციელება, ესაჭიროებათ ფინანსური სახსრები. მათი დაფინანსება ძირითადად ხორციელდება სხვადასხვა ფონდების მიერ გაცემული გრანტებით, კერძო შემოწირულობებით, საწევრო გადასახადებით.

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დამოუკიდებლები არიან სახელმწიფო ხელისუფლებისა-

გან, ზოგიერთი მათგანი მზადაა მიიღოს ასევე საბიუჯეტო დაფინანსებაც. თუმცა არსებობს გავრცელებული სტერეოტიპი, რომ მთავრობის დაფინსანსების მიღების შემთხვევაში ისინი მოექცევიან მთავრობის კონტროლ ქვეშ. ადამიანების უფლებების სფეროში ეს დააზიანებს მათ იმიჯს და დამოუკიდებლობას. მაგალითად ადამიანის უფლებათა დამცავი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანზაცია „Amnesty International"-ი უარს აცხადებს ნებისმიერი მთავრობის მხრიდან ფინანსური სახსრების მიღებაზე და მხოლოდ საწევრო შემოწირულობებს ეყრდნობა. ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა გარემოს დაცვა, უპატრონო ბავშვებზე ზრუნვა, მოხუცების, ინვალიდების დახმარება, სხვადასხვა კვლევების ჩატარება და ა.შ. შესაძლოა დაფინანსდნენ სახელმწიფო სახსრებითაც. მაგალითად, ამერიკელი მკვლევარი ლ. დაიმონდი მათთან მიმართებაში იყენებს ტერმინს „კვაზი-სამთავრობო".ის აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მათგანს ეწოდება „კვაზისამთავრობო", რადგანაც ისინი ძირითადად მთავრობის მხრიდან ფინანსდებიან, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედებენ.

არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც აღვნიშნეთ, არ არიან მოგებაზე ორიენტირებული. ისინი ეხმარებიან ერთმანეთს, უწევენ სამსახურს სხვა ადამიანებს მოგების გარეშე. მიღებული სახსრები არ ნაწილდება ორგანიზაციის წევრებს შორის, არამედ უნდა ჩაიდოს ორგანიზაციის მისიაში. გრანტის მიმღები ორგანიზაცია არ არის თავად ფინანსურად დაინტერესებული გრანტის სამუშაოს შესრულების შედეგში ან მიღებული თანხის რაოდენობაში, ვინაიდან პროექტში დასაქმებული სპეციალისტები იღებენ კონკრეტულ გასამრჯელოს, თანხის უდიდესი ნაწილი კი მოხმარდება პროექტის მისიას და მის სამიზნე ჯგუფს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები მოხალისეები არიან, რომლებიც თავიანთ ძალისხმევას საერთო

მიზნებისათვის ახორციელებენ ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე.

არასამთავრობო ორგანიზაციების აუცილებელ მახასიათებლებს შორისაა მისი არაძალადობრივი და არაკრიმინალური ხასიათი. ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ ძალადობრივი გზით მიაღწიონ საერთო მიზნებს ან ატარებენ ორგანიზაციის შიგნით კრიმინალურ ელემენტებს, ვერ ჩაითვლებიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებად. ასეთებია ის ორგანიზაციები, რომლებიც ქადაგებენ ძალადობას, აღვივებენ ეთნიკურ შუღლს, პატივს არ სცემენ ადამიანის უფლებებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში შეესაძლოა გამოიკვეთოს პოლიტიკური ინტერესები, მაგრამ ეს გულისხმობს მხოლოდ არსებულ სისტემაზე ან პოლიტიკურ ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენას და არა მის განხორციელებას. სწორედ ეს თვისება განასხვავებს არასამთავრობო ორგანიზაციებს პოლიტიკური პარტიებისგან, რომელთა მიზანია არა მხოლოდ ხელისუფლებაზე ზეგავლენა, არამედ ხელისუფლებაში მოსვლა.

ადამიანები, რომლებიც ქმნიან და წევრიანდებიან არასამთავრობო ორგანიზაციებში მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებით, ინფორმირებულობით, საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ინტერესით, მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის ფლობით გამოირჩევიან. მესამე სექტორი ეს არის პოლიტიკური დემოკრატიზაციის და სოციალური რეფორმების მოთხოვნილების და განვითარების ბუნებრივი შედეგი. ის ადამიანები, რომლებიც გააცნობიერებენ საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს, პოულობენ სხვა, ანალოგიური ინტერესების მქონე ადამიანებს, საკუთარი ძალისხმევის ინტეგრაციისათვის და ეძებენ კონკრეტულ გზებს მათი გადაჭრისათვის.

როგორც კვლევები გვიჩვენებს, მესამე სექტორი ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფუნქციებს საზოგადოებაში. მაგალითად ჰელმუტ კ. ანჰეიერი, თავის ნაშრომში „მესამე სექტორი: არამომგებიანი ორგანიზაციების შედარებითი კვლევები„ საუბრობს, როგორ უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ადამიანთა მომსახურებას, მათ დახმარებას, ინფორმაციის გაცვლას, ამკვიდრებენ პლურალიზმსა და ტოლერანტობას, თავიანთი წვლილი შეაქვთ ხელოვნების, განათლების სფეროების განვითარებაში, ატარებენ კვლევებს და აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკის ფორმირებაში ლოკალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზეც კი.

მკვლევართა აზრით, სახელმწიფოს ყოველთვის არ ძალუძს გადაწყვიტოს პრობლემები, რომელიც საზოგადოებაში წარმოიშობა, მესამე სექტორი ხშირად უფრო კვალიფიციურია მათ გადაწყვეტაში. მთავრობას შეუძლია გონივრულად გადააბაროს თავისი ფუნქციების ნაწილი არასამთავრობო სექტორს. ამ შემთხვევაში არასამთავრობო სექტორი შეიძლება მთავრობის ეფექტური პარტნიორი გახდეს საერთო მიზნების მიღწევის საქმეში. არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება წარმოვიდგინოთ ასევე, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფო აგენტების ალტერნატივა, რომლებიც ადამიანებს სამსახურს უწევენ უფრო მოქნილად, ნაკლები ბიუროკრატიზმის ელემენტებით. ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები იწვევენ არასამთავრობო ორგანიზაციებს სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად, კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად, საკანონმდებლო ინიციატივების შესამუშავებლად. ისინი ახორციელებენ ერთობლივ განხილვას, ქმნიან სამუშაო ჯგუფებს კონკრეტული ღონისძიებების ჩასატარებლად. მ ყველაფრის მიზანია საზოგადოებრივი პრობლემების უფ-

რო ეფექტური გდაჭრა, სახელმწიფო რესურსების დაზოგვა და სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფოს შორის ურთიერთკავშირის დამყარება, რაც სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს.

მესამე სექტორს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არამარტო შეაქვთ საკუთარი წვლილი ეკონომიკურ განვითარებაში, ამცირებენ სოციალურ დაძაბულობას სამუშაო ადგილების შექმნით, ასევე მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ სოციალური დახმარების სფეროში. მაგალითად საფრანგეთში, ბავშვებთან მუშაობის პროგრამები ადგილობრივ დონეზე ხორციელდება ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. არსებობს მყარი პროგნოზი, რომ მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში კიდევ უფრო გაიზრდება.

მესამე სექტორი საზოგადოების დემოკრატიული მოწყობის აუცილებელი ელემენტია, რომლის ბაზისსაც საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს. თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია არ შემოიფარგლება მხოლოდ არჩევნების ჩატარებით, ის ხანგრძლივი პროცესია, სადაც ადგილი აქვს დებატებს - პოლიტიკური პარტიები, მედია, საზოგადოება სვამენ კითხვებს პოლიტიკური დღის წესრიგის შესახებ, დემოკრატიული პროცედურები კი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხორციელდება. არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ მედიატორის როლს სახელმწიფოსა და რიგით მოქალაქეებს შორის. ისინი ქმნიან დამატებით არხებს საზოგადოების მრაველფეროვანი და კომპლექსური მოთხოვნილებების გამოსახატავად და მათთვის გარკვეული მიმართულების მისაცემად. არასამთავრობო ორგანიზაციები ქმნიან მოტივაციას, რომ ინდივიდმა იმოქმედოს, როგორც მოქალაქემ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში და არა უბრალოდ დამორჩილდეს და ელოდოს სახელმწიფო ხელისუფლებისაგან გარკვეული წყალობის მიღებას.

NGO-ების მოღვაწეობის არეალი ფართოა: საქველმოქმედო, ადამიანის უფლებების დამცავი, განვითარებაზე ორიენტირებული, სამეცნიერო, კულტურული, ეკონომიკური, ჯანდაცვა, კონფლიქტების გადაჭრა, მარგინალური ჯგუფების ჩართვა პოლიტიკაში, ნაკლებად უზრუნველყოფილი პირების დახმარება, ინვალიდებზე, უმუშევრებზე ან ზოგადად იმ ადამიანებზე ზრუნვა, რომელთაც ფიზიკური ან ინტელექტუალური თავისებურებების გამო არ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა, მშვიდობის, თანხმობის განმტკიცება, გარემოს, შენობა-ნაგებობების დაცვა და სხვა. არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ხალხის საზრუნავი გააცნონ მთავრობას, მონიტორინგს უწევენ პოლიტიკას, ახორციელებენ პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირებას, ავრცელებენ ინფორმაციას. ისინი შეიძლება იყვნენ კონკრეტულ ამოცანაზე ორიენტიებულნი ან შეიქმნან რომელიმე განსაკუთრებული საკითხის გადასაწყვეტად. NGO-ები ხშირად ახორციელებენ მოვლენების ანალიზს, ექსპერტიზას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქმნება მისი წევრების საერთო ინტერესების და მიზნების მისაღწევად, მოქალაქეების უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ეს მიზნები და ინტერესები უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივ და არა პირად სიკეთეს. მაგალითად, გამორიცხულია არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის საფუძველი გახდეს ადამიანთა ისეთი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება, როგორიცაა პირადი გართობა, დასვენება, ოჯახის წევრების დახმარება, პირადი კავშირების დამყარება და ა.შ. სამოქალაქო გაერთიანებების მოღვაწეობის შედეგით სარგებლობის საშუალება უნდა ქონდეთ ადამიანთა უფრო ფართო წრეს. ამ შემთხვევაში პირადი ინტერესების გააზრება ხდება ღრმა საზოგადოებრივი ინტერესების ჭრილში.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციათა სტრუქტურას, კლასიკური მოდელია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები. ისინი შეიძლება დაკომპლექტებულნი იყვნენ მოქალაქეთა ვიწრო ჯგუფით ან ათასობით წევრი და მხარდამჭერი ყავდეთ. შესაძლოა არასამთავრობო ორგანიზაციებს ქონდეთ საკუთარი ქსელი, ფილიალები რეგიონებში. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, დედაქალაქში არის შტაბბინა, რომელიც არეგულირებს რეგიონალურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობას. NGO-ები შეიძლება გაერთიანდნენ კოალიციებად, მაშინ როდესაც მათ სურთ ზეგავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკაზე და გააერთიანონ საკუთარი ძალისხმევა საერთო პრობლემების უფრო ეფექტურად გადასაჭრელად.

არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მოქმედებენ საერთაშორისო დონეზე. ისინი ძალიან ხშირად ეხმარებიან განვითარებად ქვეყნების მოსახლეობას. დღესღეობით საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი დაახლოებით 40 ათასია, ეროვნულ დონეზე მოქმედი ორგანიზაციები კი ბევრ ქვეყანაში კიდევ უფრო მეტია. უფრო და უფრო მეტი მკვლევარი მიუთითებს საზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციათა როლის ზრდის მზარდი ტენდენციის შესახებ. როგორც სამოქალაქო საზოგადოების მკვლევარი ჰელმუტ კ. ანჰეიერი მიიჩნევს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სწრაფი ზრდა, მიუხედავად მისი უფრო ადრეული წარმოშობისა, შეიძლება ჩაითვალოს მე-20 საუკუნის დიდ სოციალურ ინოვაციად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Article xx of the United Nations Charter, from the website www.city.staff.ac.uk/p.willetts/UN/CHARTER.HTM

2. J. Fisher (1998, *Nongovernments. NGOs and the Political Development of the Third World*, West Hartford: Kumarian Press

3. Lester salamon and Helmut Anhaier `The Civil Society Sector in Society~, vol.34 N.2 jan. Feb. 1997, p.60

4. The Third sector: comparative studies of nonprofit organizations / editors, Helmut K. Anheier and Wolfgang Seibel

თავი II სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის განვითარების ისტორია

1. სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის გენეზისი

სამოქალაქო საზოგადოების ცნებას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. მისი კონცეპტუალური ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში ბევრჯერ შეიცვალა მნიშვნელობა. კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა გავლენიანი ფილოსოფოსები ცდილობდნენ განესაზღვრათ, თუ როგორ უნდა მოახერხონ ადამიანებმა ერთობლივად საკუთარი ინდივიდუალური საჭიროების დაკმაყოფილება და კოლექტიური მიზნების მიღწევა. მიჩნეულია, რომ ყველაზე უკეთ ეს შესაძლებელია იქ, სადაც საზოგადოებაში ერთმანეთს ეპყრობიან „სამოქალაქო" წესებისა და ნორმების გათვალისწინებით.

სამოქალაქო საზოგადოების იდეა, როგორც ნორმატიული იდეალი და ღირებულებათა სისტემა, გვხვდება ჯერ კიდევ არისტოტელესა და ციცერონის ნაშრომებში, რომლებიც აღნიშნულ ცნებას ვერ ანსხვავებდნენ პოლიტიკური საზოგადოებისგან, რადგანაც იმ დროს ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება განუყოფელი იყო პოლისისაგან. ძველი ბერძენი მოაზროვნე არისტოტელისთვის (ძვ.წ.აღ. 384-322) პოლისის, სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ცნებები სინონიმებია. მათი საფუძველია მოქალაქე, რომელიც არისტოტელეს მიხედვით პოლიტიკური ცხოველია — „Zoon Politikon". სახელმწიფო კი მოქალაქეთა საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივი პროდუქტი. იგი მოქალაქის ცნებას აიგივებს სასამართლოსა და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლებასთან. სწორედ ასეთი უფლების მქონე მოქალაქეებისაგან შედგებოდა „Politice Coinonia" - პოლი-

ტიკური გაერთიანება, რომლის კალკადაც ლათინურ ენაზე გვევლინება „Societas Civilis“ - სამოქალაქო საზოგადოება. პოლისის წევრობა ნიშნავდა ყოფილიყავი მოქალაქე, სახელმწიფოს წევრი და ვალდებული გეცხოვრა და გემოქმედა მისი კანონების შესაბამისად. სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსები ჯ. ლ. კოენი და ე. არატო არისტოტელეს „Politice Coinonia“ განსაზღვრავენ, როგორც თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეების საჯარო ეთიკურ-პოლიტიკური გაერთიანებას, რომელიც არსებობდა კანონზე დაფუძნებული მართვის სისტემის პირობებში. არისტოტელეს მიხედვით, მოქალაქეთა სუვერენობის საფუძველი არის კერძო საკუთრება. ვინც არ ფლობს კერძო საკუთრებას, არ არის სრულყოფილი მოქალაქე.

პოლიტიკური მეცნიერების ფუძემდებლად მიჩნეული ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთ ასპექტზე. იგი თვლიდა, რომ ადამიანის სულის უმაღლესი გამოხატულებაა სახელმწიფო, ხოლო ცხოვრების აზრი და ბედნიერება - სახელმწიფოს სამსახური. მაკიაველი აცხადებს, რომ მთავარი კარგად შეძლებს მართვას, თუკი არ ხელყოფს ქვეშევრდომთა სიცოცხლეს და საკუთრებას. მიუხედავად იმისა, რომ მთავარს შესწევს ძალა მართოს ქვეშევრდომები შიშისა და ძალადობის მეშვეობით, მან უნდა დაიცვას საზოგადოების პირადი და ქონებრივ უფლებები, რათა არ გააღვივოს მოქალაქეებში სიძულვილი. იგი მოსაზრებებს გამოთქვამს ასევე ადამიანთა მოღვაწეობის არაპოლიტიკური სფეროების შესახებაც, როგორიცაა შრომა, ოჯახი, სიყვარული, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ქრისტიანობამ, რომელიც მე-4 საუკუნეში გახდა რომის იმპერიის ოფიციალური რელიგია, დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების მოაზროვნეთა შეხედულებებზე. ეკლესია და სახელმწიფო არწმუნებდნენ ადამიანებს, რომ ღვთის ნე-

ბისადმი მორჩილება აუცილებელი იყო, რათა შეემსუბუქებინათ ის ტკივილი და ტანჯვა, რაც პირველი ცოდვის ჩადენის გამო წილად ხვდა ადამიანებს. სწორედ ეს აზრი ედო საფუძვლად იმ დროინდელ სახელმწიფოს კანონებსა და წყობას. ნეტარი ავგუსტინე თავის ნაშრომში „ღვთის ქალაქი", საზოგადოების ბუნებრივ კანონებს უმორჩილებს ღვთისადმი რწმენას. მისი აზრით, ვინაიდან შეუძლებელია დედამიწაზე ღვთის ქალაქის დაფუძნება, ამიტომ აუცილებელია დამყარდეს სახელმწიფოს, იგივე სამოქალაქო საზოგადოების მმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს და მშვიდობას. ამასთან ის უპირობო უპირატესობას ანიჭებს ღვთის ქალაქს.

თომას ჰობსი (1588-1679) უკვე იყენებს ტერმინს სამოქალაქო საზოგადოება, თუმცა არათანმიმდევრულად. ჰობსის აზრით, ადამიანები ბუნებრივ მდგომარეობაში იყვნენ თანასწორნი და თავისუფალნი, მაგრამ არასაკმარის რესურსებისათვის კონკურენციის გამო ისინი ცხოვრებდნენ პირობებში „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ". შესაბამისად ადამიანთა ცხოვრება იყო განმარტოებული, ღარიბული, სასტიკი და ხანმოკლე. ჰობსი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს გარეშე ბატონობს ომები, ვნებები, შიში, სიღარიბე, მარტოობა, ველურობა, მხოლოდ სახელმწიფოს მიყავს სამოქალაქო საზოგადოება ცივილიზირებული წესრიგიკენ სამართლის საფუძველზე. იგი ახორციელებს ცალკეული ინდივიდების მოთხოვნილებების შერწყმას, მათი ინტერესების გაერთიანებას. მას შემდეგ, რაც მოქალაქეებმა გააცნობიერეს, რომ ინდივიდუალური ძალაუფლებისათვის მუდმივი ბრძოლა ზღუდავდა სოციალურ განვითარებას და სპობდა საერთო კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობას, გადაწყვიტეს მოეძებნათ ახალი საზოგადოებრივი ბაზისი, სადაც სამოქალაქო ღირსებები ეფუძნებოდა ბუნებრივ კანონებს. ითვალისწინებდა რა ეკონომიკური საქმის წარმოებისა და შეთან-

ხმებების რიცხვის ზრდას საზოგადოებაში, ჰობსი აცხადებდა, რომ სოციალური ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს თანასწორობასა და ორმხრივ ნდობას, ყოველმა ადამიანმა უნდა შეასრულოს ის შეთანხმება, რომელიც მან დადო სხვა ადამიანთან მიმართებაში. რადგანაც ადამიანებს ახასიათებთ ტყუილი, ღალატი, ამიტომაც შეთანხმების საფუძველზე უნდა შეიქმნას სახელმწიფო, რომელიც დაიცავს მშვიდობას და უზრუნველყოფს დადებული კონტრაქტების შესრულებას. სახელმწიფო უნდა იყოს მიუკერძოებელი, რათა ერთნაირად დაიცვას ყველა მოქალაქე, არ იქნას გადაჭარბებული არც ერთი ჯგუფის, ან ინდივიდის უფლება. მან არ უნდა დაუქვემდებაროს საფრთხეს საერთო მშვიდობა, თუნდაც პოლიტიკური უთანხმოების მიზეზით. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები უნდა მოქმედებდნენ, როგორც ერთი მთლიანი სხეული, რომელსაც უპირატესობა ექნება რელიგიურ დოქტრინებთან მიმართებაშიც. იგი მიიჩნევდა, რომ ცალკეულ ადამიანებს შორის სოციალური კავშირის გარანტია სუვერენული ხელისუფლება. ამავე დროს, ის სახელმწიფოს უწოდებს ლევიათანს - ბიბლიური ზღვის ურჩხულის მსგავსად, რადგანაც ის მოიცავს და იმორჩილებს ყველაფერს. ჰობსი ერთმანეთისაგან ანსხვავებს პოლიტიკურ და სამოქალაქო კანონებსა და უფლებებს.

ჯონ ლოკი (1632-1704) აქტიურად იყენებს ტერმინს სამოქალაქო საზოგადოება, თუმცა პოლიტიკური საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი სფეროს სახით ჯერ არ მოიაზრებს. მისი მტკიცებით, სახელმწიფო ხელისუფლება უნდა შეიზღუდოს, რათა იგი არ დაემუქროს მოქალაქეთა ძირითად უფლებებს. მან შემოგვთავაზა სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფის იდეა სამ ფუნქციურ კომპონენტად და ორ შტოდ, სადაც საკანონმდებლო ხელისუფლება დაკავებულია კანონების შექმნით, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება იღებს პასუხისმგებლობას კანონის განხორციელებასა და

საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე. ლოკი მიიჩნევდა, რომ მოქალაქეებს აქვთ ბუნებრივად თანდაყოლილი უფლებები. ესაა სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლება. ის მხარს უჭერდა სხვისი აზრის, რწმენის და მოქმედებისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებას. ლოკის პოზიციით სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი არის კერძო საკუთრება, ხოლო პოლიტიკურ ხელისუფლებას ის განმარტავს, როგორც ადამიანთა საკუთრების რეგულირებისა და შენახვისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს. სახელმწიფოში მოქალაქეთა გაერთიანების მთავარი მიზანი არის საკუთრების დაცვა, ამიტომაც სახელმწიფოს მიიჩნევს საზოგადოების არამუდმივ ატრიბუტად. იგი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშობა, როდესაც საზოგადოების წევრებში ჩნდება ამის აუცილებლობა. ლოკის აზრით, საზოგადოებაში კანონის დაცვის თვალსაზრისით, არც ერთ მოქალაქეზე არ უნდა გაკეთდეს რაიმე გამონაკლისი.

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ბევრ ახალ მოსაზრებებს გამოთქვამს შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755) თავის ნაშრომში „კანონთა გონი". ის სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავს, როგორც ისტორიული განვითარების რეზულტატს, როგორც ბუნებრივი მდგომარეობის შემდგომ უფრო მაღალ საფეხურს. მონტესკიეს მიხედვით საზოგადოებაში ადამიანებს შორის არსებული მტრობისა და შუღლის გასანეიტრალებლად იქმნება სახელმწიფო. იგი განასხვავებს პოლიტიკურ და სამოქალაქო კანონებს. სახელმწიფო სამართალი არეგულირებს ხელისუფლების ურთიერთობას მათთან, ვისაც ისინი მართავენ, ხოლო სამოქალაქო სამართალი არეგულირებს ურთიერთობებს საზოგადოების წევრებს შორის. მონტესკიეს მიხედვით, დიქტატურისაგან და ხელისუფლების გადამეტებისაგან დაცვის გარანტია არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და ავტონომიური სამოქალაქო

საზოგადოება. ის ასაბუთებს კანონის უზენაესობის აუცილებლობას საზოგადოებაში, ამდენად, გვევლინება სამართლებრივი სახელმწიფოს პირველ თეორეტიკოსად. მონტესკიე განსაზღვრავს თავისუფლების ცნებას, როგორც უფლებას გააკეთო ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული.

ჟან-ჟაკ რუსომ (1712-1778) გადაამუშავა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია და იგი წარმოადგინა, როგორც საშუალება, რომლითაც მოქალაქეებს შეეძლებოდათ შეექმნათ საერთო საზოგადოებრივი სიკეთე. ყოველმა მოქალაქემ ბედნიერებისაკენ სწრაფვის საკუთარი ინდივიდუალური უფლება უნდა დაუმორჩილოს ერთობის ინტერესებს საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. სახელმწიფო ის არენაა, სადაც ხდება საერთო სიკეთის დაცვა. სამოქალაქო თავისუფლება ჩნდება იქ, სადაც მოქალაქეები მზად არიან დაემორჩილონ საერთო სურვილს. რამდენადაც რიგითი ადამიანები ხდებიან კანონმდებლები, ისინი შექმნიან ისეთ კანონებს, რაც გაანეიტრალებს ინდივიდუალური სიმდიდრის ზრდას და ხელს შეუწყობს თანასწორობისა და ნდობის დამკვიდრებას. რუსოს მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება ტრანსფორმირდება სახელმწიფოდ საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, ეს აუცილებლად უნდა იყოს რესპუბლიკა-სახელმწიფო, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება გადაყენებულ იქნას მთავრობა სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნით. როგორც მონტესკიე, რუსოც განასხვავებს პოლიტიკურ და სამოქალაქო კანონებს. ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს ზნეობა, ჩვეულებები, საზოგადოებრივი აზრი. ჟ. ჟ. რუსოს მიხედვით სამოქალაქო საზოგადოება ისეთი პოლიტიკური ორგანიზმია, სადაც ადგილი აქვს როგორც მორჩილებას, ასევე თავისუფლებას. მხოლოდ თავისუფლების არსებობის პირობებში კი სახელმწიფო წარმოიშობა ანარქია და ოხლოკრატია.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის შოტლანდიელმა განმანათლებლებმა ადამ ფერგიუსონმა (1723-1816) და ადამ სმიტმა (1723-1790), ფილოსოფიური აზროვნებაში დაამკვიდრეს კაპიტალისტური მერკანტილიზმი. მათ ნაშრომებში უკვე ვხედავთ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ადამ ფერგიუსონმა შეიმუშავა „კომერციული სახელმწიფოს" საკუთარი კონცეფცია. იგი განიხილავს ფეოდალურ ბიუროკრატიასთან ბრძოლის მექანიზმებს და ასაბუთებს ძლიერი, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტის წარმოშობას, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს დახმარების გარეშე გადაჭრას ბევრი პრობლემა. ფერგიუსონი მიუთითებდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ვერ იარსებებს კერძო საკუთრების გარეშე.

ადამ სმიტის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის პრინციპის დაცვით. ინდივიდთა თავისუფლებას უზრუნველყოფს ბაზარზე თავისუფალი კონკურენცია. სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროს რეგულირება მინიმალური, მაგრამ ეფექტური უნდა იყოს. მთავრობა მოწოდებულია უზრუნველყოს ტერიტორიული მთლიანობა, ყველანაირი საშუალებით დაიცვას კერძო საკუთრების ინსტიტუტი, მიუკერძოებელი სამართალწარმოება, სამოქალაქო წესრიგი, სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი განათლება. ყველა სხვა დანარჩენი პრობლემის გადაჭრა, სმიტის მიხედვით, ევალებათ თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებიც ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას და მოქმედებენ საკუთარი უპირატესობებისა და მისწრაფებების შესაბამისად.

ემანუელ კანტი (1724-1804) კიდევ უფრო აღრმავებს სამოქალაქო საზოგადოების ხედვას. მისი აზრით, ის გამომდინარეობს ადამიანის ორმაგი ბუნებიდან. ადამიანები ერ-

თის მხრივ არიან შურიანები, მიდრეკილნი განხეთქილებისკენ, მაგრამ ამავე დროს თანხმობა სწადიათ. კანტის მიხედვით, ბუნებრივი გზა თითოეული ადამიანის თავისუფლების შეთანხმებისა სხვა ადამიანების თავისუფლებასთან, არის სამართლებრივი და სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო თანხმობის მიღწევა. კანტი მიიჩნევს, რომ სამოქალქო საზოგადოება ემყარება შემდეგ პრინციპებს: საზოგადოების წევრების თავისუფლება, სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომის თანასწორობა, საზოგადოების წევრების, როგორც მოქალაქეების დამოუკიდებლობა.

ფრიდრიხ ჰეგელმა (1770-1831) განავითარა კანტის მოსაზრებები და სამოქალაქო საზოგადოების არსის განსაზღვრაში შეიტანა პრინციპულად ახალი დებულებები. ჰეგელამდე, როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოება ცალკე სფეროდ არ გამოიყოფოდა. ჰეგელი სამოქალაქო საზოგადოებას მოიაზრებს, როგორც ავტონომიურ სფეროს, რომელიც სახელმწიფოს ნაწილი, მის შიგნით არსებული ელემენტია. ჰეგელი მივიდა დასკვნამდე, რომ სამოქალაქო საზოგადოება განსაკუთრებული სტადიაა დიალექტიკურ მოძრაობაში ოჯახიდან სახელმწიფოსაკენ ხანგრძლივი და რთული ისტორიული ტრანსფორმაციის პროცესში. ჰეგელის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება ინდივიდთა სისტემაა, რომლებიც თავიანთ მოთხოვნილებებს შრომის საშუალებით იკმაყოფილებენ. სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია კერძო საკუთრება, ინტერესების ერთობა, მოქალაქეთა თანასწორობა, ასევე პირადი თავისუფლება, „საჯაროობა“ და „საყოველთაო ინფორმირებულობა“, თავისუფლად ფორმირებადი საზოგადოებრივი აზრი, სამართლიანი კანონები. ერთადერთი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, რომელიც ჰეგელმა გაანალიზა კორპორაციები იყო. სამოქალაქო საზოგადოება, ჰეგელის თანახმად, ოჯახთან ერთად არის სახელმწიფოს ბაზისი, ამავე დროს იგი დამოკიდებულია სა-

ხელმწიფოზე და რაღაც დონით შთაინთქმება კიდეც მის მიერ. ჰეგელი აღიარებს სახელმწიფოს პრიმატს სამოქალაქო საზოგადოებასთან შედარებით, ვინაიდან მისი აზრით, ისტორიული პროგრესის მამოძრავებელი ძალა არის არა სამოქალაქო საზოგადოება, არამედ სახელმწიფო. სწორედ ის გამოხატავს აბსოლუტურ სულს, რომელიც სამყაროს განვითარებას უდევს საფუძვლად. სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლიანობას და ახორციელებს მოქალაქეთა საერთო ინტერესების დაცვას. სახელმწიფოში წარმოდგენილია მოქალაქეთა საერთო ნება, სამოქალაქო საზოგადოება კი არის ცალკეული ინდივიდების კერძო, განსაკუთრებული ინტერესების რეალიზაციის სფერო. სამოქალაქო საზოგადოება და ცალკეული ინდივიდები ემორჩილებიან სახელმწიფოს. მისი მეშვეობით ხდება ცალკეული ინდივიდების ინტეგრაცია. ჰეგელი თავის შრომებში აიდეალებს სახელმწიფოს, აძლევს მას რამდენადმე უტოპიურ შინაარსა და ფუნქციებს.

ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნე და მოღვაწე ალექსის დე ტოკვილი (1805-1859) აანალიზებს ამერიკის საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის თავისებურებებს საფრანგეთის და ევროპის სხვა ქვეყნების არისტოკრატიულ საზოგადოებებთან მიმართებაში. ცნობილ ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში" ის მიუთითებს, რომ ამერიკელებმა საკუთარი მოქმედებები დააფუძნეს ინდივიდუალიზმისა და თანასწორობის იდეაზე. თუმცა მისი აზრით, ინდივიდუალიზმზე ზედმეტი აქცენტის გაკეთება არღვევს სამოქალაქო ღირსებას და საზოგადოებას ეგოიზმისკენ უბიძგებს. ტოკვილი თვლის, რომ დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობისა და სტაბილურობისათვის აუცილებელია ფართო საჯარო მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს გამოიხატება ამერიკელების მზადყოფნაში შექმნან სხვადასხვა გაერთიანებები და ნებაყოფლობითი ასოციაციები. ინდივიდებს, მხოლოდ, როგორც რომელიმე გაერთიანების ნაწილს, შეუძლი-

ათ გააცნობიერონ, რომ კერძო ინტერესების განხორციელება ყველაზე უკეთ შესაძლებელია სხვა ადამიანების საჭიროებების გათვალისწინების ფონზე.

ტოკვილი თვლის, რომ ამერიკული პოლიტიკური სისტემის წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა მრავალრიცხოვან ადგილობრივ მთავრობებზე დაყრდნობამ, რაც უფრო მეტი ჩართულობის საშუალებას იძლეოდა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებში. ტოკვილი წერდა, რომ ამერიკული დემოკრატიის წარმატება დამოკიდებული იყო არა იმდენად მის გეოგრაფიულ თავისებურებებზე ან კანონებზე, რამდენადაც ამერიკულ ჩვეულებებსა და მორალზე. ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზმს და პოლიტიკური წყობის სტაბილურობას, ტოკვლის თანახმად, განსაზაღვრავს ამერიკული ჩვეულებები და მორალი, რაც თავის მხრივ დასაბამს იღებს საზოგადოებრივი თვითმმართველობის სიტემაში, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ამერიკაში. თუმცა ამან ვერ იხსნა ეს ქვეყანა იმ მდგომარეობისაგან, რასაც ტოკვილი „უმრავლესობის ტირანიას" უწოდებს. აქ ბატონობს საზოგადოებრივი აზრი და იშვიათად თუ ვინმე გაბედავს მის წინააღმდეგ გამოსვლას. ტოკვილმა ერთმანეთს დაუპირისპირა თავისუფლებისა და თანასწორობის ცნებები. ის მიიჩნევდა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში თანასწორობა გვევლინება უფრო დიდ საზოგადოებრივ ღირებულებად, ვიდრე თავისუფლება. ტოკვილის აზრით, თავისუფლების მოთხოვნილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილისათვის, როცა თანასწორობა ბედნიერს ხდის საზოგადოების თითოეულ წევრს.

კარლ მარქსი (1818-1883) ტერმინს სამოქალაქო საზოგადოება თავის ადრეულ შრომებში იყენებს. იგი სამოქალაქო საზოგადოებას ბურჟუაზიული სისტემის პროდუქტს უწოდებს. მას განიხილავს, როგორც ინდივიდთა მატერია-

ლური ურთიერთობის სფეროს, რომელსაც ინდივიდები ამყარებენ წარმოების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების მომავალს ის ხედავდა კოლექტივიზმში, რომელიც მისცემდა ადამიანს ყოველმხრივი განვითარების საშუალებას. სახელმწიფოს მარქსი მიიჩნევდა წარმოების საშუალებების მფლობელი გაბატონებული კლასის პოლიტიკურ ინსტრუმენტად. რადგანაც ბურჟუაზიული სახელმწიფო ასრულებდა ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ნებას, ხელს უშლიდა ავტონომიურ სუბიექტთა ურთიერთობის განვითარებას. მარქსის პოზიციით ამ წინააღმდეგობის გადალახვა შესაძლებელია ახალი კომუნისტური ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებით, სადაც თითოეული ინდივიდის განვითარება მთლიანად საზოგადოების განვითარების საფუძველია. დასავლური მარქსისტული ტრადიციის წარმომადგენელი ანტონიო გრამში (1891-1937) კი თვლიდა, რომ საბოლოოდ სამოქალაქო საზოგადოება შთანთქავს სახელმწიფოს და გადაიზრდება მასების თვითმმართველობაში.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილ მოაზროვნეთა შეხედულებების განხილვამ გვიჩვენა, ყოველი ისტორიული ეპოქა აყალიბებს სამოქალაქო საზოგადოების საკუთარ იდეალს და ქმნის შესაბამის წინაპირობებს მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის. ამდენად, შეგვიძლია ვისაუბროთ სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული ფორმების ნაირსახეობასა და მისი პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარების სხვადასხვა გზებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Civil Society: The Critical History of an Idea. By John Ehrenberg. New York: New York University Press, 1999.

2.Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. _ М.: Издательство «Весь Мир», 2003

3. Токвиль А. Демократия в Америке: Пер. с франц. Предисл. Гарольда Дж. Ласки. — М.: Прогресс, 1992.

2. სამოქალაქო საზოგადოების თეორიის განვითარება XX საუკუნეში

სამოქალაქო საზოგადოების ცნების შესწავლის პროცესში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე გარკვეული პაუზა შეინიშნება. ამის მიზეზად მკვლევარები სხვადასხვა ფაქტორებს ასახელებენ, მათ შორის ნაციონალური და კლასობრივი წინააღმდეგობების წინა პლანზე წამოწევას, ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობას, დემოკრატიული წესწყობილების დამყარებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რამაც ნაკლებად აქტუალური გახადა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის პრობლემა. უნგრული წარმოშობის ამერიკელი საზოგადოებათმცოდნე კარლ პოლანი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ პერიოდში ელიტებმა თავის თავზე აიღეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესთა ფართო სპექტრის გამოხატვა, რამაც ასევე შეასუსტა სამოქალაქო საზოგადოების როლი.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოება სრულებით არ გამქრალა სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების არეალიდან. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით სიტემატიზირება მოვახდინოთ და გადმოვცეთ სამოქალაქო საზოგადოების თეორიის განვითარების ისტორია მე-20 საუკუნეში. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ავტორებთან, როგორც

წესი, სამოქალაქო საზოგადოების ცნება ჩნდება არა დამოუკიდებელი კვლევის ობიექტის სახით, არამედ მას განიხილავენ სხვა, მასთან დაკავშირებული ცნებების ანალიზის დროს, პირველ რიგში, დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებებთან მიმართებაში.

ამერიკელი სოციოლოგი ტალკოტ პარსონსი (1902-1979) საზოგადოებას განიხილავს როგორც სისტემას, რომელიც არსებობს ბუნებრივ გარემოში და თვითშენარჩუნებას ესწრაფვის, ცდილობს საკუთარი ძირითადი პარამეტრების დაცვას, რომლებიც სისტემას ანიჭებენ წესრიგსა და ორგანიზებულობას. მისი თეორიის ბაზისია სტუქტურულ ფუნქციონალური ანალიზი. პარსონსის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოება თავის თავში ქმნის რთულ, მრავალგანზომილებიანი ქვესისტემების სტრუქტურას, ხოლო ქვესისტემების შიგნით არსებობენ სოციალური ინსტიტუტები. ქვესისტემები კონცენტრირებულია განსაზღვრული, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფუნქციების შესრულებაზე. მაგალითად ეკონომიკური ქვესისტემა პასუხობს საზოგადოების ადაპტაციას ბუნებრივ გარემოსთან, პოლიტიკური — მიზანმიმართულებას, ნორმატიული - საზოგადოების ინტეგრაციას, კულტურული ქვესისტემა ქმნის ლეგიტიმაციას. სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები განიხილება, როგორც ქვესისტემის ელემენტები, რომლებიც შეესაბამებიან სახელმწიფო დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს. რომელიმე ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედება გვაიძულებს დავემორჩილოთ მასში არსებული თამაშის წესებს.

საზოგადოება, პარსონსი მიხედვით, მუდმივად აქტიური ურთიერთქმედების პროცესში მყოფი სოციალური ელემენტების რთული სისტემა. იგი გამოდის, როგორც „სოციალური წესრიგის" მომხრე, რომელსაც მიიჩნევს საზოგადოების „ბუნებრივ ფორმად". ასეთი წესრიგისა და საზოგადო-

ებრივი თანხმობის მისაღწევად პარსონსი გვთავაზობს ორ გზას: პირველი ეს არის სოციალიზაცია, როდესაც საზოგადოებრივი ღირეულებები გადაეცემიან თაობიდან თაობაზე. მეორე არის საზოგადოებრივი კონტროლის სხვადასხვა მექანიზმების შექმნა, საზოგადოებრივი კონტროლოს დაწესება ადამიანებსა და მათ ქცევაზე.

სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსების ჯ.ლ. კოენისა და ე. არატოს აზრით, პარსონსის სოციეტალური გაერთიანების კონცეფცია, რომლის ქვეშაც იგულისხმება სფერო, განსხვავებული ეკონომიკისაგან, სახელმწიფო წყობისა და კულტურული ცხოვრებისაგან, წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ლიბერალური კონცეფციის სინთეზს, რომელიც აქცენტს აკეთებს სოციალურ ინტეგრაციაზე, სოლიდარობასა და გაერთიანებაზე.

თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი იურგენ ჰაბერმასი, 1962 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საჯარო სფეროს სტრუქტურული ტრანსფორმაცია ბურჟუაზიული საზოგადოების კატეგორიების კვლევა“, განიხილავს სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მისი კვლევის ძირითადი კატეგორია საზოგადოების „საჯარო სფეროა“, რომელშიც გულისხმობს სივრცეს, სადაც მოქალაქეებს და მათ მიერ შექმნილ ასოციაციებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთობლივად განსაჯონ და ზეგავლენა მოახდინონ თავიანთი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე, უპირველეს ყოვლისა კი ეს ეხება სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჯარო სფერო ჰაბერმასთან წარმოდგენილია იდეალური მოდელის სახით. იგი რეალობის იდეალთან შესატყვისობის დონესთან მიმართებაში გამოყოფს ბურჟუაზიული საჯარო სფეროს ევოლუციის ორ ძირითად ეტაპს: ადრეული კაპიტალიზმი და თანამედროვეობა. კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში საზოგა-

დოების, სახელმწიფოს და მედიის ურთიერთდამოკიდებულების არსის განსასაზღვრავად მას შემოაქვს ცნებები „კერძო“ და ‘საჯარო“ და ახდენს მათ შედარებას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. ჰაბერმასი აღნიშნავს, რომ ანტიკურ ეპოქაში პოლისის მოღვაწეობის სფერო საერთო იყო ყველა მოქალაქისათვის, ამავე დროს იგი მკაცრად იყო განსაზღვრული ინდივიდის კერძო ცხოვრებისაგან. შუა საუკუნეებისათვის დამახასითებელი იყო საჯაროსა და კერძო სფეროების შერწყმა.

საჯარო სფეროს განვითარებას მე-17, საუკუნეებში ჰაბერმასი უკავშირებს ბურჟუაზიის ფენის, რომელიც შედგებოდა განათლებული და საკუთრების მქონე ინდივიდებისაგან, წარმოშობასა და გაძლიერებას. ბურჟუაზიულ საჯარო სფეროს ჰაბერმასი განიხილავს, როგორც ადგილს, სადაც კერძო ინდივიდები, გარკვეული პუბლიკა იკრიბება დებატებში მონაწილეობის მისაღებად. საჯარო სფეროს აქტიურობა ვლინდება ასევე ინტელექტუალურ ჟურნალებში, გაზეთებში, პამფლეტებში იდეების გაცვლითა და გაზიარებით. ჰაბერმასის საჯარო სფეროს განუყოფელი ნაწილი გახდა ისეთი ინსტიტუტების გაჩენა, როგორიცაა სალონები, კლუბები, ყავის სახლები. საჯარო სფეროს ცენტრები იყო დიდი ქალაქები.

რაციონალურ-კრიტიკულ დებატებს, რომელიც იმართებოდა საჯარო სფეროს ფარგლებში, საფუძვლად ედო საერთო ხელმისაწვდომობა, პრივილეგიების არ არსებობა, რაციონალური დისკუსიის წესები. საჯარო სფეროს არსებობა, ჰაბერმასის მიხედვით, უზრუნველყოფდა იმასაც, რომ საზოგადოებას გაუჩნდა სახელმწიფოსთან ურთიერთობის ლეგალური პლატფორმა. საჯარო სფეროს არსებობამ განაპირობა გარკვეული ცვლილებები პოლიტიკური სისტემის შიგნითაც. წარმომადგენლობითი ორგანოები გახ-

და უფრო ღია და კონსტრუქციული სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის მიმართ.

საჯარო სფეროს ფორმირების ფუნდამენტური წინაპირობა, ჰაბერმასის აზრით, კანონმდებლობით გამაგრებული პირადი უფლებები და თავისუფლებებია. გამოიყოფა საბაზისო უფლებების რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც საჯარო სფეროს ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება უფლებები, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ რაციონალურ-კრიტიკულ დებატებში მონაწილეობას: სიტყვის, პრესის, კრებების, ასოციაციების თავისუფლება. მეორე ჯგუფში შედის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირად თავისუფლებას, საცხოვრებლის ხელშეუხებლობა და ა. შ. მესამე ჯგუფში მოიაზრება უფლებები, რომლებიც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების სფეროში კერძო საკუთრების მფლობელების აქტიურობას, კანონის წინაშე თანასწორობას, საკუთრების ხელშეუხებლობას.

ბურჟუაზიული საჯარო სფეროს განვითარებასთან ერთად გაჩნდა მისი ტრანსფორმაციის ტენდენცია. ეს უმეტესწილად განპირობებული იყო ინდუსტრიალურ ფაზაზე გადასვლითა და მასობრივი ბაზრის და საქონლის ფორმირებით. საჯარო სფეროს ისეთმა ელემენტებმა, როგორიც იყო სალონები, კაფეები, გაზეთები, შეიძინეს კაპიტალისტური საწარმოების სტატუსი. შეიცვალა მათი ფუნქციონირების მიზნები და ამოცანები. თუკი მანამდე გაზეთები მოქალაქეთა დიალოგისა და კრიტიკული დებატებისთვის უზრუნველყოფდნენ სივრცეს, ეხლა პირველ პლანზე გამოვიდა მედიის მფლობელის მხრიდან საკუთარი მოგების მაქსიმიზაციის ინტერესი.

საჯარო სფეროს ტრანსფორმაცია გამოიწვია აგრეთვე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების დომინირებული მდგომარეობის დამყარებამ საზოგადოებაში. რაციონალურ-კრიტიკული დებატების პროცესში მოქალაქეები შეც-

ვალა ისეთმა შუამავალმა, როგორიცაა მედია, რომელიც ხშირად მანიპულირებს საზოგადოებრივი აზრით და მოქალაქეებს უტოვებს მაყურებლის ფუნქციას. მასობრივი ბაზრის ჩამოყალიბებამ საჯარო და კერძო სფეროების საზღვრები თანდათანობით ნაკლებად მკაფიო გახადა. კომერციული კულტურის პროდუქტები ითვალისწინებენ მის კერძო გამოყენებას ყოველგვარი კოლექტიური დებატებისა და განსჯის გარეშე. ამდენად საზოგადოება, ჰაბერმასის აზრით, ატომიზირებული ხდება, სოციალური კავშირები სუსტდება, მოქალაქეები ხდებიან მაყურებლები. ინდივიდები გადადიან დეპოლიტიზირებულ მდგომარეობაში, სადაც რაციონალურ-კრიტიკული დებატების ცენტრში მოქცეული საკითხები უკვე კარგავენ მნიშვნელობას. მთლიანობაში, საჯარო სფეროს თანამედროვე მდგომარეობას, ჰაბერმასი განსაზღვრავს როგორც „რეფეოდალიზაციას". საჯარო სფერო უფრო და უფრო ემსგავსება პოლიტიკურ თეატრს, სადაც მაყურებლებს წარედგინებათ ახალი ამბების წინასწარ აწონდაწონილი ვარიანტები და მომხდარის მათთვის უფრო მოხერხებული ინტერპრეტაცია. მოქალაქეები ხდებიან მომხმარებლები, ხოლო პოლიტიკოსები შოუ ბიზნესის ვარსკვლავები.

სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული თეორია ეკუთვნის ჰანა არენდტს (1906-1975), რომელმაც აღნიშნულ პრობლემატიკას მიუძღვნა მთელი რიგი წიგნები და სტატიები. თავის ნაშრომში, „ტოტალიტარიზმის საფუძვლები", აღწერს იმ სოციალურ პირობებს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ნაცისტები და კომუნისტები. არენდტი საუბრობდა საზოგადოების ატომიზაციის შესახებ, რომელიც გამოწვეული იყო კლასებს შორის საზღვრების მოშლით, „რამაც მიიგვიყვანა გიგანტური ამორფული მასის წარმოქმნამდე".

არენდტის აზრით საზოგადოება წარმოადგენს კერძო და საჯარო სფეროს გამაშუალებელ რგოლს, სადაც კერძო ინტერესები, მოქმედებები და ინსტიტუტები იძენენ საჯარო როლს, სახელმწიფო ინსტიტუტები თავის თავზე იღებენ კერძო და სამეურნეო ფუნქციებს. კერძო და საჯარო სფეროების ბალანსი გულისხმობს ინდივიდის შესაძლებლობას მოახდინოს თვითრეალიზება, როგორც საზოგადოებრივ-სამოქალაქო, ასევე კერძო სფეროში. ამ ორ სფეროს შორის ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების დარღვევის შემთხვევაში დეფორმირდება ადამიანის ცხოვრების ნორმალური სვლა. დისბალანსი საჯაროობის სასარგებლოდ ახასიათებს ტოტალიტარულ საზოგადოებას, იგი აფართოებს ოფიციალური ლეგიტიმურობის საზღვრებს, მინიმუმამდე დაჰყავს ადამიანის შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი თავი კერძო სფეროში. უფრო მეტიც, საჯარო სფეროს გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც სწორედ აქ (კერძოდ კი პოლიტიკის სფეროში) შესაძლებელია ისეთი ფენომენის მიღწევა და რეალიზაცია როგორიცაა თავისუფლება. აღნიშნული ცნება არენდტის აზრით ძალიან მნიშვნელოვანი და მრავალმნიშვნელოვანია: არენდტმა ტრადიციული მნიშვნელობის გარდა მის შინაარსს შემატა ახალი მიმართულებები. უპირველეს ყოვლისა არენდტი აფიქსირებს, რომ თავისუფლება პოლიტიკის სფეროში გამოდის, როგორც „წინააღმდეგობის გაწევა" - ზემოქმედების მოხდენის კონტექსტში.

არენდტის საჯარო სფეროს თეორია ეყრდნობა ანტიკური რესპუბლიკების მისეულ ინტერპრეტაციას. მის გაგებაში პოლისი იყო ადამიანთა ორგანიზაცია, რომელიც წარმოიშობა მათი ერთობლივი მოლაპარაკების და მოქმედების შედეგად. ეს მოქმედება გაგებულია, როგორც ურთიერთქმედება., რომელიც ადგენს მათ ერთიანობას და მოქმედების სუბიექტებს. აღნიშნული ერთობა არის საჯარო სფერო.

როგორც უკვე აღინიშნა, არენდტის მიხედვით, საჯარო სფეროს საფუძველია მოქმედება ან უფრო სწორედ ურთიერთქმედება, მაგრამ ამ უკანასკნელის არსებობის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას. არენდტი ხელისუფლებას განსაზღვრავს, როგორც შეთანხმებულ მოქმედებას მიცემულ და შესრულებად დაპირებების, შეთანხმებების და ურთიერთვალდებულებების საფუძველზე. არენდტის ხელისუფლების კონცეფცია წარმოადგენს მოქმედების შესაბამისობას განსაზღვრული ნორმატიული პრინციპებისადმი, რომელიც ძალას იღებს კომუნიკაციის იმ ფორმის სიღრმისეულ სტრუქტურაში, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთ აღიარებასა და სოლიდარობაზე. არენდტის აზრით, საჯარო სფერო გულისხმობს მრავალრიცხოვანი ინდივიდების არსებობას, რომლებიც თავიანთი ბუნებით არ არიან თანასწორები, მაგრამ ისინი თანასწორები ხდებიან პოლიტიკურად.

არენდტი ასევე ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო უფლებების არსსა და წარმოშობაზე. იგი ფორმულირებას უკეთებს ადამიანის უფლებების პარადოქსს: თანამედროვე სახელმწიფოში პიროვნება საჭიროებს დაცვას სახელმწიფოს გადამეტებული ჩარევისაგან კერძო სფეროში, თუმცა ასეთი დაცვის შესაძლებლობა მას ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით. პოლიტიკური განათლების გარეშე შეუძლებელია ყველაზე ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფაც, რომელიც, არენდტის აზრით, არის უფლება საჯაროდ დაამტკიცო და დაიცვა საკუთარი უფლებები. როგორც არენდტი აღნიშნავს, საჯარო სფეროს ფუნქციაა სამოქალაქო უფლებების განხორციელება, რომელთა წარმოშობაც არის რეაქცია თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებაზე. თუმცა ის ასევე აღიარებს, რომ სამოქალაქო უფლებები, რიგ შემთხვევებში, აუცილებელია კერძო სფეროს სტაბილიზაციისათვისაც.

ინგლისელი მეცნიერი ერნესტ გელნერი (1925-1995) თავის ნაშრომში "თავისუფლების პირობები: სამოქალაქო საზოგადოება და მისი მოწინააღმდეგეები" ცდილობს განსაზღვროს სამოქალაქო საზოგადოების მახასიათებლები, რომელიც დასავლური ლიბერალურ დემოკრატიული ტიპისაა. გელნერი სამოქალაქო საზოგადოებას უპირისპირებს ისლამურ და ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ სიტემას.

ანალიზებს რა სამოქალაქო საზოგადოების ცნებას, გელნერი ასკვნის რომ სამოქალაქო საზოგადოებას სჭირდება მოდულური ადამიანი. ის პარალელს ავლებს მოდულური ავეჯის მაგალითთან, რომლის განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ მისი ცალკეული ნაწილები ადვილად ეხამება ერთმანეთს. თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ ერთ-ერთი მათგანი და გარკვეული დროის გავლის, მოთხოვნილებისა და შესაძლებლობის გაჩენის შემდგომ, დაუმატოთ მას ახალი ნივთი. ყველა ეს ნივთი ადვილად შეერწყმება ერთმანეთს და ერთიან ესთეტიკურ და ფუნქციონალურ მთლიანობას შეადგენს. ამ ავეჯის ცალკეული ელემენტები შესაძლოა გადავანაცვლოთ და მოვარგოთ ერთიმეორეს პრაქტიკულად, როგორც საჭიროდ ჩავთვლით. რაც შეეხება არამოდულურ ავეჯს, თუკი მას დავუმატებთ ახალ ნივთებს, ჩვენ შეგვექმნება რისკი იმისა, რომ შევქმნით ეკლექტიურ და მოუხერხებელ კომპლექტს. ტრადიციული ავეჯის შემთხვევაში ჩვენ გვიხდება სერიოზული არჩევანის გაკეთება, რომელზეც უარს შემდეგ ადვილად ვეღარ ვიტყვით, რადგანაც ეს დაკავშირებული იქნება დიდ ფინანსურ ხარჯებთან. ტრადიციულ ავეჯთან შედარებით, მოდულურ ავეჯს ის უპირატესობა აქვს, რომ არ არის აუცილებელი მთელი ავეჯის ერთად შეძენა.

გელნერის მიხედვით, მოდულურ ადამიანსაც ადვილად შეუძლია შეუერთდეს ეფექტურ ინსტიტუტებსა და

ასოციაციებს, რომლებიც იქნებიან არა ტოტალური და რიტუალურად გაფორმებული, არამედ დროებითი, კონკრეტული მიზნის მქონე. მას ასევე შეუძლია დატოვოს ეს კავშირი და არავინ დაადანაშაულებს ღალატში. საბაზრო საზოგადოება ცხოვრობს არა მხოლოდ ფასების მუდმივი ცვალებადობის პირობებში, არამედ აქ იცვლებიან კავშირები და შეხედულებებიც.

ადამიანის მოდულურობა გულისხმობს ტექნოლოგიების შერჩევას ეფექტურობის პრინციპით. სამოქალაქო საზოგადოების არსი, გელნერის მიხედვით, მდგომარეობს ეფექტური, ელასტიური, სპეციალიზირებული, ინსტრუმენტული კავშირების ფორმირებაში. ასეთი კავშირების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანთა ურთიერთობის ხელშეკრულებით ფორმაზე გადასვლამ. მოდულური ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოება კვლავაც სტრუქტურირებულია, იგი არ გარდაიქმნება ატომიზირებულ, ინერტულ მასად, მაგრამ მისი სტრუქტურა არის მოძრავი და ადვილად ექვემდებარება რაციონალურ სრულყოფას. კითხვას თუ როგორ უნდა იარსებოს სახელმწიფოს გამაწონასწორებელმა ინსტიტუტებმა და ასოციაციებმა ისე, რომ ხელ-ფეხი არ შეუკრას თავის წევრებს, გელნერი პასუხობს, რომ მოდულური ადამიანის მეშვეობით. ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების წინაპირობა, გელნერის აზრით, არის მოდულური ადამიანი. სამოქალაქო საზოგადოება ეს არის ინსტიტუტების, კავშირებისა და ასოციაციების ერთობლიობა, რომლებიც საკმარისად ძლიერი არიან, რათა ტირანიის წარმოშობის შესაძლებლობა თავიდან აიცილონ. ამავე დროს ისინი არიან თავისუფალი, რაც გამოიხატება მათ მოდულურ ხასიათში, მისცენ ინდივიდებს შესაძლებლობა შეუერთდნენ მათ ან დატოვონ მათი რიგები. ინდივიდები არ ხდებიან ამ ინსტიტუტებზე სამუდამოდ დამო-

კიდებული და დაკავშირებული რაიმე მკაცრი რიტუალების მეშვეობით.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების ევოლუციის ისტორიამ გვაჩვენა რომ მისი თეორიული ინტერპტერტაცია და რეალური შინაარსი საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავდებოდა. მე-17, მე-18 საუკუნებამდე სამოქალაქო საზოგადოება ითვლებოდა, როგორც სოციუმის განსაზღვრული სახე, რომელიც სახელმწიფოს იდენტური იყო. უკვე მე-19 საუკუნიდან ჩნდება სამოქალაქო საზოგადოების ახალი გაგება, რომელის მიხედვითაც იგი სოციუმის არასახელმწიფოებრივი სფეროა, სახელმწიფოს ქვეშ ამ დროს იგულისხმება სწორედ სახელისუფლებო პოლიტიკური სტრუქტურები.

მე-20 საუკუნის 70-იანი, 80-იანი წლებიდან სამოქალაქო საზოგადოების ცნება კვლავ მოექცა ყურადრების ცენტრში ლათინურ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. იგი გახდა მრავალი სამეცნიერო კვლევისა და ნაშრომის მთავრი თემა, ისევე როგორც პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების განხილვის საგანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Conditions of Liberty: CiVil Society and Its Rivals by Ernest Gellner (London: HamIsh HamIlton), 1994

2. The Structural Transformation of the Public Sphere: Inquiry into a Category of Bourgeois Society, Jurgen habermas, Polity Press, 1992

1.Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. _ М.: Издательство «Весь Мир», 2003

თავი III. სამოქალაქო საზოგადოება და პოსტკომუნისტური განვითარება

1. სამოქალაქო საზოგადოება კომუნისტური რეჟიმის პირობებში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დაამკვიდრა სახელმწიფოს ეტატისტური გაგება, ხელისუფლების კონცენტრაცია, ჰორიზონტალური კავშირების უგულვებელყოფა. ასეთ პირობებში სამოქალაქო აქტივობას გააჩნდა მობილიზაციური ხასიათი და წარმოადგენდა მმართველი რეჟიმისადმი გამოვლენილ მხარდაჭერას. ხოლო ყველა სხვა დანარჩენი საზოგადოებრივი თვითმოღვაწეობის გამოვლენა მიჩნეული იყო დევიანტურად. პოლონელი დისიდენტი ადამ მიხნიკი კომუნიზმის უპირველეს ბოროტებად ასახელებდა მის „ანტიჰუმანურობას", მის მისწრაფებას გაანადგუროს ადამიანური ინდივიდუალურობა, ამიტომ არის ის ანტიხალხური და არა პირიქით.

ვაცლავ ჰაველი კარგად აღწერს, თუ როგორ ახდენდა კომუნიზმი ყველაფრის პოლიტიზირებას: „კომუნისტური ძალაუფლება ჩემს შეშინებულ საძინებელ ოთახში დადის და ჩემს სუნთქვას განასხვავებს იმისგან, რასაც ვამომბ - ეს კი ჩემი პირადი რამაა, მაგრამ ამის მიმართ სახელმწიფო ინდიფერენტული არაა... პირდაპირი და არაპირდაპირი მანიპულაციის ქსელი არის ის შემგუებლური ტანისამოსი, რომელიც სიცოცხლეს თოკავს და გიზღუდავს სიცოცხლის წარმოჩენის და სტრუქტურიზების გზებს. და იგი ასე სუსტდება, კნინდება, იხარჯება. იგი გაიაფებული და გათანაბრებულია. იგი ფსევდო-სიცოცხლედ გადაიქცა." (1)

საბჭოთა რეჟიმმა სამოქალაქო საზოგადოებას ძირშივე გაუქრო საფუძველი კერძო საკუთრების მოსპობით. რეპრესიებმა მძლავრი დარტყმა მიაყენა არსებულ სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომელთა ნაწილი გაქრა, ნაწილი კი გადაიქცა ფსევდო სამოქალაქო ორგანიზაციებად. ამის მაგალითია მწერალთა, კომპოზიტორთა და სხვა კავშირები, უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიის მხარდაჭერის ფუნქციას ასრულებდნენ. თუმცა პოლიტბიუროს არ შეეძლო თითოეული მწერლისათვის, მხატვრისთვის, შემოქმედისთვის ებრძანებინა რა ეწერა და გამოესახა, მაგრამ ცალკეულ მნიშვნელოვან შემთხვევებში ესეც სრულიად შესაძლებელი იყო. ამასთან უნდა ითქვას, რომ სისტემის მოწინააღმდეგეთა მოძრაობები სწორედ ამგვარ კავშირების წიაღში აღმოცენდა, რაც თეორეტიკოსთა ნაწილს საფუძველს უქმნის ილაპარაკოს საბჭოთა კავშირში სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ლატენტური, არაფორმალური სოციალური კავშირების არსებობაზე, ან დაუკავშიროს საბჭოთა კავშირის დაშლა სამოქალაქო საზოგადოების წარმატებებს ამ ქვეყნებში.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების გამოყენება ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით ხშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მთავარი მახასიათებელი, რომელიც საერთოა სამოქალაქო საზოგადოების მრავალი დეფინიციისათვის ისაა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ასრულებს შუამავალ როლს ქვეყნის მოქალაქეებსა და მმართველი აპარატის ძალაუფლებას შორის. იგი გარკვეული მაკონტროლებელია იმისათვის, რომ არ მოხდეს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება მოქალაქეების წინააღმდეგ.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის კონტექსტში, სამოქალაქო საზოგადოების თავისებური ხედვა ჩამოყალიბდა. ვინაიდან არ არსებობდა საზოგადო და პირადი სფეროების ერთმანეთისაგან მკვეთრი იზო-

ლაცია, აზრის გამოხატვისა და სხვადასხვა ჯგუფებში გაერთიანების თავისუფლება, მსგავს დაძაბულ გარემოში სამოქალაქო საზოგადოება ხშირად წარმოდგენილი იყო ჩვეულებრივ ყოველდღიურ ოთახში, კაფეში, ეკლესიებში და მოაგვიანებით, ჯაზ კლუბებშიც კი. ეს იყო პატარა სივრცე ინდივიდსა და რეჟიმს შორის, სადაც ადგილი ჰქონდა რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებისა და პროტესტის გამოხატვას. სამოქალაქო საზოგადოების ცნება, განმარტების თვალსაზრისით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მკაფიო არ იყო, თუმცა მრავალი მკვლევრის მტკიცებით, სამოქალაქო საზოგადოებამ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში დაამტკიცა, რომ იგი წარმოადგენდა ძლიერ ძალას ადამიანთა ცხოვრების ატომიზაციის წინააღმდეგ. სამოქალაქო საზოგადოების მთავარი არსი მდგომარეობს კოლექტიური მოქმედების ეფექტურობაში. როგორც ცნობილია, ცალკეული ინდივიდების ქმედებებთან შედარებით, ხალხის ერთიან ძალისხმევას უფრო მეტად შეუძლია სახელმწიფოს ძალაუფლების მნიშვნელოვნად გაკონტროლება. როგორც თანამედროვე ამერიკელი მკვლევარი გ. სტოკსი აცხადებს, კომუნისტურ საზოგადოებაში, საყოველთაო რეპრესიების მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოება მაინც არსებობდა და მან შეძლო კომუნისტური რეჟიმის შესუსტება და დაშლა.

კომუნისტურ რეჟიმებში არსებულ მცირერიცხოვან ავტონომიურ სოციალურ აქტივობასთან მიმართებაში მკვლევრები ხშიად იყენებენ ტერმინს სამოქალაქო საზოგადოება. ვეიგლი და ბატერფილდი სტატიაში „სამოქალაქო საზოგადოება: რეფორმირებად კომუნისტურ რეჟიმებში აღმოცენების ლოგიკა„ ვრცლად განიხილავენ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითებზე. ისინი კომუნისტურ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ოთხ ეტაპს გამოყოფენ: **თავდაცვითი**, რომლის დროსაც კერძო

ინდივიდები და დამოუკიდებელი ჯგუფები აქტიურად ან პასიურად იცავენ თავიანთ ავტონომიას პარტია-სახელმწიფოსაგან; **განვითარებადი,** რომლის დროსაც სამოქალაქო საზოგადოება იმყოფება ჩამოყალიბების სტადიაზე და დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფები და მოძრაობები ახორციელებენ შეზღუდულ მიზნებს საჯარო სფეროში, რომელიც სანქცირებული ან დათმობილია პარტია-სახელმწიფოს მიერ. **მობილიზაციური,** რომელშიც დამოუკიდებელი ჯგუფები და მოძრაობები ანადგურებენ პარტია-სახელმწიფოს ლეგიტიმაციას მართვის ალტერნატიული ფორმების შეთავაზებით, და ბოლოს **ინსტიტუციური,** რომელშიც საჯარო მხარდაჭერის მქონე ლიდერები ადგენენ კანონებს, სოციალური მოქმედების ავტონომიის საგარანტიოდ.

იმ პოლიტიკური კონტექსტის აღსაწერად, რომელშიც ადგილი ქონდა ზემოთ აღნიშნულ ავტონომიურ სოციალურ აქტივობას სამოქალაქო საზოგადოების სახელით, ავტორები იყენებენ პოსტტოტალიტარული რეჟიმის ცნებას. პოსტტოტალიტარიზმს ხუან ლინცი განსაზღვრავს, როგორც ავტორიტარიზმის განსაზღვრული სახეს. იგი ხასიათდება სოციალურ პროცესებზე პარტია-სახელმწიფოს დომინანტური მდგომარეობით და დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აქტივობის უარყოფით. იგი ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით, რომელიც სტალინის რეჟიმისათვის იყო დამახასიათებელი, უშვებს შეზღუდული სახით უკონტროლო სოციალურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ პლურალიზმს. მისი უდიდესი ნაწილი მოდის სახელმწიფო სტრუქტურებიდან ან დისიდენტური ჯგუფებიდან. ამისგან განსხვავებით, სტალინური ტოტალიტარიზმის მეთოდები მიზნად ისახავდა მთლიანად საზოგადოების ატომიზაციას, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პლურალიზმის მოსპობას.

კომუნისტური სისტემის პირობებში საზოგადოების წევრებს არ შეეძლოთ თავისუფლად აერჩიათ საკუთარი წარმო-

მადგენლები ხელისუფლებაში, ზეგავლენა მოეხდინათ სახელმწიფო პოლიტიკაზე ან ლეგალურად განეხორციელებინათ კერძო ინტერესები საჯარო სფეროში. ის ინდივიდები, რომლებიც არ ეგუებოდნენ რეჟიმის გაბატონებულ მდგომარეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქმნიდნენ ალტერნატიულ, იატაკქვეშა ასოციაციებისა და მონაწილეობის ქსელებს. სახელმწიფო უშვებდა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმოშობას დამოუკიდებლად არტიკულირებული ინტერესების და მოთხოვნილებების საფუძველზე, თუკი ისინი შეზღუდავდნენ საკუთარ მიზნებს ისე, რომ არ დამუქრებოდნენ რეჟიმის ძალაუფლებას და ლეგიტიმურობას.

ავტონომიური სოციალური ღირებულებები და აქტივიზმი, სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახები განვითარდნენ პოსტტოტალიტარული რეჟიმის პირობებში არსებული სისტემის კრიზისის შედეგად. ეს კრიზისი განაპირობა რეჟიმის მარცხმა ადექვატურად შეესრულებინა ღირებულებათა ფორმირების და ინტერესთა წარმომადგენლობის ფუნქცია.

მთელი საზოგადოების ინტერესთა სრული წარმომადგენლობის პრეტენზიამ რეჟიმის მხრიდან და მონაწილეობის არხებზე კონტროლმა, კერძო და საჯარო ინტერესების მზარდი განხეთქილების ფონზე საზოგადოება თავდაცვით მდგომარეობამდე მიიყვანა. ინდივიდუალური თავდაცვითი და სოციალური ავტონომიის ფორმები იცვლებოდა სხვადასხვა ქვეყანაში ინსტიტუციური ურთიერთობებისა და კულტურული მიდრეკილებების მიხედვით.

პოლონეთს სხვა პოსტოტალიტარულ ქვეყნებთან შედარებით, გააჩნდა მეტი თავდაცვითი ფორმალური სტრუქტურები: ეკლესია, იატაქვეშა სოციალური ორგანიზაციები, აქტიური მუშათა ჯგუფები. მაგრამ, ამავე დროს, საზოგადოების დანარჩენი ნაწილი გულგრილი და აპათიური რჩებოდა ფორმალური პოლიტიკური პროცესების მიმართ. პოლონეთის სახელმწიფო უშვებდა ასეთი ხარისხის ავტონომიურო-

ბას სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით. რაც შეეხება უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას, 1956 და 1968 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაახშო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები. აქ ინტელიგენციის მიერ ავტონომიური სოციალური ღირებულებების დაცვა მიმართული იყო უფრო ფუნდამენტურ დონეზე, მოსახლეობის ფართო ფენებისადმი.

იმ პერიოდში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აქტივობა თანდათანობით იძენდა ორგანიზაციულ ხასიათს. მაგალითად, 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა მუშათა დაცვის კომიტეტი (KOR), მოძრაობა ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების დაცვისათვის (ROPCIO) პოლონეთში, უსამართლოდ გასამართლებულთა დაცვის კომიტეტი და ქარტია 77 ჩეხოსლოვაკიაში. მაგრამ, ამავე დროს, დამოუკიდებელი ორგანიზაციები ზღუდავდნენ თავიანთ მოქმედებას, ისინი ძირითადად დახმარებას უწევდნენ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებს, ან ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი ვალდებულებების შესრულების პროცესზე. საზოგადოებრივი ჯგუფები ყველაზე მეტად აქტიურობდნენ პოლონეთში.

1970-იანი წლებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა პარალელური პოლისის ცნება. პარალელური პოლისი, როგორც თეორიული კონცეფტი ჩამოაყალიბა ჩეხმა დისიდენტმა ვაცლავ ბენდამ. მისი მტკიცებით, შეუძლებელია კომუნისტურ სახელმწიფოებში არსებული კორუმპირებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დაწესებულებების შეცვლა, ასეთი ძალისხმევა იქნება უსარგებლო. იგი რეჟიმის მხრიდან ოფიციალურ სოციალურ ღირებულებებსა და ინტერესთა წარმომადგენლობაზე დამყარებული ჰეგემონიის ფონზე თითოეული ინდივიდის მორალურ ავტონომიას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, ვიდრე მონაწილეობის ინ-

სტიტუციონალურ არხებს. ვაცლავ ბენდა თვლიდა, რომ უმჯობესია შეიქმნას „პარალელური დაწესებულებები„, რომელებიც იქნებიან უფრო მეტად პასუხისმგებელი ადამიანთა მოთხოვნილებების და საჭიროებების მიმართ. დროთა განმავლობაში კი ისინი თანდათანობით განდევნიან ძველ, კომუნისტური ტიპის ინსტიტუტებს.

საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც წარმოიშვა სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახები, როგორც სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ცხოვრების ყველა ფორმაში შეჭრის წინააღმდეგ, მორალური და ლეგალური ავტონომიის დაცვის მცდელობა. პარტია-სახელმწიფოს არ შეეძლო სრულიად მოესპო ან გაეკონტროლებინა ავტონომიური საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმა, ვინაიდან შეუძლებელი იყო სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესის განხორციელება. როგორც თანამედროვე მკვლევარი ფ. რედეუეი აღნიშნავს, საბჭოთა სისტემის მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იყო სტალინის ატომიზირებული საზოგადოების უკვდავყოფის შეუძლებლობა.

დამოუკიდებელი ჯგუფები წარმოიშვნენ ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირების საპასუხოდ ან მოქალაქეთა წინაშე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აღების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს დომინირების წინააღმდეგ ბრძოლამ დისიდენტური მოძრაობის სახე მიიღო. დისიდენტებს გააჩნდათ განსხვავებული ხედვა საბჭოთა სისტემის რეფორმირების გზებისა და მიზნების შესახებ, ისინი ყველანი თანხმდებოდნენ, რომ სახელმწიფოს არ ქონდა ლეგალური უფლება წაერთმია მოქალაქეებისა და მათ მიერ შემდგარი ჯგუფებისათვის ავტონომიური ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა. ხელისუფლებამ დისიდენტთა ჯგუფებზე გააძლიერა ზეწოლა 1970-იანი წლებიდან. მათი დიდი ნაწილი დააპატიმრეს ან გადაასახლეს.

სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგობა ყველაზე უკეთ გამოვლინდა აღმოსავლეთ ევროპაში, პოლონური ოპოზიციის იდეოლოგიაში. მის საფუძველში იყო საზოგადოებრივი ცხოვრების თვითორგანიზაციის და დაცვის იდეა. ეს იყო პოლონური პროფკავშირების გაერთიანება "სოლიდარობა", რომელიც 1980 წელს შეიქმნა. მძიმე, ეკონომიკური სიძნელეების ფონზე მოძრაობა გახდა მძლავრი მასობრივი ანტიკომუნისტური საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს. 1981 წლისთვის რვა მილიონზე მეტი პოლონელი შეუერთდა მოძრაობას, მათ შორის კომუნისტური პარტიის წევრთა მესამედი. "სოლიდარობის" პროგრამა მოიცავდა სხვადასხვა მიზნებს: საწარმოთა თვითმმართველობის დაწესებას, ეკონომიკური პროცესების დეცენტრალიზებას, პოლიტიკური ცენზურის შეზღუდვას, სამოქალაქო თავისუფლების გაფართოებასა და გაერთიანებების თავისუფლებას.

„სოლიდარობის„ საქმიანობის ამოსავალი პრინციპები ჰეგემონური პარტიის მმართველობის პირობებში რამდენიმე წლით ადრე ჩამოაყალიბა ადამ მიხნიკმა. „სოლოდარობის„ წევრები წაახალისებდნენ მოქალაქეებს უკუეგდოთ პარტიასახელმწიფოს კონტროლის ჩარჩოები ისეთი ქმედებებით, რომელიც ემსახურებოდა სამოქალაქო თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების და ავტონომიური საქმიანობის გაძლიერებას.

1956 წელს უნგრეთის და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის აჯანყებების შემდეგ, ეფექტურად იქნა აღკვეთილი მასების დამოუკიდებელი საქმიანობა. მაგრამ 1980-იანი წლებიდან გორბაჩოვის მხარდაჭერამ „მასების თავისუფალი საქმიანობისადმი„, ასევე იმან, რომ საბჭოთა კავშირი თავს იკავებდა ცენტრალური ევროპული რეჟიმების მხარდაჭერისგან, ძირი

გამოუთხარა კადარის „პატერნალისტური„ რეჟიმის მმართველობას უნგრეთში და ჰუსაკის რეპრესიულ სტრატეგიებს ჩეხოსლოვაკიაში, და ბიძგი მისცა დამოუკიდებელ სოციალურ სუბიექტებს. უფრო აქტიური გახდა „სოლიდარობა„ პოლონეთში, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში „ახალგაზრდა დემოკრატთა ლიგა„ (FIDESZ) და „უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი„ (HDF) უნგრეთში, „მოძრაობა სამოქალაქო თავისუფლებისათვის„ ჩეხოსლოვაკიაში და „მშვიდობის ჯგუფები„ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სწრაფად შეიქმნა ოპოზიციური ჯგუფები, რათა გამოეხატათ თავიანთი არაპარტიული ფასეულობები და ინტერესები და ემოქმედათ მათ განსახორციელებლად.

ავტონომიური ჯგუფების ნაწილმა გააფართოვა საკუთარი კომპეტენცია და დაამყარა ორგანიზაციული კავშირები სხვა ჯგუფებთან. ამავე დროს, მათი მოთხოვნები უფრო მკვეთრად პოლიტიკური გახდა, ისინი ითხოვდნენ დამოუკიდებელი საქმიანობის არეალის გაფართოვებას და თავიანთი წვლილის გაზრდას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უნგრეთში, ავტონომიური საზოგადოებრივი ჯგუფები თავდაპირველად აცხადებდნენ, რომ მათი მიზნები იყო მხოლოდ საზოგადოებრივი და არა პოლიტიკური, მაგალითად, 1984 წ. დუნაის კაშხალის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბებული ჯგუფი - „დუნაის წრე“ ირწმუნებოდა, რომ მისი მიზნები ეხებოდა მხოლოდ გარემოს დაცვას. მაგრამ 1988 წლისთვის ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოციალური ცვლილება შეუძლებელი იყო მმართველი პარტიის წინააღმდეგ ღია პოლიტიკური ბრძოლის დაწყების გარეშე. ჩეხოსლოვაკიაში, მოძრაობამ „სამოქალაქო თავისუფლებისათვის“ თავისი მოთხოვნები მიმართა არა სახელმწიფოსკენ, არამედ საზოგადოებისკენ. მოძრაობის წევრები ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოება უნდა გამოსულიყო პოლიტიკურ არენაზე,

რადგანაც „ტოტალიტარული ხელმძღვანელობა„ უძლური იყო, განეხორციელებინა ქვეყნის მოდერნიზაციის ან, კონკრეტულ შემთხვევაში, მისი გადარჩენისთვის აუცილებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებანი.

თანდათანობით დამოუკიდებელი სოციალური სუბიექტების საქმიანობა უფრო თვალსაჩინო გახდა, ხოლო მიზნები უფრო პოლიტიზირებული. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი კომუნისტური პარტიები იძულებულნი გახდნენ დაეშვათ გაზრდილი ჩართულობა, ისინი ყოველ ჯერზე ცდილობდნენ მოეხდინათ დამოუკიდებელი საქმიანობის საბოტაჟი კანონიერი რეგისტრაციის შეყოვნებით, რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით (პოლონეთსა და უნგრეთში), ან ყველაზე თვალსაჩინო აქტივისტების შევიწროვებით და დაკავებით (ჩეხოსლოვაკია). დიალოგისა და რეპრესიების ამ „იანუსის„ პოლიტიკის საპასუხოდ პარტიაში წარმოიშვა უთანხმოება, თუ რა იყო უფრო ეფრო ეფექტური სტრატეგია - იძულებითი ზომები, თუ გაზრდილი ლიბერალიზაცია, რამაც გამოიწვია განხეთქილება. ეს განხეთქილება მივიდა პარტიული თანამდებობებიდან მასობრივ გადადგომებამდე (პოლონეთში 1980 წ.) და კომუნისტურ პარტიაში რეფორმისტული ფრაქციის გაძლიერებამდე, რომელიც პარტიის კომპრომისების მოწინააღმდეგე ნაწილის სურვილის საწინააღმდეგოდ ეთანხმებოდა ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს (უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია). მმართველ პარტიაში განხეთქილებამ დაამტკიცა ოპოზიციის უპირატესობა, რომელიც არსებულ რეჟიმზე ზეწოლას ახდენდა პოლონეთში „სოლიდარობის„ ბერკეტებით, უნგრეთში ორგანიზებული ჯგუფებით და ჩეხოსლოვაკიაში მასობრივი დემონსტრაციებით რეფორმების დაჩქარებისთვის. ეს საბოლოოდ აადვილებდა რეჟიმის დამხობის პროცესს.

1981 წ. იარუზელსკის მმართველობა პოლონეთში დაუპირისპირდა „სოლიდარობის„ მოძრაობას, რომელსაც დაწყებული ჰქონდა არა მხოლოდ წევრების, არამედ უფრო მეტიც - მოსახლეობის მობილიზება. ხელისუფლებამ სცადა რეპრესიების მეშვეობით გასწორებოდა პროფკავშირების წინააღმდეგობას, მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვება ვერ მოიპოვა. 80-იანი წლების ბოლოს პოლონეთის ხელისუფლება სოციალისტური ბანაკის დაცემასთან დაკავშირებით იძულებული იყო მოლაპარაკებები დაეწყო სოლიდარობასთან და ოპოზიციის სხვა ჯგუფებთან.

პოლონეთში 1988 წ, უნგრეთში 1988-1989 წლებში და ჩეხოსლოვაკიაში 1989 წ. დასუსტებული რეჟიმები საბჭოთა დახმარების გარეშე აღმოჩნდნენ დამოუკიდებელი საზოგადოების პირისპირ, რომლის წევრებსაც ახლა ჰქონდათ არჩევანის თავისუფლება, თუ ვის მიმხრობოდნენ. ინტელიგენციამ წაახალისა მასების დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელთაც კოლექტიურად უნდა მიეღოთ მონაწილეობა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. თავდაპირველად ჩაფიქრებული, როგორც სახალხო აზრის გაცვლა-გამოცვლა („გლასნოსტ“), საბოლოოდ კი დამოუკიდებელი ჩართულობა სანქცირებულ იქნა „სოციალისტური პლურალიზმის“ ჩარჩოებში. უშვებდნენ რა პიროვნებათა და ჯგუფების ავტონომიას, რეფორმატორები განიხილავდნენ, რომ დამოუკიდებელი მოქმედება უნდა ყოფილიყო თვითშემზღუდავი და მოქცეული პარტიის მიერ განმარტებული სოციალიზმის ჩარჩოებში. პარტია-სახელმწიფოსა და თვითშემზღუდავ დამოუკიდებელ აქტივობას შორის თანამშრომლობის შედეგი უნდა ყოფილიყო უფრო დინამიურად განვითარებადი ეკონომიკა, უფრო ჯანსაღი სოციალური გარემო და უფრო ეფექტური პოლიტიკური პროცესები.

სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენების ამ ეტაპზე პარტიის რეფორმატორთა უმრავლესობა და ინტელიგენცია

ვარაუდობდა, რომ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აქტივობა დარჩებოდა კომუნისტური პარტიის მიერ გამოცხადებული მიზნების საზღვრებში. ნახევრად დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოებაში საქმიანობის მიმართულება აუცილებლად დადგენილი უნდა ყოფილიყო"ახლად დემოკრატიზებული" კომუნისტური პარტიის მიერ. „სოციალური პლურალიზმის„ გორაბაჩოვისეული ხედვა, რომელსაც თავიდან ეთანხმებოდნენ მაღალი თანამდებობის რეფორმატორები, დაფუძნებული იყო იმ წანამძღვრებზე, რომ სოციალურ პლურალიზმს შეეძლო ერთპარტიულ სახელმწიფოსთან თანაარსებობა.

საბჭოთა თეორეტიკოსები განმარტავდნენ, რომ სამოქალაქო საზოგადოება განვითარდება დამოუკიდებელი ორგანიზაციებისა და თავისუფალი სახალხო საქმიანობის საფუძველზე, რომელიც თავისუფალია სახელმწიფოს ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული შეზღუდვებისაგან. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის რეკონფიგურაციას, სსრკ-ში ავტონომიური სამოქალაქო საზოგადოების საზღვრების შექმნისა და დაცვისთვის, რომელიც მოიცავდა დამოუკიდებელ მასობრივ ორგანიზაციებს, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას, პროფესიულ სახელმწიფო აპარატს, საშუალო ბიუროკრატიას და გამოხატვისა და კომუნიკაციის თავისუფლებას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო აპარატი უნდა ყოფილიყო რაციონალიზებული, რათა გამხდარიყო ის უფრო ეფექტური თავისი ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებისას და პოლიტიკის განხორციელებისას.

1986 და 1988 წლებს შორის მოხდა დამოუკიდებელი ჯგუფების მკვეთრი გააქტიურება, დაახლოებით 30 ათასი „არაოფიციალური ჯგუფი" (ისინი, რომელიც არ ყოფილა რეგისტრირებული სახელმწიფოს ან დაფინანსებული კომუნისტური პარტიის მიერ) გახდა საჯარო ან თავიდან შეიქმნა.

ამ ჯგუფებს ჰქონდათ ფართო სპექტრის და ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნები, მათ შორის ეკოლოგიური, კულტურული, ისტორიული, ნაციონალისტური, პოლიტიკური. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფების უმრავლესობა ორიენტირებული იყო „ყოველდღიური ცხოვრების" პრობლემებზე და არა პოლიტიკურ ცვლილებაზე, მათ დიდი მნიშვნელობა ქონდათ კომუნისტური პარტიის ლეგიტიმურობისა და ძალაუფლების დასუსტებისათვის.

კომუნისტური პარტია ცდილობდა არაოფიციალური ჯგუფები მოექცია პარტიის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებში ან, მას შემდეგ, რაც ამან არ გაამართლა, პარტიის მიერ დაფინანსებულ სახალხო ფრონტის ორგანიზაციათა ქოლგის ქვეშ. მაშინ, როდესაც ჯგუფების უმრავლესობა საწყის ეტაპზე მხარს უჭერდა გორბაჩოვის „პერესტროიკის„ პოლიტიკას, საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ პარტიის ბიუროკრატია (კონსერვატიული კომუნისტური პარტიის ლიდერების მხარდაჭერით) ახდენდა არა მხოლოდ დამოუკიდებელი აქტივობის საბოტაჟს, არამედ ძირს უთხრიდა თვით „პერესტროიკას". როდესაც ჯგუფები ცდილობდნენ ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ორგანიზებას, მათ უარს ეუბნებოდნენ სახალხო შეკრებებისა და დემონსტრაციების ნებართვაზე, აყოვნებდნენ სარეგისტრაციო პროცედურებს, რომელიც ლეგალიზებას უკეთებდა სახალხო საქმიანობას. საკავშირო დონეზე სამინისტროს თანამშრომლები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ დამოუკიდებელი ჯგუფების აქტივობისთვის, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სამინისტროს იურისდიქციას სოციალური პროექტების დაფინანსებაში.

როგორც ცენტრალურ ევროპაში, ასევე საბჭოთა კავშირში, დამოუკიდებელი ჯგუფები ცდილობდნენ ემუშავათ გორბაჩოვის რეფორმის გაურკვევლი საზღვრების ფარგლებში და იღწვოდნენ დამოუკიდებელი მიზნების მისაღწე-

ვად ცვალებად საკანონმდებლო ჩარჩოებში, ისინი სახელმწიფოსა და პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან არაერთგვაროვან პოლიტიკას ხვდებოდნენ. ასევე მოხდა ჯგუფ „მემორიალის" შემთხვევაში, რომელიც ძირითადად შედგებოდა მოსკოველი ინტელექტუალებისგან. მათ ორგანიზება გაუკეთეს სტალინური ტერორის მსხვერპლთა მემორიალური კომპლექსის აგებას. ჯგუფის წესდება ეთანხმებოდა კონსტიტუციურ სტანდარტებს თავისი სტრუქტურითა და საქმიანობით. როდესაც საკავშირო კულტურის სამინისტრომ სცადა შეეზღუდა მისი საქმიანობა და ჩამოართვა მის მიერ უკვე შეგროვებული თანხა, ნათელი გახდა, რომ არსებული კონსტიტუცია არ იძლეოდა თვითორგანიზებული, დამოუკიდებელი ჯგუფების საქმიანობის ავტონომიის გარანტიას.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა და ხანგრძლივი შეყოვნებებისა, დამოუკიდებელი აქტივისტები შეუპოვრად ახდენდნენ ჯგუფების ორგანიზებას, რათა მკაფიოდ გამოეხატათ და მიეღწიათ დამოუკიდებელი მიზნებისათვის. რადგანაც ჯგუფები უფრო მეტად გაიწაფნენ თავიანთი საქმიანობის რეკლამირებასა და ფართო საზოგადოებისადმი მიმართვაში, მათი მიზნები გახდა უფრო პოლიტიზირებული, სწორედ ისე, როგორც ცენტრალურ ევროპაში. მათ დაიწყეს თავიანთი მიზნების დაკავშირება მთლიანი სისტემის ცვლილებასთან, მათ შორის სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის რეფორმულირებასთან. სოციალურმა აქტორებმა თანდათან აღმოაჩინეს, რომ ისინი თავისი საქმიანობის მიზნებს ვერ მიაღწევდნენ არსებული პოლიტიკური სისტემის საზღვრებში. მოსკოვის მცხოვრებთა მცდელობის აღწერისას, ხელი შეეშალათ ქალაქის ისტორიულ და სხვა რაიონებს შორის მთავარი ავტოსტრადის მშენებლობისათვის, საბჭოთა ანალიტიკოსი ოლეგ ლანიცკი აღნიშნავდა, რომ „მოქალაქენი ჯერ ვერ ხედავენ მათი ინტერესების რეა-

ლურად დამცველებს ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა შორის". (2)

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი სოციალური აქტივობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ნაციონალიზმის იდეამ. პოლონეთში, უნგრეთში და უფრო ნაკლებად ჩეხოსლოვაკიაში, ნაციონალიზმი მოქმედებდა, როგორც დამოუკიდებელი ჯგუფების ფორმირებასა და მასობრივ მოქმედებებში შემაკავშირებელი ელემენტი. რუსულ და ყოფილ საბჭოთა კავშირის არარუსულ რესპუბლიკებში წარმოშობილი სამოქალაქო საზოგადოებების შედარება ნათელყოფს ნაციონალიზმის გამაერთიანებელ როლს. ნაციონალიზმი მოქმედებდა, როგორც შემაკავშირებელი ძალა დამოუკიდებელ ჯგუფურ მოძრაობაში, რადგანაც განსხვავებული მიზნებით შექმნილი ჯგუფები გაერთიანდნენ „სახალხო ფრონტის" ორგანიზაციებში რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ისინი ხშირად მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოპოვების მიზანს. მისგან განსხვავებით რუსებისთვის არ არსებობდა საერთო საფოკუსო წერტილი, რის ირგვლივაც ნაციონალიზმის საერთო ღირებულებები გაერთიანდებოდა. არ ჰყავდათ საერთო მტერი და ნაციონალიზმის მეტოქე, შეუძლებელი ხდებოდა მთელი რიგი საერთო ღირებულებების, ან საერთო პოზიციის ჩამოყალიბება გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ. გამაერთიანებელი ნაციონალიზმის ასეთმა ნაკლებობამ ხელი შეუწყო რუსეთში წარმოქმნილი საზოგადოებრივი ჯგუფების უფრო მეტ დანაწევრებულობას.

როგორც ცენტრალური ევროპის შემთხვევაში მოხდა, საბჭოთა კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო დანაწევრება, რადგან დამოუკიდებელმა სოციალურმა აქტივობამ ბიძგი მისცა რეფორმების თავბრუსდამხვევი სიჩქარით განვითარებას. 1991-იანი წლების შუა პერიოდისთვის საბჭოთა კავ-

შირის კომუნისტური პარტია დატოვა ოთხმა მილიონმა წევრმა.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, კომუნისტური რეჟიმის პირობებში დამოუკიდებელი სოციალური აქტივობის განხორციელების შესაძლებლობა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, დაშვებული იქნა პარტიის რეფორმატორთა ჯგუფის მიერ. დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელთაც აერთიანებდათ ავტონომიის, ნაციონალიზმის და მოდერნიზაციის იდეალები, მალე კომუნისტური რეჟიმისათვის ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცნენ, ვინაიდან მის ლეგიტიმურობას ასუსტებდნენ. მათ მალე გააფართოვეს ის მცირე არენა და შესაძლებლობა, რომელიც დათმო დასუსტებულმა კომუნისტურმა რეჟიმმა. დამოუკიდებელმა აქტივისტებმა უარი თქვეს საკუთარი მოქმედება შეეზღუდათ რეჟიმის მიერ სანქცირებული საზღვრების ფარგლებში. ამდენად კომუნისტური რეჟიმის დაცემის ერთ-ერთი განმაპირობელი ფაქტორად შესაძლოა სწორედ სამოქალაქო გაერთიანებების აქტიურობა მივიჩნიოთ.

1980-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ რეფორმების გატარება და საზოგადოების რეკონსტრუქცია განიზრახა, სურდა იგი განსაზღვრულ ჩარჩოებში მოაქცია, ანუ ხელისუფლება თავად წყვეტდა რა უნდა შეცვლილიყო და რა არა. ამ პროცესს ამერიკელმა პოლიტოლოგებმა ხ. ლინცმა და ა. სტეფანმა უწოდეს „ლიბერალიზაცია დემოკრატიზაციის გარეშე", მაგრამ დაწყებული პროცესი უკვე შეუქცევადი აღმოჩნდა.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. 1987 „Stories and Totalitarianism", Open Letters, trans. Paul Wilson, P. 337-338

2.Peter Reddaway, ed.. C'ncensored Russia. Protest and Dissent in the Soviet Union (New York: American Heritage Press. 1972).p. 39

3. J. Linz, A. Stepan. Problems of Democratic Transition and Consolidation. South Europe, South America, and Post-Communist Europe. The Johns HopkIns University Press, 1996

4. The Idea of Civil Society: Evolution and Challenges In the Central and Eastern European Context since 1989. http://users.oX.ac.uk/~oaces/conference/papers/Aspen_Brinton.pdf

5. Civil Society in Reforming Communist Regimes: The Logic of Emergence. Marcia A. WeIgle; Jim Butterfield. Comparative Politics, Vol. 25:1, 24

6. მ.წურწუმია, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისი, 2006.

2. პოსტკომუნისტური სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციები

სამოქალაქო საზოგადოების ცნებისადმი ინტერესის ხელახალი გაღვივება უკავშირდება მე-20 საუკუნის 70-იან, 80-იან წლებს, როდესაც მთელ მსოფლიოში ფართოვდება ლიბერალური დემოკრატიის არეალი, დემოკრატიული პრინციპები, ღირებულებები და ინსტიტუტები ინერგება ახალ ქვეყნებში. საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში დაემხო ავტორიტარული რეჟიმები და დაიწყო დემოკრატიული პროცესების განვითარება. ხოლო 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში უკვე აღმოსავლეთ ევროპაში დღის წესრიგში დგება სამოქალაქო საზოგადოების, მისი არ-

სის, როლისა და ფორმების განსაზღვრის საკითხი. სამოქალაქო საზოგადოება აღიარებული იქნა, როგორც აუცილებელი პირობა დემოკრატიის განმტკიცების გზაზე.

1989 წელს მშვიდობიანმა რევოლუციებმა ბოლო მოუღო საბჭოთა მმართველობას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ეს ქვეყნებია: პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი. ესენი იყვნენ საბჭოთა კომუნისტური პარტიის მეურვეობის ქვეშ მყოფი ვარშავის პაქტის ქვეყნები, თითოეულს საკუთარი კომუნისტური მთავრობა ყავდა. აღნიშნული რევოლუციები ასახავდნენ კომუნისტური სისტემის გახრწნას და, ამავე დროს, აჩვენებდნენ თუ რაოდენ კარგად ჰქონდა თითოეული ერის სამოქალაქო საზოგადოებას განვითარებული უთანხმოების გამოხატვისა და წინააღმდეგობის უნარი კომუნისტური რეჟიმის რეპრესორი სისტემების წინააღმდეგ. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურმა ჩართულობამ კომუნისტური რეჟიმების დაშლაში განაპირობა ამ მოვლენების უნიკალურობა სხვა რევოლუციებთან მიმართებაში. პოლიტიკოსები და თეორეტიკოსები ცდილობდნენ შეეფასებინათ სამოქალაქო საზოგადოების ძალა და როლი ამ ქვეყნებში და ამ ცნების მეშვეობით აკეთებდნენ ინტერპრეტაციას ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოების დემოკრატიულობის დონის დასადგენად.

როგორც სხვადასხვა თეორეტიკოსები აღნიშნავენ, კომუნისტური რეჟიმის მიერ ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ, ამ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოების ბუნებაც შეიცვალა. სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ამბოხებას ნახევრად ტოტალიტარული ან, როგორც მკვლევარები უწოდებენ, პოსტტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ, აღარ გააჩნდა იგივე შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობა მოქალაქეებზე. ამგვარად, ყველაფრისა და ყველას მსგავსად,

ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოებამაც განიცადა იდენტობის კრიზისი. სხვადასხვა მოვლენების შედეგად ჩანდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების როლი ამ ქვეყნებში 1989 წლის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა. ბევრისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო „სოლიდარობის„ დომინანტობის დეგრადირება პოლონეთში, რომელიც 1989 წლამდე აღიქმებოდა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაცია. ამ და სხვა გარემოებებმა გამოიწვია სერიოზული და მწავავე დებატები კონკრეტულად დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში.

1989 წლის შემდეგ ამ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოების განხლვის მიზნით, საჭირო გახდა სამოქალაქო საზოგადოების ცნების ხელახლა განსაზღვრა. კომუნისტური სახელმწიფო აპარატის არსებობის გარეშე, გაერთიანებები, რომლებიც ერთ დროს სახელმწიფოს გადამეტებული ძალაუფლების შეზღუდვისათვის შეიქმნა, თვითონ ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ. ამბოხი ახალი ლიდერების ინტერესებში უკვე აღარ შედიოდა. ამის კარგი მაგალითია ვაცლავ ჰაველი, რომელიც დისიდენტობიდან ორ თვეზე ნაკლებ პერიოდში პრეზიდენტი გახდა. თეორეტიკოსებისათვის აქტუალურ საკითხად დაისვა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ტოტალიტარული ან დიქტატორული რეჟიმის ხელახლა ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად.

1990-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივები ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მაინცდამაინც ოპტიმისტური არ იყო. ნათელი გახდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ამ ქვეყნებში 1989 წლის შემდგომ საგრძნობლად დაკნინდა და თეორეტიკოსებმა დაიწყეს განსჯა იმის შესახებ, თუ რა იყო ამის მიზეზი. გარდა ამისა, დაიწყო ბალკანეთის კონფლიქტი,

რომელიც გადაიზარდა სამოქალაქო ომში. აღნიშნული კონფლიქტი დაფუძნებული იყო ნაციონალიზმზე და რამაც მთელი ქვეყნის დაცემა გამოიწვია. პოლიტიკურმა სიტუაციამ ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალ ქვეყანაში ასევე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, როდესაც ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა დაიწყეს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ბრონისლავ გერემეკი - პოლონეთის სოლიდარობის ყოფილი წევრი და შემდგომში მთავრობის მინისტრი, 1992 წელს წერდა: „გვჯეროდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისას ვქმნიდით, იქნებოდა ძლიერი ფუნდამენტი, რომელზეც დაეფუძნებოდა მომავალი დემოკრატია ავტორიტარული ძალაუფლების დაცემის შემდეგ... ახლა ჩემთვის ცხადია, რომ ჩვენ ვცდილობდით მძიმე რეალობის შეცვლას მხოლოდ და მხოლოდ სიტყვებით... მსგავსი საზოგადოების ჩამოყალიბების ჩვენი მცდელობა შეიძლება ჩაითვალოს მიამიტობად და არარაციონალურადაც კი, თუმცა იმის უარყოფა, რომ ეს საზოგადოება წარმოადგენდა ძალზედ ეფექტურ ძალას ტოტალიტარულობის წინააღდეგ არ შეიძლება. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ტოტალიტარულობის ჩვეულებრივი მტერი ქრება, მსგავსი საზოგადოების არსებობის მიზეზიც გაქრობას იწყებს. მხოლოდ ამის შემდეგ წარმოიქმნება ფუნდამენტური არჩევანი: ღია საზოგადოება ან ნაციონალიზმი.„(1)

ენდრიუ არატო მოცემული ტერმინების არევასთან დაკავშირებით განმარტავს: „უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ცნება უკანასკნელ პერიოდში გამოიყენება ორი განსხვავებული მნიშვნელობით: იგი გულისხმობს სოციალური მოძრაობების, ინიციატივებისა და მობილიზაციის ფორმების ერთობლიობას და დაარსებული ინსტიტუტების (უფლებები, ასოციაციები, საზოგადოება) ჩარჩოს„. არატოს ანალიზის მთავარი თემაა ცენტრალურ-აღმოსავ-

ლეთ ევროპის სამოქალაქო საზოგადოება (განსაკუთრებით დეტალურად იგი განიხილავს უნგრეთს) - განხილული, როგორც დინამიური პროცესი, სტატიკური დეფინიციების გარეშე, სადაც ძველი ორგანიზაციები 1989 წლის შემდეგ იქნა „დემობილიზებული„ ან დაშლილი, მაგრამ ახალი სამოქალაქო საზოგადოებამ დროთა განმავლობაში ეს ,,დემობილიზებული" ორგანიზაციები ჩაანაცვლა.

1990-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკურმა კრიზისმა ხელი შეუშალა ძველი ორგანიზაციების ადგილას ახალი ორგანიზაციების სწრაფ ჩამოყალიბებას და ამგვარად, გავრცელდა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საზოგადოება და მასთან ერთად დემოკრატია დაცემის ზღვარზე იყო. როგორც არატო აღნიშნავს, „ნგარიშები სამოქალაქო საზოგადოების მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ ნაადრევი იყო. იგი აცხადებს, რომ თეორეტიკოსები სამოქალაქო საზოგადოების დემობილიზაციის ბუნებრივ მაგალითს ხედავდნენ, მას შემდეგ რაც მისი „მობილიზაციის„ ფაზა 1989 წელს წარმატებით განხორციელდა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია კიდევ უფრო რთული იყო ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოებისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური, კულტურული და ისტორიული მიზეზებიდან გამომდინარე. ამდენად, მკვლევრები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური პარტია „სოლიდარობა„ არ იყო ისეთივე წარმატებული, როგორც მეამბოხე, იატაკქვეშა პროფესიული კავშირი „სოლიდარობა„.

სამოქალაქო საზოგადოების ცნებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში 1989 წლიდან და მისი მნიშვნელობა იცვლებოდა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ხდებოდა მისი ანალიზი და გამოყენება პო-

ლიტიკის მეცნიერებებსა და ამა თუ იმ რეგიონის საზოგადოების შესწავლისას.

ეკიერტი - პოლონეთის შემთხვევის გამოჩენილი თეორეტიკოსი, 1991 წელს აღწერს ახალ თეორიულ ჩარჩოს ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის პერსპექტივებთან დაკავშირებით და გამოყოფს 1989 წლამდე გაკეთებული ინეტრპრეტაციების სისუსტეებს. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში პესიმიზმი ნამდვილად იგრძნობა, ავტორი ამტკიცებს, რომ ერის აყვავება სამოქალაქო კულტურის შემოტანით უნდა მოხდეს, იმ ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების კვალდაკვალ, რომელთა განხორციელებაც დემოკრატიის დასამყარებლადაა საჭირო.

მაიკლ ბერნარდი სამოქალაქო საზოგადოების განმარტებისათვის 1989 წლის შემდეგ ცენტრალური-აღმოსავლეთის ევროპის კონტექსტში, გვთავაზობს 4 მნიშნელოვან ასპექტს. მის თანამხმად სამოქალაქო საზოგადოება არის: (1) საზოგადო სივრცე... რომელიც მოცემულია ოფიციალურ და პირად ცხოვრებაში; (2) წარმოდგენილია მრავალი... ავტონომიური ორგანიზაციებით; (3) მისი იზოლირება სახელმწიფოსგან რეგულირებულია კანონით (4) საზოგადო არეალში მოქმედი პირები, რომლებიც იძლევიან იმის გარანტიას, რომ არსებობს პირადი და ჯგუფური თავისუფლება, რაც საშუალებას აძლევს მათ განახორციელონ თავიანთი ფართო ინტერესები.

ბერნარდი ასევე აღწერს ცვლილებებს, რომლებმაც ცნების ახალი განმარტება განაპირობა: ახალი მთავრობის პაქტების შედეგად სამოქალაქო საზოგადოება იყო არამობილიზებული და მთავრობაში მოსვლასთან ერთად დაკარგა ლიდერობის პოტენციალიც. ამდენად, პოსტ-ტოტალიტარიზმის გვერდითი ეფექტები აღმოჩნდა ქმედითუუნარო სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის და მათ ეკო-

ნომიკური ტრანსფორმაციის სოციალური შედეგებიც არ ჰქონია.

ბერნარდის სამოქალაქო საზოგადოების თეორია დამოკიდებულია განსხვავებაზე, რომელსაც ის აკეთებს დემოკრატიზაციის ორ საფეხურთან დაკავშირებით. პირველ რიგში, რეჟიმმა უნდა განიცადოს „წარმოშობის„ პროცესი, რაც გამოხატული იქნება დემოკრატიული სტრუქტურების ინსტიტუციონალიზმით: კონსტიტუციის შედგენა, პარლამენტის ფორმირება თავისუფალი არჩევნების გზით და ინსტიტუტებისა და სამსახურების დაარსება პარლამენტისა და პრეზიდენტის მხარდასაჭერად. ბერნარდი განიხილავს პოლონეთის მაგალითს, რომელსაც 1996 წლისათვის უკვე მიღწეული ჰქონდა ეს შედეგები. დემოკრატიზაციის მეორე საფეხური, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოებასთან, არის „კონსოლიდაციის„ ეტაპი. ბერნარდი ამას განმარტავს როგორც ყველა მსხვილი პოლიტიკური მოქმედი პირის მიერ ახალი პოლიტიკური თამაშის წესების მიღებას.

პოლიტიკურ მოქმედ პირებში იგულისხმება ამომრჩევლები და პოლიტიკური პარტიები, მაშინ როცა დემოკრატიზაციის ,,საწყისი„ პროცესი ძირითადად ინსტიტუტების დაწესებას მოიცავს. ამ ეტაპებს, ასევე შესაძლებელია ეწოდოს ,,პირველი გადასვლა„ და ,,მეორე გადასვლა„ დემოკრატიაში, როგორც ამას ბერნარდი უწოდებს. სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება ამ გადასვლის პროცესებში მისი მოსაზრებაა და იგი მიუთითებს თუ როგორ იქნა სამოქალაქო საზოგადოება დემობილიზებული 1989 წლის შემდეგ, რაც სწორედ ამ წარმატებით იყო გამოწვეული. ამ სიტუაციის პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო წარმატებით განახორციელებს ოპოზიცია დემოკრატიზაციის მიღწე-

ვის მიზნებს, მით უფრო მცირდება სამოქალაქო საზოგადოების როლი პოლიტიკურ ლიდერობაში.

1989 წლამდელი სამოქალაქო საზოგადოების ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ჰაველი და ვალენსა ახალი მთავრობის ლიდერები გახდნენ. სამოქალაქო საზოგადოება დარჩა კომპეტენტური და გამოცდილი მესაჭეების გარეშე. ეს არის ის, რასაც ბერნარდი უწოდებს „დეკაპიტანიზაციას." სამოქალაქო საზოგადოების დეგრადირების ახსნა, 1989 წლის პირველი ცვლილების შემდეგ, მსგავსი ლიდერობის კრიზისით ცოტა რთულია.

ბერნადი ამტკიცებს, რომ ძლიერი ლიდერობის გარეშე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დაპირისპირებაში მოდიან კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ დამოკიდებულებებთან და მოსაზრებებთან, პოლიტიკისა და პოლიტიკაში ჩართულობასთან დაკავშირებით, რომელთაგან ბევრი მათგანი არ არის დამახასიათებელი დემოკრატიული აზრიოვნებისათვის. საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ჩამოუყალიბდა უარყოფითი დამოკიდებულება ტყუილისა და კორუფციისადმი პოლიტიკაში და რომელმაც მაქსიმუმი გააკეთა პოლიტიკისაგან თავის არიდებისათვის, ნაკლებ სავარაუდოა, რომ გაერთიანდებოდა რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში ან კამპანიაში. ხოლო ისინი, ვინც ახალი ეკონომიკური სისტემის პირობებში უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, დემოკრატიას არ განიხილავენ, როგორც ინსტიტუტს, რომლის მხარდაჭერაც და მასში მონაწილეობა ღირს. ბერნარდი ამტკიცებს, რომ ახალ ინსტიტუტებსა და ხალხის აზრებში შემორჩენილ ძველ შეხედულებებს შორის დაძაბულობის ფონზე, ჩამოყალიბდა ორმაგი საზოგადოება.

პოსტკომუნისტურ სამოქალაქო საზოგადოებას განხილვა არა მხოლოდ ტერმინოლოგიური, არამედ ემპირიული თვალსაზრისითაც დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. მკვლევრები ორი ათწლეულის განმავლობაში ამტკი-

ცებენ, რომ სამოქალაქო საზოგადოება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არის სტრუქტურულად სუსტი. აქ პოლიტიკურმა ელიტამ მოახერხა გარკვეული პოლიტიკური პროცედურების დანერგვა და ძირითადი სამოქალაქო უფლებების დაცვა, მაგრამ ეს ქვეყნები წარუმატებელნი აღმოჩნდნენ გაეფართოვებინათ ნებაყოფლობითი მოღვაწეობა და მოქალაქეთა მხრიდან სამოქალაქო ვალდებულებების გააზრება და გათავისება. 1990-იან წლებში ჩატარებული კვლევები მიუთითებდნენ სოციალური ნდობის, კოლექტიური ვალდებულებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტებისადმი დაჯერების დაბალ დონეზე. ჰოვარდის მიერ 2003 წელს და ბერნარდ და კარაკოკის მიიერ 2007 წელს ჩატარებული კვლევები ასევე ცხადყოფდნენ ნებაყოფლობითი ასოციაციების წევრობის დაბალ დონეს, საზოგადოებრივი მონაწილეობის სიმწირეს პოსტავტორიტარულ, ახალ დემოკრატიებთან შედარებით.

მარკ ჰოვარდი შეგროვებული ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე, საუბრობს პოსტკომუნისტური სამოქალაქო საზოგადოების მახასიათებლებისა და პერსპექტივების შესახებ. პოსტკომუნისტური ქვეყნების კატეგორიაში ის აერთიანებს ბულგარეთს, ჩეხეთს, აღმოსავლეთ გერმანიას, ესტონეთს, უნგრეთს, ლატვიას, ლიტვას, მაკედონიას, რუმინეთს, რუსეთს, სლოვაკეთს, უკრაინას. ჰოვარდის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე არის პოსტკომუნისტური დემოკრატიების პოტენციურად საშიში ნიშანი. არაორგანიზებული მოქალაქეები იზოლირებულნი არიან პოლიტიკური პროცესებისაგან და არ გააჩნიათ ის ძალა, რასაც მათ მისცემდა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები.

ჰოვარდი ასახელებს სხვადასხვა ფაქტორებს, რამაც განაპირობა მოქალაქეთა უმრავლესობის მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება. ისეთი მიზეზების გარდა, როგორიცაა ასაკი, ავადმყოფობა, დროისა და ინფორმაციის უქონლობა, რაც

ასევე ახასიათებთ დასავლეთის ევროპის ქვეყნებს, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ჰოვარდი გამოყოფს სამ ძირითად ფაქტორს, რაც ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა დაბალ ჩართულობაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში.

პირველ რიგში ესაა უნდობლობა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, უნდობლობა ნებისმიერი ორგანიზაციისადმი, რომელიც მოქალაქეებს აგონებთ ნებაყოფლობით-სავალდებულო წევრობას კომუნისტური ტიპის ორგანიზაციებში. მათი პასიურობა, თანამედროვე ტიპის ნებაყოფლობით ორგანიზაციებში გაწევრიანების სურვილის ნაკლებობა შეიძლება აიხსნას ოფიციალურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ნებაყოფლობით-სავალდებულო მონაწილეობის გამოცდილებით, რამაც მოქალაქეთა ცნობიერებაში დატოვა ნეგატიური კვალი.

შემდეგი ფაქტორი რომელსაც ჰოვარდი ასახელებს, არის არაფორმალური მეგობრული კავშირების სიმყარე. მოქალაეები არ განიცდიან მოთხოვნილებას გაწევრიანდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, რადგანაც ისინი საკუთარ მიზნებს აღწევენ სხვა გზებით. კერძოდ, ისინი აქტიურად არიან ჩართული საკუთარ არაფორმალურ ქსელებში, რომლებიც შედგება მათ მეგობრების, ნათესავების და ნაცნობების წრისგან, რომლებიც მზად არიან გაუწიონ მათ დახმარება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხებში. თუმცა, ამასთანავე, ცალკეულ მოქალაქეებთან ინტერვიუების საფუძველზე ჰოვარდი ასკვნის, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები გარკვეულწილად შეიცვალა. პოსტკომუნისტური ქვეყნების რესპოდენტები აცხადებენ, რომ შეინიშნება კერძო კავშირების შესუსტების ტენდენცია, ადამიანები უფრო და უფრო მეტად გახდნენ საკუთარ თავში ჩაკეტილები და აღარ ადარდებთ მათი ახლობლების ბედი.

მასების სამოქალაქო აქტივობისადმი ნეგატიური დამოკიდებულების საერთო სურათს ჰოვარდთან ასრულებს

თანამედროვე რეალური ცხოვრებისა და პოლიტიკური ინ-
სტიტუტებისადმი იმედგაცრუება. როგორც ჰოვარდი ამ-
ბობს, იმედგაცრუება ფარდობითი ცნებაა და მისი ინტენსი-
ურობა დამოკიდებულია ადამიანთა მოლოდინების ხასიათ-
ზე. კომუნისტური რეჟიმის დაცემას საბჭოთა კავშირისა და
სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოქალაქეების უმეტესო-
ბა უკავშირებდა ამაღლებულ, ხშირად არარეალურ და დაუ-
საბუთებელ იმედებს. ახალ რეალობაში წარმოშობილმა ეკო-
ნომიკურმა სიდუხჭირემ, უმუშევრობამ, თანამედროვე პი-
რობებისადმი ადაპტაციის სიძნელეებმა გამოიწვია რიგით
მოქალაქეებში იმედგაცრუება ახალი პოლიტიკური და ეკო-
ნომიკური ინსტიტუტებისადმი, ისევე როგორც ნებისმიერი
საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სამოქალაქო საზოგადოე-
ბის ორგანიზაციებისადმი. დაუკმაყოფილებელმა პოლიტი-
კურმა და ეკონომიკური მოთხოვნილებების სისტემამ რიგი-
თი მოქალაქეები კიდევ უფრო დააშორა საზოგადოებრივი
აქტიურობის გამოხატვას.

სპეციალისტთა უმრავლესობა პოსტკომუნისტური
ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრისას ხაზს
უსვამს მის სისუსტეს და განვითარების დაბალ დონეს და-
სავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით და ეს იმ მოლოდი-
ნების ფონზე, რომლებიც არსებობდა 1989-91 წლებში. ასევე
ზოგიერთი ავტორი საუბრობს ამ ქვეყნებს შორის არსებით
განსხვავებებზე, ამიტომ ტერმინმა პოსტკომუნიზმი დაკარ-
გა თავისი რელევანტურობა. მაგრამ, როგორც ჰოვარდი აღ-
ნიშნავს, კომუნისტური გამოცდილება განაპირობებს მოქა-
ლაქეთა მეტ-ნაკლებად მსგავს დამოკიდებულებას ნებაყოფ-
ლობითი ორგანიზაციების წევრობისადმი სოფიიდან ბერლი-
ნამდე, პრაღიდან მოსკოვამდე.

კვლევები ცხადყოფს, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნე-
ბის სამოქალაქო საზოგადოებას მრავალი პრობლემა გააჩ-
ნია. საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ნაკლებობას

მკვლევრები უკავშირებენ საბჭოთა წარსულს, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება განიხილებოდა რეჟიმის ფარული ოპოზიციის სახით. მოქალაქეებს საკუთარი ნამდვილი პოზიცია და დამოკიდებულება შეეძლოთ დაეფიქსირებინათ მხოლოდ ოჯახისა და ახლობლების წრეში.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას სჭირდება საზოგადოების კულტურული და ტრადიციული ხედვების ცვლილება, რასაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართვა საზოგადოების პრობლემების გადაწყვეტაში, ადამიანთა მონაწილეობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ნდობის და თანამშრომლობის გაძლიერება, სამოქალაქო შეგნების განვითარება.

კომუნისტური რეჟიმის დამხობამ წარმოქმნა ახალი სივრცე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ადგილი ქონდა მასიურ სოციალურ მობილიზაციას, რამაც ხელი შეუწყო ორგანიზაციათა და მოძრაობათა სწრაფ აღმოცენებას. მაგრამ ახალი ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა მარცხი განიცადა რესურსების მობილიზებასა და მონაწილეთა მოზიდვის საკითხში, ისინი ისევე მალე გაქრნენ, როგორც წარმოიქმნენ. ასევე ბევრი ყოფილი კომუნისტური რეჟიმის მიერ კონტროლირებადი ორგანიზაცია ადაპტირდა ახალ წყობასთან. მათ შეიცვალეს სახელები, ლიდერები და დღის წესრიგი. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დიდად განსაზღვრა საჯარო სფეროს, პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიულობის ხარისხმა. იმ ქვეყნებში, სადაც დამყარდა ფსევდოდემოკრატია, შეფერხდა სამოქალაქო პლურალიზმი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეექმნათ ნაკლებად ოპტიმალური პირობები განვითარებისათვის.

გამოყენებულიდა ციტირებული ლიტერატურა:

1. Geremek Bronislaw.1992 "Civil Society _then and now". Journal of Democracy 3:3-12 (citireba nanaxia statiaSi: "The Idea of Civil Society: Evolutions and Changes in the Central and Eastern European Context since 1989. Aspen Brinton, Georgetown University)
2. Civil Society In Reforming Communist Regimes: The Logic of Emergence Marcia A. Weigle; Jim Butterfield Comparative Politics, Vol. 25, No. 1. (Oct., 1992), pp. 1-23.
3. Bernhard Michael and Ekrem Karakoc (2007) Civil Society and Legacies of DictatorshIp, World Politics 59,
4. Rose, Richard (1999). `What Does Social Capital Add to IndivIdual Welfare? An Empirical Analysis In Russia~, SCI Working Paper No. 15. Washington DC: The World Bank.
5. Richard Rose, William Mishler and Christian Haerpfer, "Getting Real: Social Capital in Post-Communist Societies." Conference on The Erosion of Confidence in Advanced Democracies. Brussels, November 7-9, 1996.
6. "The Idea of Civil Society: Evolutions and Changes in the Central and Eastern European Context since 1989. Aspen Brinton, Georgetown University
7. Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. _ М.: Издательство «Весь Мир», 2003

8. თავი IV. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული განვითარება

1. დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება

დემოკრატია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტერმინია პოლიტიკურ მეცნიერებაში. თუმცა ჯერჯერობით არ შემუშავებულა მისი ერთმნიშვნელოვანი შინაარსი და დემოკრატიის შესახებ ყველასთვის მისაღები წარმოდგენა. სხვადასხვა ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მის სხვადასხვა ასპექტებზე, როგორებიცაა უმრავლესობის მმართველობა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, დეცენტრალიზაცია, ხელისუფლების შეზღუდვა და კონტროლი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლება, პლურალიზმი, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, საერთო კონკურენტული არჩევნები და ა.შ.

ტერმინმა დემოკრატიამ დროთა განმავლობაში ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად დემოკრატია განიხილებოდა, როგორც მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობა მართვა-გამგეობაში. დემოკრატიის კონცეფციის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციით, როდესაც დემოკრატიის კონცეფციის ჩამოყალიბება ნაკარნახევი იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების წარმოშობით, მმართველებსა და ქვეშევრომებს შორის ჩამოყალიბებული ახალი ხასიათის ურთიერთობების დასაბუთების, ავტონომიისა და სოციალური თანასწორობის მოთხოვნილებებით. დემოკრატიის, როგორც ხალხის მმართველობის პირველადი მნიშვნელობა იცვლებოდა მისი რეალიზაციისა და პრაქტიკული ფორმების მრავალფეროვნებით. სწორედ ეს იწვევდა დემოკრატიის ტერმინის მრავალმნიშვნელოვან განმარტებას.

ხშირად დემოკრატიის ინტერპრეტაციისას განასხვავებენ ორ მიდგომას: ნორმატიული (ან იდეალისტური), სადაც დემოკრატია გააზრებულია მისი იდეალებისა და შესაძლო პრაქტიკული შედეგები სახით. იგი ასახავს ადამიანთა წარმოდგენებს სამართლიანი მმართველობის შესახებ. მეორე მიდგომა არის ემპირიული, აღწერითი, სადაც დემოკრატია წარმოჩინდება, როგორც მისთვის დამახასიათებელი რეალური პრინციპების, პროცედურების, ინსტიტუტების ერთობლიობა. დემოკრატიის თეორეტიკოსები ხშირად ცდილობენ ამ ორი მიდგომის კომბინირებას.

თანამედროვე მკვლევარები აღიარებენ, რომ დემოკრატიის მინიმალური სტანდარტების დამკვიდრება, კონკურენტული არჩევნების ჩატარება ქვეყანაში, ვერ უზრუნველყოფს პიროვნების უფლებების და თავისუფლების სრულყოფილ დაცვას. თანამედროვე ამერიკელი ავტორი ლარი დაიმონდი აღნიშნავს, რომ დემოკრატიის შუმპეტერისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც დემოკრატია არის სისტემა, სადაც გარკვეული სოციალური ჯგუფი, ელიტა იღებს მმართველობის ძალაუფლებას ხალხის ხმებისათვის კონკურენტული ბრძოლის შედეგად, საკმარისი არ არის თანამედროვე დემოკრატიის არსში გასარკვევად. იგი აღნიშნავს, რომ დემოკრატია პოლიტიკური სისტემაა, სადაც მთავრობა ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. მიჩნეულია, რომ დემოკრატიის თანამედროვე ფორმას წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატია. იგი ლიბერალიზმისა და დემოკრატიის იდეების ნაზავია. თანამედროვე პირობებში ლიბერალურ დემოკრატიას, როგორც მკვლევარები აღიარებენ, არ გააჩნია მმართველობის ლეგიტიმური ალტერნატივა. ლარი დაიმონდი გამოყოფს ლიბერალური დემოკრატიის შემდეგ კომპონენტებს:

• სახელმწიფო ხელისუფლება და მისი საკვანძო გადაწყვეტილებები კონტროლირდება საზოგადოების მიერ;

• აღმასრულებელი ხელისუფლება იზღუდება ისეთი ინსტიტუტების ავტონომიური ძალაუფლების მიერ, როგორებიცაა დამოუკიდებელი სასამართლო, პარლამენტი და ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულების სხვა მექანიზმები;

• არჩევნების შედეგების წინასწარ გაურკვევეველია, არსებობს შესაძლებლობა, რომ ოპოზიციამ მიიღოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა;

• ყველა ჯგუფს, რომელიც ერთგულია კონსტიტუციის პრინციპებისა, უფლება აქვს ჩამოაყალიბოს პარტია და კენჭი იყაროს არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებობდეს გარკვეული წესები და შეზღუდვები, რომლის მიხედვითაც პატარა პარტიები არ ხვდებიან პარლამენტის გამარჯვებულ წარმომადგენლობაში;

• კულტურული, ეთნიკური და სხვა უმცირესობათა ჯგუფებს არ აქვთ აკრძალული არც ლეგელურად, არც პრაქტიკაში, გამოხატონ საკუთარი ინტერესები პოლიტიკურ პროცესებში, ილაპარაკონ საკუთარ ენაზე, რეალიზება გაუწიონ კულტურას;

• პარტიებისა და არჩევნების გარდა, მოქალაქეებს გააჩნიათ მრავალრიცხოვანი არხები საკუთარი ინტერესებისა და ღირებულებების გამოხატვისა და წარმომადგენლობისათვის, მათ შორის მრავალფეროვანი დამოუკიდებელი ასოციაციები და მოძრაობები, რომელთა შექმნისა და გაწევრიანების თავისუფლებას ფლობენ მოქალაქეები;

• არსებობს ინფორმაციის ალტერნატიული წყაროები, მათ შორის დამოუკიდებელი მედია, რომელიც მოქალაქეებისათვის თავისუფლად მისაწვდომია;

• ინდივიდებს აქვთ რწმენის, აზრის, დისკუსიების, სიტყვის, პუბლიკაციების, გაერთიანებების, დემონსტრაციების, პეტიციების რეალური თავისუფლება;

• მოქალაქეები არიან პოლიტიკურად თანასწორნი კანონის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდებიან პოლიტიკური რესურსებით;

• ინდივიდუალური და ჯგუფური თავისუფლება ეფექტურადაა დაცული დამოუკიდებელი, არადისკრიმინაციური სასამართლოს მიერ, რომლის გადაწყვეტილებები არ არის იძულებითი და ხელისუფლების სხვა შტოები პატივს სცემენ მას;

• საკანონმდებლო წესრიგი იცავს მოქალაქეებს გაუსამართლებელი პატიმრობისაგან, გადასახლების, ტერორის, წამებისა და პირად ცხოვრებაში მეტისმეტი ჩარევისაგან, არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან, არამედ ორგანიზაბული არასახელმწიფოებრივი ან ანტისახელმწიფოებრივი ძალების მხრიდან.

როგორც ლარი დაიმონდი აღნიშნავს, ლიბერალური დემოკრატიები ამავე დროს წარმოადგენენ კონსტიტუციური დემოკრატიებს. კონსტიტუციური სულის ნაკლებობა, მისი მნიშვნელობის არასაკმარისი გააზრება არის სწორედ პოსტკომუნისტურ სამყაროში მესამე ტალღის დემოკრატიების სისუსტე. ზემოთ ჩამოთვლილი ლიბერალური დემოკრატიის კომპონენტების მიხედვით იზომება freedom house-ის მიერ თითოეული ქვეყნის პოლიტიკური უფლებების და სამოქალაქო თავისუფლების ხარისხი. 7 ქულიან შკალაზე 1 აღნიშნავს ყველაზე თავისუფალს, ხო-

ლო 7 ყველაზე ნაკლებად თავისუფალს. ითვლება რომ 2.5 და უფრო დაბალი ქულების მქონე ქვეყანა არის თავისუფალი, 3-დან 5.5-მდე ნახევრად თავისუფალი, ხოლო 5.5-დან 7-მდე არათავისუფალი.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების აქტუალიზება ემთხვევა მე-20 საუკუნის 80-იან წლებს, როდესაც ლათინური ამერიკისა და ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში დემოკრატიული ტრანზიტი იწყება. იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც იმყოფებიან დემოკრატიზაციის პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საკითხი, რომლის გარეშეც დემოკრატიის კონსოლიდირება ვერ განხორციელდება. ქმედითუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება განსაზღვრავს დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესის შეუქცევადობას და მინიმუმამდე დაყავს ავტორიტარიზმისაკენ შემობრუნების საფრთხე. ხშირად სამოქალაქო საზოგადოება განხილულია, როგორც დემოკრატიული ტიპის საზოგადოებრივი მოწყობის სინონიმი.

მესამე ტალღის დემოკრატიებში დემოკრატიის მინიმალური ინსტიტუტების და სტანდარტების დაწესებამ ვერ უზრუნველყო მთავრობის მხრიდან პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წინაშე და საკანონმდებლო წესრიგი. ადამიანის უფლებები ირღვევა უხეშად, უმცირესობები განიცდიან დისკრიმინაციას, ხელისუფლება კონცენტრირებულია აღმასრულებელ შტოში, ყვავის კორუფცია.

როგორც ლარი დაიმონდი აღნიშნავს, ჯანსაღი ლიბერალური დემოკრატია მოითხოვს საზოგადოებას, რომელიც ორგანიზებულია დემოკრატიისათვის, სოციალიზირებულია მისი ნორმებისა და ღირებულებებისადმი, მოქმედებს არა მხოლოდ საკუთარი, მრავალრიცხოვანი ვიწრო ინტერესების, არამედ უფრო ფართო „სამოქალაქო„ მიზნებისათვის. ასეთი სამოქალაქო საზოგადოებრი-

ობა (Civic Public) შესაძლებელია მხოლოდ ცხოველმოქმედი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში.

რატომაა დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოების შექმნა? თანამედროვე დემოკრატიულ დისკუსიებს აშშ-ში დასაბამი დაუდო ლუის ჰარტსის ნაშრომმა „ლიბერალური ტრადიცია ამერიკაში," შემდეგში კი ჯ. მედისონის, ჯ. ჯეის და ა. ჰამილტონის სტატიებმა. 1787 წლის ფედერალური კონსტიტუციის მხარდასაჭერი პროექტისთვის. (შემდგომში გაერთიანდა როგორც კრებული „ფედერალისტი„) ჰარტსი ხსნიდა, რით განსხვავდება ამერიკული პოლიტიკა ბრიტანეთისა და საერთოდ დასავლეთ ევროპისაგან.

სამოქალაქო საზოგადოებასა და დემოკრატიულ პოლიტიკურ მოწყობას შორის მჭიდრო კავშირის შესახებ საუბარია ალექსის დე ტოკვილის ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში." ტოკვილის მიხედვით ხალხის მმართველობის პრინციპის რეალიზება, რომელიც დემოკრატიის მთავარი ამოსავალი წერტილია, უკავშირდება ამერიკელების მისწრაფებას და უნარს მუდმივად შექმნან სხვადასხვა გაერთიანებები, ასოციაციები, განახორციელონ კოლექტიური ძალისხმევა საკუთარი მიზნების მისაღწევად. ერთობლივი მოქმედების, საზოგადოებრივი აქტივობისა და მუდმივი ჩართულობის გარეშე მოქალაქეები ვერ შეძლებდნენ მმართველების ტირანიისგან თავდაცვას.

დემოკრატიულ პოლიტიკურ მოწყობაში მოქალაქეობრივი განწყობისა და ზოგადად, სამოქალაქო კულტურის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლზე ასევე ყურადღებას ამახვილებენ მე-20 საუკუნის თეორეტიკოსები გაბრიელ ალმონდი და სიდნეი ვერბა. ისინი ამტკიცებენ, რომ ნებაყოფლობით ორგანიზაციებში ჩართულობა განაპირობებს მოქალაქეთა უკეთ ინფორმირებულობას, შედე-

გად ისინი არჩევნებზე ხმას აძლევენ უფრო გაცნობიერებულად, მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში და შესაბამისად, მთავრობას უჩნდება მეტი პასუხისმგებელობა ასეთი მოქალაქეების მიმართ.

დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების წარმატების სამოქალაქო საზოგადოებაზე დამოკიდებულებას ადასტურებს ასევე თანამედროვე ავტორი რობერტ პატნემი. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ქმნიან სოციალურ კაპიტალს, ნდობას, გაზიარებულ ღირებულებებს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ერთიანობას და თანამშრომლობას.

უკვე დავის საგანს აღარ წარმოადგენს, რომ ლიბერალურ დემოკრატიას სჭირდება სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოება. სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს დემოკრატიას საკუთარი წვლილის შეტანით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მთავრობის მიერ შემუშავებული რეფორმების ოპტიმალურობა შეიძლება გადამოწმდეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციით. ამავე დროს აუცილებელია, რომ თვითონ კონსულტაციის პროცესი იყოს ღია, სხვა შემთხვევაში კარგი კავშირების მქონე ან კარგად დაფინანსებული ორგანიზაციები მოახდენენ გავლენის არათანაბარ გადანაწილებას.

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება ზრდის დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურობას იმით, რომ მოქალაქეებში ავითარებს პატივისცემისა და თანამშრომლობის ჩვევებს, ზღუდავს ბიუროკრატიის გამოვლინებებს. ტოლერანტობა, მოქალაქეობრივი მოვალეობების გააზრება და სოლიდარობა წარმოიშობა ნებაყოფლობით გაერთიანებებში. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსი ჯ. ერენბერგი თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოება ემსახურება დემოკრატიას, არა მხო-

ლოდ მაშინ თუ ის მხარს უჭერს პოლიტიკურ ოპოზიციას, არამედ არსებობს ძალიან ბევრი მაგალითები, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილი ასოციაციების, რომლებიც ასევე ემსახურებიან პლურალიზმს, ეხმარებიან ნებაყოფლობით მოღვაწეობას და სტიმულირებას უწევენ თანასწორობას.

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია ხასიათდება მოქალაქეების და არა ქვეშევრდომების არსებობით. მოქალაქე განსხვავდება ქვეშევრდომისაგან იმით, რომ ქვეშევრდომს ახასიათებს მუდმივი მოლოდინი სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისა, ის თავის იმედებს უკავშირებს არა საკუთარ შესაძლებლობებს და შრომას, არამედ სახელმწიფოს მოღვაწეობას. მოქალაქე მზადაა დადგეს ღია საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში იბრძოლოს მათთვის.

მოქალაქეთა თვითორგანიზებამ შესაძლოა დიდი სარგებელი მოუტანოს სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა აფართოებს დემოკრატიის სივრცეს.

თანამედროვე პირობებში მიჩნეულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების მთავარმა აქტორებმა, NGO-ებმა შესაძლოა გასწიონ ექსპერტული სამსახური საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტის განხილვის დროს. ვინაიდან კანონმდებლებს არ შეიძლება გააჩნდეთ ღრმა ექსპერტული ცოდნა ყველა საკითხში, შესაბამისად დემოკრატიული პროცესი მდიდრდება, როდესაც სხვადასხვა ჯგუფები ერთვებიან კანონმდებელთა კონკურირებადი არგუმენტებით აღჭურვის საქმეში. მაგალითად, განხილვამ თამბაქოს რეკლამირების რეგულირების შესახებ, შესაძლოა, მოიზიდოს მედიკოსი, საქველმოქმედო და

სხვადასხვა სფეროს ექსპერტთა კომენტარები, მეორე მხრივ, თამბაქოს კომპანიები, მწეველთა ჯგუფები. როდესაც არის აზრთა მრავალფეროვნება, კომპეტენტური დებატები იმართება, ერთვება პრესა, საკანონმდებლო პროცესები ძლიერდება.

სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს არა მხოლოდ დემოკრატიულ საკანონმდებლო პროცესს, არამედ კანონების პრაქტიკაში დანერგვას. პრესა და ენჯეოები მონიტორინგს უწევენ სამთავრობო პოლიტიკის განხორციელებას. ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები კავშირს ამყარებენ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან, მათ მოეპოვებათ ინფორმაცია რამდენად დადებითი შედეგი გამოიღო ამა თუ იმ რეფორმამ ან კანონმა.

მასმედიას, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს, აქვს საკვანძო როლი დემოკრატიის განმტკიცების საქმეში. მასმედია არის ინფორმაციის მთავარი წყარო მოსახლეობისათვის მთავრობის საქმიანობის შესახებ. მასმედიის გააჩნია ასევე სხვა სპეციფიკური როლი. მაგალითად, საგამოძიებო ჟურნალისტიკა მნიშვნელოვანია უსაფრთხოების თვალსაზრისით. პრესას აქვს საზოგადოებრივი აზრის აღმზრდელობითი ფუნქციაც.

ნებისმიერი მოქმედება უფრო ეფექტური ხდება, როდესაც ის თანამშრომლობის პრინციპზეა დამყარებული. პლურალისტული სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია გააღრმავოს საკანონმდებლო პროცესები სხვადასხვა პერსპექტივიდან გამომდინარე. სახელმწიფოს ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული აზრისადმი თავის გამოხატვას პოულობს სიტყვის, ასოციაციების და გამოხატვის თავისუფლების საკონსტიტუციო დაცვაში.

თანამედროვე ამერიკელი მკვლევრები ლინცი და სტეფანი მიიჩნევენ, რომ დემოკრატიის კონსოლიდაციი-

სათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თავისუფალი და სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. ისინი ასახელებენ ხუთ სფეროს - სამოქალაქო საზოგადოება, პოლიტიკური საზოგადოება, კანონის მმართველობა, სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარტი, ინსტიტუციონალიზებული ეკონომიკური საზოგადოება, რომელთა გარეშეც დემოკრატიის კონსოლიდაცია ვერ განხორციელდება. ჩამოთვლილი ხუთი კომპონეტი, როგორც ლინცი და სტეფანი აღნიშნავენ, მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და აძლიერებენ ერთმანეთს.

სამოქალაქო საზოგადოება არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში ხელს უწყობს ცვლილებების დაწყებას, რეჟიმის გარდაქმნას, დემოკრატიზაციის სტიმულირებას. ავტონომიური საზოგადოებრივი ჯგუფების გააქტიურებამ ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო მოუღო სამხედრო ბიუროკრატიულ-ავტორიტარულ და კომუნისტური რეჟიმების არსებობას, ბიძგი მისცა დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებას. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ამცირების ავტორიტარიზმის დამყარების საფრთხეს და ხელს უწყობს დემოკრატიის გაღრმავებას და სრულყოფას. როგორც მკვლევარები აღიარებენ, სამოქალაქო საზოგადოებას განსაკუთრებული როლი ენიჭება დემოკრატიის მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ამკვიდრებენ დემოკრატიულ ღირებულებებს, ტოლერანტობას, პლურალიზმს, ქმნიან დემოკრატიული პროცედურების განხორციელების პრაქტიკას და შესაბამისად, აყალიბებენ დემოკრატიულ ტრადიციებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი დემოკრატიებისთვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ეხმარებიან მოქალაქეებს გამოხატონ საკუთარი ინტერესები და მოთხოვნილებები, უზრუნველყოფენ ინ-

ფორმაციის დაუბრკოლებლივ გადაცემას და გავრცელებას, მოქალაქეთა განათლებას საკუთარი უფლებების და მოვალეობების გათვითცნობიერების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი საჯარო საკითხების საზოგადოებისათვის გაცნობას.

სამოქალაქო საზოგადოება ზღუდავს და აკონტროლებს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რათა არ მოხდეს ძალაუფლების გადამეტება. როგორც ვაცლავ ჰაველი აღნიშნავს, რაც არ უნდა პოზიტიური მიზნების მატარებელი არ უნდა იყოს ხელისუფლება, საბოლოო ჯამში, მას ემუქრება „ხელისუფლებით გარყვნის„ ტენდენცია. ამდენად მუდმივი კონტროლი, ზეგავლენის შესაძლებლობა და პასუხისმგებლობის აღება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ამცირებს საჯარო ძალაუფლების გამოყენების შანსს პირადი სარგებლისთვის. მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ გულისხმობს მხოლოდ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელებას, არამედ სამოქალაქო საზოგადოება აძლევს პოლიტიკურ ელიტას საშუალებას განახორციელოს მმართველობითი ფუნქცია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მას გააჩნია ზეგავლენის პოტენციალი. დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა და ოპონირება ერთმანეთს ენაცვლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Larry Diamond, Developing Democracy: Toward Consolidation, Johns Hopkins University Press, 1999

2. Juan José Linz, Alfred C. Stepan, Problems of democratic transition and consolidation: southern Europe, South America, and post-communist Europe, JHU Press, 1996

3. John Ehrenberg, Civil Society: The Critical History of an Idea (New York: New York University Press, 1999

4. Civil Society, Democracy and Law
http://www.iskran.ru/cd_data/disk2/rr/028.pdf

5. Шапиро И. Демократия и гражданское общество// `Полис` (`Политические исследования`) 1992-№4

3. სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი

უკანასკნელ წლებში სოციალური კაპიტალის მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება. თანამედროვე პირობებში სოციალური კაპიტალი ითვლება ლიბერალურ დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ელემენტად. სოციალური კაპიტალის წარმოქმნის და განვითარების ერთ-ერთი წყაროა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და გაერთიანებები. თავის მხრივ, სოციალური კაპიტალი, ნდობა და თანამშრომლობის სურვილი ადამიანებს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბონ ჯგუფები და ასოციაციები, რომლებიც საერთო მიზნების რეალიზაციას უზრუნველყოფენ. სოციალური კაპიტალი და სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობენ სამოქალაქო მონაწილეობას და, საბოლოო ჯამში, დემოკრატიის კონსოლი-

დაციას. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ სოციალური კაპიტალის არსს, მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფუნქციებს და მიმართებას სამოქალაქო საზოგადოებასთან.

სოციალური კაპიტალის ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სოციალური კაპიტალის განმარტებაში შეიძლება გარკვეული უთანხმოება და წინააღმდეგობებიც არსებობდეს. სოციალური კაპიტალის განმარტებათა უმრავლესობას ისაა აქვს საერთო, რომ აქცენტი კეთდება სოციალურ ურთიერთობებზე, რომელიც საბოლოო ჯამში პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების სხავადასხვა ასპექტზე. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ სოციალური კაპიტალი მრავალგანზომილებიანია და კონცეპტუალიზებული უნდა იყოს იმის მიხედვით, რამდენად აქვს ახსნითი ღირებულება. ამასთან მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ სოციალური კაპიტალი ეკონომიკური ცნებაა და ადექვატურად არ არის აღქმული მისი მრავალგანზომილებიანი და მულტიდისციპლინური ხასიათი.

პირველად ტერმინი "სოციალური კაპიტალი„ გამოჩნდა 1916 წელს ლიდ ჯადსონ ხანიფანთან, სოფლის სკოლების შესახებ დისკუსიის დროს. მან ეს ტერმინი გამოიყენა „იმ მნიშვნელოვანი მოვლენების აღსაწერად, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე." ხანიფანი მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელია კეთილი ნების, ძმობის, ურთიერთსიმპათიის და ზოგადად, ისეთი უნარების განვითარება, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადამიანებს ერთმანეთში დაამყარონ სოციალური კავშირები, რაც თავის მხრივ წარმოქმნის სოციალურ ერთობას.

დროთა განმავლობაში ტერმინი პოპულარული გახდა. ჯეინ ჯეკობსმა 1961 წელს სოციალური კაპიტალის ცნება გამოიყენა ქალაქური ცხოვრებასა და კეთილმე-

ზობლობასთან დამოკიდებულებაში. პიერ ბურდიე განსაზღვრავდა სოციალურ კაპიტალს სოციალურ თეორიასთან მიმართებაში. იგი თავის ნაშრომში „კაპიტალის ფორმები„ განასხვავებს სამი ფორმის კაპიტალს: ეკონომიკურს, კულტურულს და სოციალურ კაპიტალს. ამ უკანასკნელს ის განსაზღვრავს, როგორც ფაქტიური და პოტენციური რესურსების ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებულია მეტნაკლებად ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობების ან ორმხრივ ნაცნობობის და აღიარების ხანგრძლივი ქსელის ფლობასთან.„ მისი განსაზღვრება ფოკუსირდება იმ სარგებელზე, რომელსაც იღებს სოციალური კაპიტალის მფლობელი. სოციალური კაპიტალი იქმნება სოციალური ვალდებულებების, კავშირებისაგან, რომელიც კონკრეტულ პირობებში შეიძლება გადაიქცეს ეკონომიკურ კაპიტალად.

ჯეიმს კოულმანმა, 1988 წელს ეს იდეა შეიტანა აკადემიურ განხილვაში განათლების კონტექსტში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სოციალური კაპიტალი ყველაზე პოლულარული პოლიტიკური დისკუსიებისათვის გახადა პატნემის შრომებმა 1993 და 2000 წლებში. აღნიშნული ცნება 1999 წელს აიტაცა მსოფლიო ბანკმაც. მისი განმარტებით სოციალური კაპიტალი ეს არის ინსტიტუტები, ურთიერთობები და ნორმები, რომლებიც ქმნიან საზოგადოებაში ხარისხობრივ და რაოდენობრივ სოციალურ ურთიერთქმედებას. ახალი მონაცემები ამტკიცებენ, რომ სოციალური ერთიანობა გვევლინება ეკონომიკური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორად. როგორც მსოფლიო ბანკის შრომებშია აღნიშნული, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს არა მხოლოდ ინსიტუტების ერთობლიობას, არამედ არის „წებო„, რომელიც მათ ერთად აკავებს. ის იქმნება ჰორიზონ-

ტალური გაერთიანებების შედეგად და მოიცავს სოციალურ კავშირებს და შესაბამის ნორმებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ამ ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე. ბოლო პერიოდში უფრო და უფრო მეტი მკვლევარი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი კაპიტალი ხელს უწყობს ეკონომიკური კეთიდღეობის დამყარებას და ზრდას, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურ ამუშავებას. საზოგადოებაში, სადაც საზოგადოებრივი კაპიტალის მაღალი დონე არსებობს, ნაკლებია დმნაშავეობა.

ჯონ ფილდის მიხედვით, სოციალური კაპიტალის ცენტრალური თეზისია „ურთიერთობები„. სოციალური კავშირები საზოგადოებაში ეს არის ღირებულება. ადამიანებს შორის ურთიერთქმედება შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას გაერთიანებები, სადაც ადამიანები დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ ერთმანეთს.

ფრენსის ფუკუიამა მიუთითებს, რომ არ არსებობს სოციალური კაპიტალის საერთო შეთანხმებული განმარტება. ამდენად, ის სოციალურ კაპიტალს ხსნის, როგორც გაზიარებული ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ თანამშრომლობას. ფრენსის ფუკუიამა სოციალურ კაპიტალს მიაკუთვნებს კონკრეტული რეგიონის სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს: ნდობისა და ამბიციურობის დონეს, შრომისმოყვარეობას და ა.შ. ამასთან ძირითადი სოციალური კაპიტალი არის ნდობა სხვადასხვა ადამიანებს შორის. ღოგორც ფუკუიმა აღნიშნავს, ნდობა - ეს არის საზოგადოების წევრებს შორის წარმოშობილი მოლოდინი იმისა, რომ საზოგადოების სხვა წევრები იმოქმედებენ მეტნაკლებად მათი მოლოდინის შესაბამისად, პატიოსნად, გარშემომყოფთა საჭიროებების მიმართ იქნებიან ყურადღებიანი, ზოგიერთი საზოგადოებრივი ნორმის თანახმად. იმ ქვეყნებში, სადაც ნდობის დონე მაღა-

ლია, მეტია დიდი კორპორაციების რიცხვი იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ნდობის დაბალი დონეა. ის აღნიშნავს, რომ სოციალური კაპიტალი აუცილებელი პირობაა წარმატებული განვითარებისთვის, მაგრამ სოციალური კაპიტალის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია საკანონმდებლო წესრიგი და ძირითადი პოლიტიკური ინსტიტუტები. მას სჯერა, რომ ძლიერი სოციალური კაპიტალი აუცილებელია ძლიერი დემოკრატიისა და ეკონომიკური წინსვლისათვის. ზედმეტად ოჯახისადმი მიჯაჭვულობა, როდესაც ადამიანებმა მხარი უნდა დაუჭრონ ოჯახის წევრთა მოსაზრებებს, ფუკუიამას მიაჩნია სოციალური კაპიტალისთვის საზიანოდ. ფუკუიამას მიხედვით, დამაკავშირებელი (Bridging) სოციალური კაპიტალი ქმნის ნდობის უფრო ფართო რადიუსს და შესაძლებელს ხდის უფრო მრავალფეროვანი კავშირების ჩამოყალიბებას.

სოციალური კაპიტალის ცნებას განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა რ. პატნემის ნაშრომმა „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია." ამ პერიოდიდან სოციალური კაპიტალისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიები უფრო და უფრო იზრდება. პატნემის მიხედვით სოციალური კაპიტალი სწავლობს, სოციალური ორგანიზაციის ისეთ მახასიათებლებს როგიცაა ნდობა, ნორმები, ქსელები, რომელთაც შეუძლიათ გააუმჯობესონ საზოგადოების ეფექტურობა კორდინირებული დების ხელშეწყობით. აღნიშნულ ნაშრომში, პატნემი ადარებს იტალიის რეგიონებს 1960-იან წლებში ჩატარებული რეფორმების შედეგების მიხედვით. ან დაასკვნა, რომ, იტალიის ჩრდილოეთი რეგიონები, სადაც ადამიანები სოციალურად უფრო აქტიურები იყვნენ, მონაწილეობდნენ სხვადასხვა გაერთიანებებსა და ასოციაციებში, დაინტერესებული იყვნენ ადგილობრივი პოლიტიკის საკითხებით, სტაბილურად უკეთესად ვი-

თარდებოდნენ, ვიდრე „პასიური„ სამხრეთი რეგიონი, სადაც განვითარებული იყო პატრონ-კლიენტის ურთიერთობები.

პატნემის მიხედვით, სოციალური კაპიტალი მოიცავს ინდივიდთა შორის კავშირებს, სოციალურ ქსელებს, ურთიერთქმედების ნორმებს, ნდობას, რომელიც წარმოიშობა ადამიანთა შორის ურთიერთობების შედეგად. ინტერაქცია შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს შექმნან ერთობები და „მოქსოვონ სოციალური ქსოვილი."

მიკუთვნებულობის გრძნობას და სოციალური ქსელების კონკრეტულ გამოცდილებას, მკვლევართა მტკიცებით, ადამიანებისათვის დიდი სარგებელი მოაქვს. როგორც პატნემი წერს 2000 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ბოულინგი მარტოდ მარტო," საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხი და სოციალური ინსტიტუტების მოქმედება (და არა მხოლოდ ამერიკაში) დიდ ზეგავლენას განიცდიან სამოქალაქო ვალდებულებების ნორმებისა და ქსელებისაგან. პატნემი ასკვნის, რომ ამერიკის სოციალური კაპიტალი თანდათანობით კლებულობს, რადგანაც სამოქალაქო ვალდებულებების ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა ხმის მიცემა არჩევნებზე, პოლიტიკური მონაწილეობა, გაზეთების კითხვა და ადგილობრივ ასოციაციებში მონაწილეობა ამერიკელთა ცხოვრებაში უფრო და უფრო ნაკლებ ადგილს იკავებს.

როგორც პატნემი აღნიშნავს, სამოქალაქო საზოგადოების კონცეფტი ცენტრალურ როლს ასრულებს დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის წინაპირობების შესახებ გლობალურ დებატებში. ახალ დემოკრტიებში ეს ფრაზა ზუსტად ფოკუსირდება დინამიური სამოქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბებაზე. პატნემის თქმით, ბედის ირონიაა, როდესაც ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში მო-

ქალაქეთა მზარდი რიცხვი ეჭვ ქვეშ აყენებს მათი საჯარო დაწესებულებების ეფექტურობას იმ დროს, როდესაც ლიბერალური დემოკრატია მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების მიერ აღიარებულ იქნა მმართველობის ერთადერთ ლეგიტიმურ ფორმად. ეს ტენდენცია უკავშირდება ამერიკაში სამოქალაქო ვალდებულებების ეროზიას, რომელიც 1970-იანი წლებიდან დაიწყო. ამდენად საკითხი უნდა დაისვას, როგორ უნდა შემოტრიალდეს ეს არასასურველი ტენდენცია და აღდგეს სამოქალაქო ვალდებულებები და სამოქალაქო ნდობა.

2000 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში პატნემმა ახალი ემპირიული მონაცემების საფუძველზე აჩვენა, როგორ ხდებიან ამერიკელები უფრო და უფრო ნაკლებად დაკავშირებული საკუთარ ოჯახთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, დემოკრატიულ სტრუქტურებთან და როგორ უნდა დაამყარონ მათ ხელახალი კავშირები. პატნემი აღნიშნავს, რომ სოციალური კაპიტალის მარაგი ამერიკაში მკვეთრად დაეცა და გააღარიბა ადამიანების ცხოვრება და ერთობები. პატნემი დაახლოებით 500 ათას ინტერვიუზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ამერიკელები ბოლო პერიოდში ხელს აწერენ 30%-ით უფრო ნაკლებ პეტიციას, შემცირდა მათი მხრიდან ორგანიზაციებისადმი მიკუთვნებულობის რიცხვი, სადაც პერიოდულად იმართება შეხვედრები. ისინი 40%-ით ნაკლებად უერთდებიან მომხმარებელთა ბოიკოტის გამოხატვას, წინა ერთ ან ორ ათწლეულთან შედარებით. ასევე შესამჩნევად დაიკლო არაპოლიტიკურ ერთობებში აქტიურობამაც: წევრობა და მოღვაწეობა ყველანაირ ადგილობრივ კლუბში, სამოქალაქო და რელიგიურ ორგანიზაციებში მზარდი ტემპით ეცემა. 1970-იან წლებში საშუალო ამერიკელი რომელიმე კლუბის შეხვედრას ესწრებოდა თვეში ერთხელ, მაგრამ

1998 წელს დასწრების სიხშირე შემცირდა 60%-ით. ამერიკელები დღესდღეობით უფრო ნაკლებად იცნობენ მეზობლებს, ნაკლები სიხშირით ხვდებიან მეგობრებს და ურთიერთობა აქვთ ოჯახთან.

პატნემმა აჩვენა, რომ მე-20 საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ფუნდამენტური ცვლილებები მოხდა მთელ რიგ სფეროებში. პოლიტიკურმა და სამოქალაქო ვალდებულებებმა, არჩევნებზე ხმის მიცემამ, პოლიტიკურმა ცოდნამ, პოლიტიკური ნდობამ და რიგითი მოქალაქეების პოლიტიკურმა აქტივობამ დაიკლო. მართალია ამერიკელები ამჟამად უფრო მეტად ტოლერანტულები არიან, ვიდრე მათი წინა თაობა, მაგრამ ისინი ერთმანეთს უფრო ნაკლებად ენდობიან ვიდრე ადრე. მცირდება ჯგუფური აქტივობა და იზრდება ინდივიდუალური აქტივობა, რასაც პატნემი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების როლის ზრდას უკავშირებს.

მიჩნეულია, რომ სოციალური კაპიტალის ფორმირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადამიანთა შორის ნდობის მაღალი დონის არსებობა და მოქალაქეთა თავისუფალი ხელმისაწვდომობა კომუნიკაციის საშუალებებზე, მასობრივ ინფორმაციაზე.

სოციალური კაპიტალის თეორეტიკოსთა უმეტესობა აქცენტს აკეთებს იმ სარგებელზე, რაც შეიძლება მან მოიტანოს. ეს შეიძლება იყოს როგორც საერთო საზოგადოებრივი სიკეთე, ასევე ინდივიდუალური სარგებელი. პატნემი ძირითადად ეხება სარგებელს, რომელიც გროვდება რომელიმე ერთობაში, კოლმანი და ბურდიე აცხადებენ, რომ სოციალური კაპიტალი არსებობს ინდივიდუალურ დონეზე. ინდივიდები იღებენ სარგებელს სოციალური ურთიერთობებისა და კავშირებისაგან, მათ შეუძლიათ გამოიყენონ სოციალური კაპიტალი მაგალითად კარიერული წინსვლისთვის, ვიდრე მთლიანად ორგანიზაციის

სიკეთისათვის. პატნემი განსაზღვრავს, რომ სოციალურმა კაპიტალმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლობასა და ურთიერდამხმარებას სხვადასხვა გაერთიანებებში და ერებში. იგი წარმოადგენს ღირებულ საშუალებას სოციალურ უწესრიგობასთან საბრძოლველად, მაგალითად დანაშაულის აღმოსაფხვრელად. ერთობები, სოციალური კაპიტალის მაღალი დონით, უფრო ხშირად თანამშრომლობენ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. მათი მთავრობები უფრო მეტი პასუხისმგებელობით და პატიოსნებით გამოირჩევიან. სოციალური კაპიტალი ზოგადად აუმჯობესებს დემოკრატიულ ინსტიტუციურ მოქმედებას.

სოციალური კაპიტალის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია სოციალური ნდობის, ნორმების და ქსელების მარაგი, რომელიც ადამიანებს ეხმარება სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტაში. რაც უფრო ხშირია სამეზობლო ასოციაციები, სპორტკლუბები, სამოქალაქო ვალდებულებათა სხვა ქსელები, მით მეტია შანსი იმისა, რომ ამ ერთობის წევრები უფრო კარგად ითანამშრომლებენ საერთო სარგებლის მისაღებად. სოციალური კაპიტალი ქმნის განზოგადებული ურთიერთქმედების ნორმებს, რომელიც ემყარება მოლოდინს იმის შესახებ, რომ გაცემული სიკეთე შემდეგში დაგიბრუნდება. ის ხელს უწყობს კოორდინაციას და კომუნიკაციას. სოციალური კაპიტალი შესაძლებლობას აძლევს ინდივიდებს, ჯგუფებს და გაერთიანებებს უფრო ადვილად გადაწყვიტონ კოლექტიური პრობლემები. ურთიერთპასუხისმგებლობის და ურთიერთქმედების ნორმები ეხმარებათ უზრუნველყონ კოლექტიური მოქმედების შესაბამისი მოთხოვნები. ნდობისა და ურთიერთკავშირის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს კომპრომისებს ურთიერთობაში, ინდივიდები არ ითანამშრომ-

ლობენ, იმიტომ რომ არ იქნებიან დარწმუნებული სხვა მონაწილეთა ანალოგიურ ქმედებებში.

სოციალური კაპიტალის თანამედროვე თეორია მის სამ ფორმას განასხვავებს. ამ შემთხვევაში ვეყრდნობით მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილ მასალებს.

- Bonding Social Capital- ვალდებულებითი სოციალური კაპიტალი. იგი მოიცავს კავშირებს ახლობელ ადამიანებს შორის მსგავს სიტუაციებში, ერთი ოჯახის წევრებს, ახლო მეგობრებს და მეზობლებს შორის. ესაა ურთიერთობის არაფორმალური სფერო.

- Bridging Social Capital - დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი. ეს არის კავშირები კოლეგებს, ნაცნობებს და უბრალოდ მეგობრებს შორის. იგი ამყარებს პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას ადამიანებს შორის, რომლებიც პიროვნულად არ არიან ახლოს, მაგრამ იმყოფებიან ერთ იერარქიულ დონეზე. ეს არის სამოქალაქო სფერო.

- Linking Social Capital - გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი, როდესაც სხვადასხვა გაერთიანებების წევრები უცნობ სიტუაციაში აერთიანებენ რესურსებს. ადამიანებს შორის ურთიერთობები ყალიბდება სხვადასხვა იერარქიული წრიდან (ვერტიკალურ დონეზე) ეს არის ინსტიტუციონალური სფერო. პატნემი განიხილავდა სოციალური კაპიტლის ორ ფორმას: ვალდებულებითი, რომელიც გამორიცხავს „უცხო ადამიანებს„ და დამაკავშირებელი, რომელიც თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ ადამიანის ახლობელთა წრეს, არამედ უცხო ადამიანებს. პატნემის მიხედვით პირველს გააჩნია ტენდენცია გააძლიეროს ჯგუფის ერთიანობა, ხოლო მეორეს ჩართოს და გააერთიანოს ახალი ადამიანები სოციალური სხვაობის მიუხედავად.

შესაძლოა რომ შედარებით მსგავსი ჯგუფები ხასიათდებოდნენ ნდობისა და კოოპერაციის მაღალი ხარისხით ჯგუფის შიგნით, მაგრამ საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან ურთიერთობაში - დაბალი ხარისხით. იქ სადაც დამაკავშირებელი და გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი დაბალია, მაშინ ვალდებულებითი სოციალური კაპიტალი ხდება გარკვეული ბარიერი საზოგადოების სოციალური ერთიანობისთვის. ნდობის შეზღუდული რადიუსი, მაგალითად მხოლოდ ოჯახის წევრებს ან ახლო მეგობრებს შორის, ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთქმედებას მხოლოდ ამ ჯგუფის წევრებს შორის და ნაკლებად ორინეტირებულია ნდობასა და თანამშრომლობაზე ფართო საზოგადოებასთან.

სოციალური კაპიტალის ისეთი ასპექტები, როგორიცაა ვალდებულებები, მოლოდინი, სტრუქტურებისადმი ნდობა შეიძლება დროთა განმავლობაში ინდივიდუალურ კაპიტალად გადაიქცეს. მოყავთ ასეთი კლასიკური მაგალითი: თუკი ერთი ადამიანი აკეთებს რაიმეს მეორესთვის და სჯერა, რომ მეორე უპასუხებს ასევე მომავალში, წარმოიშობა მოლოდინი პირველი მხრიდან და ვალდებულება მეორე მხრიდან. ეს მოლოდინი შეიძლება განვიხილოთ როგორც საკრედიტო ბარათი, რომელსაც პირველი მხარე უხსნის მეორე მხარეს. ბევრ სოციალურ სტრუქტურაში ითვლება, რომ ადამიანები ყოველთვის უწევენ ერთი მეორეს რაიმე სამსახურს, დახმარებას, წარმოიქმნება საკრედიტო ბარათები და, შესაბამისად, ვალდებულება ორივე მხრიდან, თუმცა შესაძლოა ისინი სრულად არ იქნენ კომპენსირებულნი. ზოგიერთ სოციალურ სტრუქტურაში, სადაც ადამიანები უფრო თვითკმაყოფილნი არიან და ნაკლებად დამოკიდებულნი ერთი მეორეზე, ასეთი საკრედიტო ბარათები მცირეა.

სოციალური კაპიტალის გაზომვა საკმაოდ ძნელი ამოცანაა. როგორც წესი, ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინდიკატორებია ნდობა, სოციალურ და ჯგუფებს შორის მოღვაწეობის პროცესში ჩართულობისა და ურთიერთქმედების დონე. არსებობს სოციალური კაპიტალის გაზომვის სხვადასხვა ინდიკატორები: ნდობა ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ დონეზე, სამოქალაქო ორგანიზაციების წევრობა, ხმის მიცემა არჩევნებში, მოხალისეობა, გაზეთების კითხვა და ა.შ. პატნემი ნაშრომში „ბოულინგი მარტოდმარტო," აშშ-ი სოციალური კაპიტალის გასაზომად იყენებს შემდეგ ინდიკატორებს:

- ორგანიზაციული ცხოვრება — საზოგადოებრივ და ორგანიზაციულ ცხოვრებაში ჩართულობის ინტენსიურობა, ინდივიდთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ორგანიზაციების, კლუბების, სამოქალაქო ორგანიზაციების, ჯგუფების მოღვაწეობაში.
- საზოგადოებრივი აქტიურობა, საზოგადოებრივ საქმიანობაში დაკავებულობის დონე - შეკრებებზე, საჯარო შეხვედრებზე დასწრება.
- ვოლუნტარიზმის დონე, საქველმოქმედო და ნებაყოფლობითი მოღვაწეობა - არამომგებიანი ორგანიზაციების რიცხვი, პროექტზე, მოხალისეობრივ საქმიანობაზე დახარჯული დრო.
- არაფორმალური კომუნიკაცია, ურთიერთობები, - მეგობრებთან ვიზიტი, სახლში გართობა, დროის გატარება.
- სოციალური ნდობის დონე, პიროვნებათშორისი ნდობის აღნიშვნადი დონე - ინდივიდთა რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ ადამიანთა უმეტესობა სანდო და პატიოსანია.

სოციალური კაპიტალის კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი შემადგენელი ასპექტები შეფარდებითი ფორმით არსებობენ, ამიტომ ინდივიდუალური დამოკიდებულება, ნდობა და ქცევა, მონაწილეობა ორგანიზაციებში, ხმის მიცემის პროცესში, იძლევა სოციალური კაპიტალის პირობით მაჩვენებლებს. მსოფლიო ბანკი ახორციელებს სოციალური კაპიტალის კვლევას სპეციალურად შემუშავებული კვლევებისა და მოდულების მეშვეობით. სოციალური კაპიტალის შეფასების ერთ-ერთი საშუალებაა სოციალური დისფუნქციების გაზომვასა და სოციალური კოოპერაციების არარსებობაზე დაფუძნებული კვლევა. მაგალითად, ფუკუიამა სოციალურ კაპიტალში ცვლილებებს ზომავს დანაშაულის დონის, ოჯახების დანგრევის და ნდობის მაჩვენებლებში ცვლილებების მასშტაბით. ამავე დროს აუცილებელია სიფრთხილით გამოვიყენოთ სოციალური დისფუნქციის მაჩვენებლები, რადგანაც სოციალური კატაკლიზმების მიზეზები მხოლოდ სოციალური კაპიტალი არ არის. ამდენად დიდია მიზეზების და შედეგების ურთიერთ აღრევის რისკი.

სოციალური კაპიტალი გამოიხატება სხვადასხვა ნორმებსა და ინსტიტუტებში. სამეცნიერო დისკუსიებში სოციალური კაპიტალის წყაროებს შორის ძირითადად გამოყოფენ ნებაყოფლობით და სამოქალაქო ასოციაციებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. თუმცა სოციალური კაპიტალის შესწავლისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა ასევე ოჯახი, სკოლა, ტერიტორიალური ერთობა, სახელმწიფო სექტორი და სხვა პოლიტიკური და იურიდიული ნორმები.

თანამედროვე ლიტერატურაში სოციალური კაპიტალის წყაროებს შორის დიდი ყურადღება ეთმობა ასევე ეკონომიკურ კავშირებს, ნდობას და პარტნიორობას, რაც შეიძლება გამოხატოს ერთობლივი საწარმოების შექმნით.

ინოვაციები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე წარმოებაში, ეყრდნობა არა მხოლოდ სამეცნიერო აღმოჩენებს და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, არამედ ურთიერთკავშირებსა და მხარდაჭერას. ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ცოდნისა და უნარჩვევების სოციალიზირებას მომუშავეთა ურთიერთქმედების ეფექტური ფორმებით, კავშირებით, ნდობის ნორმებით და თანამშრომლობით, სოციალური კაპიტალის მნიშვნელოვანი წყაროები ხდებიან.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში წარმოიშობა სოციალური კაპიტალის რესურსი. სამოქალაქო საზოგადოება სოციალური კაპიტალის წარმოების მნიშვნელოვანი აქტორია. თავის მხრივ, სოციალრი კაპიტალი აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას. სოციალური კაპიტალის მაღალი დონე საზოგადოებაში ითვლება ასევე ლიბერალური დემოკრატიის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელ პირობად. სოციალური კაპიტალის დაბალი დონის არსებობის დროს, პოლიტიკურ სისტემა არის კორუმპირებული, ნაკლებად მგრძნობიარე საზოგადოებრივი მოთხოვნების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bourdieu, P. The forms of capital. In J. Richardson (Ed.) 1986

2. Putnam, Robert D. (January 1995). "Bowling Alone: America's Declining Social Capital". Journal of Democracy 6 (1): 65–78. http://xroads.virginia.edu/~HYPER/DETOC/assoc/bowling.html.

3. Putnam, Robert D. What makes democracy work? National Civic Review; Spring 1993

4. Social Capital and Civil Society Francis Fukuyama The Institute of Public Policy George Mason University October 1, 1999

5. მსოფლიო ბანკი
http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/EXTSOCIALDEVELOPMENT/EXTTSOCIALCAPITAL/0,,contentMDK:20185164~menuPK:418217~pagePK:148956~piPK:216618~theSitePK:401015,00.html

თავი V. სამოქალაქო საზოგადოების გლობალიზაცია

1. გლობალური სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოების ცნების მნიშვნელობა დროთა განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა სხვადასხვა თეორიული პერსპექტივების და პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით. თანამედროვე გაგებით სამოქალაქო საზოგადოება ორგანიზაციათა დიდ მრავალფეროვნებას მოიცავს: აკადემიური ინსტიტუტები, ბიზნეს ასოციაციები, მომხმარებელთა დაცვის ორგანიზაციები, განვითარებაზე ორიენტირებული ჯგუფები, გარემოს დაცვის კამპანიები, ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციები, საქველმოქმედო, შემწეობის ორგანიზაციები, მშვიდობის დაცვის აქტივისტები, პროფესიული წარმონაქმნები, ქალთა ქსელები, ახალგაზრდული და სხვა გაერთიანებები და კავშირები.

თუ სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის საწყისებს ვხვდებით ჯერ კიდევ არისტოტელესთან, გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბარი იწყება 1990-იანი წლებიდან, როდესაც კომენტატორები ერთმანეთთან კავშირში მიმოიხილავენ „საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს," „ტრანსნაციონალურ დამცავ ქსელებს," „გლობალურ სოციალურ მოძრაობას" და ა.შ.

- თანამედროვე ბრიტანელი თეორეტიკოსი ჯ.კეანი გლობალური სამოქალაქო საზოგადოების აქტუალიზების ისტორიული კონტექსტის დასახასიათებლად გამოყოფს შვიდ ურთიერთდაკავშირებულ ტენდენციას:
- აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ლიბერალი ინტელექტუალების მიერ სამოქალაქო საზოგადოე-

ბის კონცეფციის აღორძინება 1968 წელს პრაღის გაზაფხულის ძალადობრივი ჩახშობის შემდეგ და მისი აქტუალიზაცია 1990-იან წლების დასაწყისში პოსტკომუნისტური რევოლუციების პერიოდში;

- ახალი თანამგზავრული და კომპიუტერული ტექნოლოგიების და კომუნიკაციების რევოლუციური ეფექტის ზეგავლენა;
- მასობრივი პაციფისტური და ეკოლოგიური მოძრაობების ზეგავლენით ახალი გლობალური ცნობიერების ფორმირება არამდგრადი და პოტენციურად თვითგანადგურებადი მსოფლიოს შესახებ;
- საბჭოთა ტიპის კომუნისტური სისტემის დამხობის შემდეგ ახალი გლობალური პოლიტიკური წესრიგის დამყარების შესახებ წარმოდგენის გავრცელება;
- ნეოლიბერალური ეკონომიკური პარადიგმის გავლენის მნიშვნელოვანი გაძლიერება და მთელს მსოფლიოში საბაზრო კაპიტალისტური ეკონომიკის აღზევება;
- მასობრივი იმედგაცრუების განწყობილება, უპირველეს ყოვლისა „მესამე სამყაროს„ სახელმწიფოების მოსახლეობაში პოსტკოლონიალური ქვეყნებისათვის დაპირებული ეკონომიკური დახმარების თაობაზე;
- პანიკის გაძლიერება საშიში და ეკონომიკურად არასასურველი პოლიტიკური ვაკუუმის გამო, რომელიც წარმოიშვა იმპერიების და დიდი სახელმწიფოების დაცემის შედეგად. ეს, თავის მხრივ, მრავალი ამოქალაქო ომის მიზეზი გახდა პლანეტის სხვადასხვა კუთხეში.

როგორც მკვლევრები აღიარებენ, ტერმინი „გლობალური სამოქალაქო საზოგადოება„ განიცდის გარკვეული

თეორიული და კონცეპტუალური სიცხადის ნაკლებობას. გლობალური სამოქალაქო საზოგადოება, ისევე როგორც, უბრალოდ სამოქალაქო საზოგადოება, შეიძლება განხილული იქნეს ძირითადად ორი მიმართულებით. პირველ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება გაგებულია, როგორც საზოგადოებრივი მოწყობის თავისებური ფორმა, რომელიც ეფუძნება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს და საზოგადოებრივი სიკეთის მისაღწევად კოლექტიური მოქმედების განხორციელებას. ამ გაგებით გლობალური სამოქალაქო საზოგადოება მთელ მსოფლიოში ადამიანთა შორის ინტერაქციისა და ინტეგრაციის გაღრმავების პროცესს წარმოადგეს, რომელიც მიზნად ისახავს ძალისხმევათა გაერთიანებას ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ადამიანის უფლებების დასაცავად, სამართლიანობის მისაღწევად საერთაშორისო მასშტაბით. მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელს. ამ გაგებით, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება განხილულია როგორც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლიობა.

ხშირად კამათობენ, თუ რომელი ტერმინი უნდა გამოიყენებოდეს - საერთაშორისო თუ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება. თავად სამოქალაქო საზოგადოება უკვე აღიარებული ცნებაა, რომლის ფორმირებასა და განვითარებას წლები დასჭირდა, რათა დღევანდელი სახე მიეღო. გლობალური სამოქალაქო საზოგადოება შედარებით ახალი ცნებაა, ისევე როგორც გლობალიზაცია. ამიტომ იგი ჯერ კიდევ არ არის უნივერსალური და საყოველთაოდ მიღებული.

ზოგიერთი თეორეტიკოსი ზემოთ აღნიშნულ ფენომენს უწოდებს „ტრანსნაციონალურ სამოქალაქო საზოგადოებას“, მაგრამ როგორც ანტონი მაკგრიუ აღნიშნავს, ეს ტერმინი ვერ გამოხატავს თავად პროცესის მასშტაბებს. ტრანსნაციონალური სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს

მხოლოდ ქვეყნის საზღვრის გადაკვეთას, თუმცა ნაკლებად გამოხატავს იმ ფაქტს, რის წინაშეც ამჟამად ვდგავართ.

ჯ. კეანი გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას ახასიათებს, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ ფართო, მრავალშრიან სოციალურ სივრცეს, რომელიც შედგება ასობით ათასი თვითმართვადი და არასამთავრობო დაწესებულებებისა და ცხოვრების წესისაგან. კეანის განსაზღვრებით, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება ურთიერთდაკავშირებული სოციალ-ეკონომიკური ინსტიტუტების დინამიური არასახემწიფოებრივი სისტემაა, რომელიც მთელ პლანეტას მოიცავს და რომლის მოღვაწეობის კომპლექსური ეფექტი იგრძნობა მის ყველა კუთხეში.

ანტონ მაკკრიუ ნაშრომში „გლობალური დემოკრატიის ტრანსფორმაცია" გლობალური სამოქალაქო საზოგადოების შედარებით უფრო კონკრეტულ განმარტებას გვაძლევს. აღნიშნული ნაშრომის მიხედვით, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება არის ტერმინი, რომელიც მოიცავს ორგანიზაციებს, ასოციაციებს და მოძრაობებს, რომლებიც არსებობენ ინდივიდუალურ დონეზე და სახელწიფოზე დაბლა, მაგრამ ეროვნულ საზღვრების მიღმა.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოება სცილდება ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს და მოქმედებს საერთაშორისო მასშტაბით, რომელიც აერთიანებს თავის ქსელში და ორგანიზაციებში სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. ასეთი გაერთიანებები საკუთარ აქტივობას მიმართავენ სტიქიური უბედურების შედეგების წინააღმდეგ, სხვადასხვა ავადმყოფობებთან, ეპიდემიებთან საბრძოლველად, ეკოლოგიის პრობლემების გადაწყვეტად, საერთაშორისო დემოკრატიული კოალიციების შესაქმნელად და ა.შ. სამოქალაქო საზოგადოების მთავარი რგოლია არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ტრანსფორმირდებიან გლობალურ ფორმატში საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანი-

ზაციებად. ასეთი ტრანსფორმაციის კარგი მაგალითია გავლენიანი უფლებადამცავი ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია„ (Amnesty International). იგი თავდაპირველად პატარა ბრიტანულ არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, რომელიც დააფუძნა ინგლისელმა ადვოკატმა პეტერ ბენენმა 1961 წელს ლონდონში. დღეისათვის ამ ორგანიზაციის ქსელი მოიცავს დაახლოებით ერთ მილიონ ადამიანს, მოხალისეებსა და დონორებს მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანაში. საერთაშორისო გავლენიან ორგანიზაციებს შორის უნდა დავასახელოთ „ექიმები საზღვრების გარეშე," „რეპორტიორები საზღვრების გარეშე", ძლიერი ეკოლოგიური ორგანიზაციები „მწვანე მსოფლიო" (Greenpeace) და „პლანეტის მეგობრები" (Friends of the Earth Inter National). საერთაშორისო ანტიკორუფციული ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა" (Transparency International), ადამიანის უფლებათა დამცავი საერთაშორისო ორგანიზაცია „Human Right Watch„, საერთშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „Oxfam".

არსებობს თავად საერთაშორისო ორგანიზაციების გამაერთიანებელი კოალიციები, მაგალითად საერთაშორისო ასოციაციების კავშირი Union of International Associations, სამოქალაქო მონაწილეობის მსოფლიო ალიანსი Alliance for Citizen Participation — CIVICUS. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ გაეროსთან, ზოგიერთ მათგანს აქვს ამ ორგანიზაციაში საკონსულტაციო ან დამკვირვებლის სტატუსი. 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის არსებობდა დაახლოებით 50 ათასი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია მართალია მათი მთავარი ოფისები განლაგებულია ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ ისინი თავის საქმიანობას პლანეტის ყველა კუთხეში ახორციელებენ. ამ ორგანიზაციების უზრუნველყოფის ფინანსური მასშტაბები საკმაოდ შთამბეჭდავია.

ზაციებად. ასეთი ტრანსფორმაციის კარგი მაგალითია გავლენიანი უფლებადამცავი ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია„ (Amnesty International). იგი თავდაპირველად პატარა ბრიტანულ არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, რომელიც დააფუძნა ინგლისელმა ადვოკატმა პეტერ ბენენმა 1961 წელს ლონდონში. დღეისათვის ამ ორგანიზაციის ქსელი მოიცავს დაახლოებით ერთ მილიონ ადამიანს, მოხალისეებსა და დონორებს მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანაში. საერთაშორისო გავლენიან ორგანიზაციებს შორის უნდა დავასახელოთ „ექიმები საზღვრების გარეშე," „რეპორტიორები საზღვრების გარეშე", ძლიერი ეკოლოგიური ორგანიზაციები „მწვანე მსოფლიო" (Greenpeace) და „პლანეტის მეგობრები" (Friends of the Earth Inter National). საერთაშორისო ანტიკორუფციული ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა" (Transparency International), ადამიანის უფლებათა დამცავი საერთაშორისო ორგანიზაცია „Human Right Watch„, საერთშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „Oxfam".

არსებობს თავად საერთაშორისო ორგანიზაციების გამაერთიანებელი კოალიციები, მაგალითად საერთაშორისო ასოციაციების კავშირი Union of International Associations, სამოქალაქო მონაწილეობის მსოფლიო ალიანსი Alliance for Citizen Participation — CIVICUS. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ გაეროსთან, ზოგიერთ მათგანს აქვს ამ ორგანიზაციაში საკონსულტაციო ან დამკვირვებლის სტატუსი. 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის არსებობდა დაახლოებით 50 ათასი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია მართალია მათი მთავარი ოფისები განლაგებულია ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ ისინი თავის საქმიანობას პლანეტის ყველა კუთხეში ახორციელებენ. ამ ორგანიზაციების უზრუნველყოფის ფინანსური მასშტაბები საკმაოდ შთამბეჭდავია.

2000-იანი წლების დასაწყისში ყოველწლიური მიზნობრივი სახსრების სიდიდემ ეკონომიკური დახმარების პროგრამებით, რომელსაც ანაწილებდა საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, 7 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. (1)

გლობალური სამოქალაქო საზოგადოება სწრაფად მზარდი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით გამოისახება. ბოლო ათწლეულში ასეთი ორგანიზაციების რიცხობრივი მაჩვენებლებისა და აქტივობების სწრაფი ზრდა შეინიშნება. საერთაშორისო ორგანიზაციები საქმიანობის სხვადასხვა ფორმებით არიან დაკავებული, როგორიცაა ადამიანის უფლებების, გარემოს დაცვა, ქალთა პრობლემატიკის წინ წამოწევა, სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მათი მოღვაწეობის არსი ხელს უწყობს მშვიდობას ან ამცირებს კონფლიქტის შედეგად მიყენებულ ზიანს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაამყარეს კომუნიკაციის ეფექტური ტრანსნაციონალური კავშირები და ქსელები, რაც გავლენას ახდენს მთავრობებსა და მსოფლიო ინსტიტუტებზე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ხელშეკრულების შინაარსა და ქარტიაზე გაეროს გარემოს დაცვის კონფერენციაზე 1992 წელს. განვითარების ქსელები ხელს უწყობს მცირე ზომის ორგანიზაციების დაფუძნებას, რომლებიც აწვდიან სხვადასხვა დახმარების სერვისებს ღარიბ და იზოლირებულ მოსახლეობას. ასე მაგალითად, არსებობს ფართოდ გავრცელებული ორგანიზაციების გლობალური ქსელი, რომელიც ზრუნავს შიდსის პრევენციაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების წყალობით სამედიცინო უნარ-ჩვევები და ტექნოლოგია ბევრ განვითარებად ქვეყანას გადაეცემა.

იზრდება თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მუშაობენ გარემოსდაცვაზე, ადამიანის უფლებებზე, ჯანდაცვაზე, რეაბილიტაციაზე, რადგან

გარემოს განადგურებას და დეგრადირებას შეუძლია გამოიწვიოს შიმშილი, გააუარესოს ჯანმრთელობა და ადამიანებს საცხოვრებელი ადგილის პრობლემები შეუქმნას. გლობალური საზოგადოების ასეთ ქსელს შეუძლია წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მშვიდობის ხელშეწყობაში, რადგან სიღარიბე, სოციალური უთანასწორობა, გარემოსდაცვითი პრობლემები კონფლიქტის გამომწვევი ფაქტორებია. საერთაშორისო, დამხმარე ორგანიზაციები ხშირად განსაზღვრავენ ადგილობრივ შესაძლებლობებს მშვიდობის საქმეში და ადგენენ პროგრამებს მათი მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით. საერთაშორისო ინსტიტუტები და რეგიონული ორგანიზაციები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან, რათა პოლიტიკური დახმარების წყალობით დემოკრატიულ უფლებების განვითარებასა და თავისუფლებების მოპოვებას შეეწყოს ხელი. გლობალური სამოქალაქო საზოგადოება გამოყოფს დამატებით პოტენციალს უსაფრთხოების ზრდის, დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში.

იმისათვის, რომ კარგად გავერკვიოთ გლობალური სამოქალაქო საზოგადოების არსში, საჭიროა თავად გლობალიზაციის კონცეფციის ღრმად გააზრება. ვერავინ უარყოფს მსოფლიოში მზარდ გლობალიზაციის პროცესებს. როგორც კი ჩავრთავთ ტელევიზორს, ჩვენ ვხდებით ამ პროცესის ნაწილი. მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბები ჩვენს ცხოვრებაში იჭრება, სატელეფონო ზარმა შეიძლება დაგაკავშიროთ პიროვნებასთან, ვინც ათასობით მილის მოშორებით იმყოფება, თვითმფრინავმა შეიძლება გადაგაკვეთინოთ საერთაშორისო საზღვრები რამდენიმე საათში და წუთებშიც კი. სხვადასხვა ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური აქტივობები გლობალურად მიმდინარეობს. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობაზე დაფუძნებული გლობალური სამოქალაქო საზოგადოებასაც ხში-

რად გლობალიზაციის პროცესის ნაწილად განიხილავენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრები ხშირად აკრიტიკებენ გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას იმ მიმართებაში, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოების პროექტი დასავლური კულტურული ცხოვრებისა და კაპიტალისტური ტიპის ეკონომიკის ექსპანსიას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში. მაგალითად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების 60% დაფუძნებულია ევროკავშირში და მათი წევრების ერთი მესამედი დასავლეთ ევროპაშია დაფიქსირებული. ეს სივრცე ყველაზე მეტადაა გლობალიზებული, თუ განვიხილავთ გლობალური კაპიტალიზმის კონცენტრაციას ტრანსნაციონალური კორპორაციების არსებობით და მნიშვნელოვანი სავაჭრო თუ უცხოური ინვესტიციებით.

გამოყოფილია იდეალური ტიპიური დამოკიდებულებები გლობალიზაციის მიმართ.

- უპირობო მხარდამჭერები
- რეგრესიული გლობალისტები (regressive globalisers)
- რეფორმატორები
- ალტერნატივისტები

გლობალიზაციის ოთხი განსხვავებული ხედვა სცილდება გლობალური სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციას და დაიყვანება გლობალიზაციის კონცეფციის ინდივიდუალურ მიდგომებამდე. პირველი, აშკარად არის გლობალიზაციის მხარდაჭერა და გლობალური სამოქალაქო საზოგადოების შენარჩუნება. რეგრესიული გლობალისტები მხარს უჭერენ მის ცალკეულ ასპექტებს და ტენდენციებს, რომელიც პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს გავლენიანი უმცირესობის მოღვაწეობაზე, მიუხედავად გლობალიზაციის ცალკეული გამოვლინებების უარყოფითი შედეგებისა დანარჩენი მოსახლეობისათვის. რეფორმისტები ან დისტრიბუციული გლობალიზაციის მომხრეები მოითხოვენ საერთაშორისო ჰუმანი-

ტარული უფლებების გაძლიერებას, მიისწრაფვიან ცივილიზებული ჰუმანისტური გლობალიზაციის დამკვიდრებისკენ, რომელიც ხელს უწყობს უმრავლესობის კეთილდღეობის მიღწევას. ალტერნატივისტებს სურვილი აქვთ გლობალიზაციის პროცესს გამოეყონ, მაგრამ კვლავ მხარს უჭერენ სამოქალაქო საზოგადოების ინტერვენციას. აქ ისმევა დამაბნეველი შეკითხვა: ნიშნავს თუ არა სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა მთლიანად გლობალიზაციის პროცესის მხარდაჭერას. ეს საკითხი აკადემიურ წრეებში კვლავაც გადაუჭრელი რჩება

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ცნების შინაარსი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დაუსრულებელი კამათის საგანია. ტერმინი მუდმივად განიცდის სრულყოფას და ახალი ფაქტორების დამატებით ახალ შინაარსს იღებს. ჯ.კეანი აღნიშნავს, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება, როგორც მუდმივად განვითარებადი სოციალური ფენომენი, დაუსრულებელი პროექტია. გლობალური სამოქალაქო საზოგადოების მიზანს წარმოადგენს მსოფლიოს ახლებური გაერთიანება.

ლონდონის ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები ლესტერი, სალამონი, ანჰეიერი ნაშრომში „სამოქალაქო საზოგადოება შედარებით პერსპექტივაში„, საუბრობენ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებზე საერთო ცოდნის გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ. სიცოცხლისუნარიანი არაკომერციული სექტორს არსებობა განხილულია არა როგორც ფუფუნება, არამედ როგორც აუცილებლობა მსოფლიოს ხალხებისათვის. ამგვარი ინსტიტუტები ეხმარებიან მოქალაქეებს საკუთარი ინტერესების გამოხატვაში, უზრუნველყოფენ მთავრობის პასუხისმგებლობას, ხელს უწყობენ სხვადასხვა ერთობებს, დაუკმაყოფილებელი ინტერესების წარმოჩენას და, ზოგადად, აუმჯობესებენ ცხოვრების ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. წყარო: Anheier H., Themudo N. Organizational Forms of Global Civil Society: Implications of Going Global // Glasius M., Kaldor M., Anheier H. (eds.). Global Civil Society 2002. — Oxford, 2002. — P.191–217.

2. Keane J. Global Civil Society? — Cambridge, 2003.

3. The Transformation of Global Democracy ? Anthony McGrew;Open University Press; 1997;

4. Global Civil Society 2001; H. Anheier; M.Glasius; M.Kaldor; Oxford University Press; 2001

5. Lipschutz, R "Reconstructing World Politics: the Emergence Of Global Civil Society" Millennium. Journal of International Studies Vol.21, No. 3, Winter 1992

3. ახალი სოციალური მოძრაობები და სამოქალაქო საზოგადოება

თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური მოძრაობის ბევრი სახეობა არსებობს. თავად ტერმინი 1850 წელს პირველად გამოიყენა გერმანელმა სოციოლოგმა ლორენც ფონ შტაინმა წიგნში „საფრანგეთის სოციალური მოძრაობები 1789 წლიდან ახალ დრომდე." ერთ-ერთი განმარტებით, სოციალური მოძრაობა არის ხალხის შედარებით დიდი მასის მხრიდან მეტნაკლებად მყარი და ორგანიზებული მცდელობა განახორციელონ ესა თუ ის სოციალური ცვლილება ან პირიქით, არ დაუშვან ისინი. სოციალური მოძრაობა ჩვეულებრივ გულისხმობს მასობრივი კოლექტიური მოქმედების წარმოჩენას სპეციფიკური მიზნებისა და ინტერესების რეალიზაციისათვის.

ნებისმიერი სოციალური მოძრაობა გარკვეული ფორმით გულისხმობს კოლექტიურ მცდელობას საერთო ინტერესები განახორციელოს ერთობლივი მოქმედების მეშვეობით ოფიციალური ინსტიტუტების სფეროს გვერდის ავლით. სოციალურ მოძრაობებს, სოციალური ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ მყარი ინსტიტუციური სტატუსი და უფრო ხშირად მიმართულნი არიან არა არსებული სიტემის შენარჩუნებისაკენ, არამედ ორიენტირებულნი არიან სოციალურ ცვლილებებზე. სოციალური ორგანიზაციისაგან განსხვავდებით, სოციალური მოძრაობები არ წარმოადგენენ ფორმალურ წარმონაქმნებს მკვეთრად გამოხატული წევრობით, ფიქსირებული წესდებით, ნორმებითა და ქცევის წესებით, სოციალური სტატუსით და როლით, არამედ მათ ახასიათებთ სპონტანურობა და არამდგრადობა.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რაც განაპირობებს სოციალური მოძრაობების წარმოშობას, სოციალური დეზორგანიზაციაა, ზოგჯერ კი ქაოსი. ასეთ პირობებში ინდივიდები კარგავენ ჩვეულ ღირებულებით ორიენტირებს, იდენტიფიკაციის ტრადიციულ საშუალებებს, მზარდი უკმაყოფილება ადამიანებს პროტესტისაკენ უბიძგებს. სოციალური მოძრაობა ხშირად კრიზისული ეპოქების დროს წარმოიშობა.

თანამედროვე მკვლევრები კოენი და არატო საუბრობენ სამოქალაქო საზოგადოებისა და ახალი სოციალური მოძრაობების ურთიერთმიმართების პრობლემაზე. ისინი თვლიან, რომ სოციალური მოძრაობები დინამიკურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ პროცესებში, რომელსაც შეუძლია რეალიზება გაუკეთოს ყველა იმ დადებით ასპექტს, რაც პოტენციურად თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. ტერმინმა „ახალი სოციალური მოძრაობები" ფართო გამოხმაურება პოვა იმ თეორეტიკოსებს შორის, რომლებიც თანაუგრძნობდნენ დასავლეთში 1970-იან წლებში დაწყებულ მოძრაობებს მშვიდობის, ქალთა

უფლებების, გარემოს სისუფთავის, ადგილობრივი ავტონომიისათვის. ახალი სოციალური მოძრაობებისათვის, ხშირ შემთხვევაში მათი წინამორბედებისგან განსხვავებით, დამახასიათებელია რევოლუციურ რადიკალზმზე უარის თქმა.

პოლიტიკური აქტიურობის ახალმა ტალღამ, რომელიც თვალსაჩინო გახდა 1960-70-იანი წლებიდან, პოლიტიკოსთა, ისტორიკოსთა, ჟურნალისტთა ყურადღება მიიიპყრო. ეს იყო სტუდენტთა პროტესტები, ფემინიზმი, მშვიდობის და გარემოს, ცხოველთა უფლებების, ეკოლოგიის დამცველთა მოძრაობები, ბირთვული ენერგიის წინააღმდეგ პროტესტი. როგორც მკვლევრები ამტკიცებენ, ახალი სოციალური მოძრაობები დაკავშირებულია პოსტინდუსტრიული ეკონომიკის გაძლიერებასთან. მათ ინდუსტრიული ეკონომიკის სოციალური მოძრაობებისგან განასხვავებთ მთელი რიგი ნიშნები. მთავარი განსხვავება მათ მიზნებში მდგომარეობს. ახალი მოძრაობები ფოკუსირდებიან არა მატერიალისტური ხასიათის საკითხებზე, როგორიცაა ეკონომიკური კეთილდღეობა, არამედ ადამიანის უფლებები, პაციფისტური მოძრაობები. ისინი იმის ნაცვლად, რომ სპეციფიკური ცვლილებები მიიღონ საჯარო პოლიტიკაში, მიისწრაფვიან სოციალური ცვლილებების განხორციელებისაკენ იდენტურობაში, ცხოვრების წესსა და კულტურაში. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები. როგორც სოციალური მოძრაობების თეორეტიკოსი პარკინი ამტკიცებს, ძველი და ახალი მოძრაობები განსხვავდებიან მთავარი აქტორებით. ახალი მოძრაობის მხარდამჭერები და მონაწილეები არ არიან დაბალი კლასიდან, როგორც ეს ახასიათებდათ ძველი ტიპის მოძრაობებს, არამედ მათი მთავარი დასაყრდენი ახალი საშუალო კლასია. ზეწოლის ჯგუფებისაგან განსხვავებით, რომელთაც ახასიათებთ ფორმალური ორგანიზაციულობა და წევრობა, ისინი შედგებიან არაფორმალური, თავისუფლად ორგანიზებული მხარდამჭერთა სო-

ციალური ქსელებისაგან. პოლ ბირნი ახალ სოციალურ მოძრაობას ახასიათებს, როგორც შედარებით "არაორგანიზებულს".

ახალი სოციალური მოძრაობები ძველისგან განსხვავებით, კონცენტრირდებიან სოციალურ მობილიზაციის წარმოქმნაზე კულტურული ინოვაციების, ცხოვრების ახალი სტილის განვითარების და იდენტურობის ტრანსფორმაციის მეშვეობით. „ახალი პოლიტიკა", როგორც ჰაბერმასი აღნიშნავს, მიზნად ისახავს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ინდივიდუალურ თვითრეალიზაციას, ადამიანის უფლებების უფრო სრულყოფილ დაცვას. „ძველი პოლიტიკის" მიზანს კი წარმოადგენდა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოება. ახალი სოციალური მოძრაობები წინა პლანზე აყენებენ პოსტმატერიალური ღირებულებების როლს თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში.

ახალი სოციალური მოძრაობების მრავალი ანალიტიკოსისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მოძრაობების ფორმირების პროცესის გაგება სოციალური სტრუქტურის ანალიზის მეშვეობით, რომელიც განაპირობებდა სოციალური მოძრაობების მამოძრავებელი იდეოლოგიისა და პრობლემების აღმოცენებას. ახალი სოციალური მოძრაობები განთავსებულია სამოქალაქო საზოგადოების სფეროში ან კულტურულ სფეროში, რომელიც კოლექტიური მოქმედების მთავარი არენაა. ახალი სოციალური მოძრაობები ორიენტირებულნი არიან ერთ კონკრეტულ საკითხსა თუ თემაზე, ან საკითხთა შეზღუდულ რაოდენობაზე, რომელიც დაკავშირებულია ერთ ფართო თემასთან, როგორიცაა მშვიდობა, გარემო და ა. შ. ისინი ეწინააღმდეგებიან ინსტიტუციურ დონეზე გაერთიანებას. ახალი სოციალური მოძრაობები ხშირად გამოხატავენ მარგინალური ან საზოგადოებიდან განდევნილი ჯგუფების ინტერესებს. ისინი გამოირჩევიან ტოლერანტო-

ბის მაღალი ხარისხით პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ სფეროში, ვინაიდან აერთიანებენ მოსახლეობის ფართო ფენებს.

კოენი და არატო აღნიშნავენ, რომ სოციალური ტერიტორია, რომლისთვისაც იბრძვიან სოციალური მოძრაობები და რომელიც არ წარმოადგენს არც სახელმწიფოს და არც საბაზრო მექანიზმს, არის სამოქალაქო საზოგადოება. როგორც სოციალური მოძრაობები, ასევე სამოქალაქო საზოგადოება, მოითხოვენ სახელმწიფოსაგან გარკვეულ ავტონომიურობას, რათა იარსებონ. ტოტალიტარულმა სახელმწიფომ კი შესაძლოა გაანადგუროს ისინი. სოციალური მოძრაობა გულისხმობს კონფრონტაციას სოციალურ, სამოქალაქო მოწინააღმდეგეებს შორის, სამოქალაქო საზოგადოება კი გაგებულია, როგორც ამ ბრძოლის სფერო, საჯარო მოედანი. ის თავის თავში მოიცავს სოციალურ სივრცეს, რომელშიც ხდება ნორმების, იდენტურობის და ინსტიტუტების წარმოქმნა და მიმდინარეობს ძალაუფლებისა და წინააღმდეგობის სოციალური ურთიერთობები.

ტურენი ამტკიცებს, რომ გაძლიერებული სოციალური თვითრეფლექსაცია დაკავშირებულია სამოქალაქო საზოგადოების და საჯარო სფეროს გაფართოებასთან. სამოქალაქო საზოგადოების გაფართოების იდეა თავის მხრივ უკავშირდება ახალ მოძრაობებს, რომლებიც იცავენ სოციალური მოქმედებების გაზრდილ დიაპაზონს. ტურენი სამოქალაქო და საჯარო სფეროს გაფართოებას ხსნის იმით, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ბურჟუაზიულისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი სფერო ვრცელდება ადამიანური გამოცდილების ყველა სფეროზე. მთავარი პოლიტიკური პრობლემები დღესდღეობით უშუალოდ უკავშირდება კერძო ცხოვრებას. დისტანცია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის იზრდება, ამავე დროს კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის დაყოფა ქრება.

თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს ღირებულებების კონფლიქტი. ტურენი აღნიშნავს, რომ თანამედროვე კონფლიქტი, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სოციალური მოძრაობების სახით, არ უნდა ისახავდეს მიზნად მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების დაცვას და ავტონომიას სახელმწიფოს წინააღმდეგ. კოენი და არატო მიუთითებენ, რომ სოციალურმა მოძრაობებმა უნდა დაიცვან სამოქალაქო საზოგადოების ის ინსტიტუტები, რომლებიც რაიმე დისკრიმინაციას განიცდიან.

პოსტინდუსტრიალური საზოგადოება, რომელმაც წარმოშვა სოციალური მოძრაობის ახალი ტიპი, ხასიათდება ხელისუფლების ახალი ცენტრებით, ძალაუფლების ახალი ფორმებით, ინვესტიციების ახალი საშუალებებით და „თვითრეფლექსაციის„ ახალი კულტურული მოდელით. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას შეუძლია თვითონ აწარმოოს საკუთარი ცოდნა, ნორმატიული სახელმძღვანელო პრინციპები და სოციოკულტურული ფორმები. ახალი სოციალური მოძრაოებები უფრო მეტად კონცენტრირებულნი არიან ყოველდღიური ცხოვრების კულტურულ და ნორმატიულ განზომილებაზე, ვიდრე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებზე. ისინი მოითხოვენ, რომ მოქალაქეებს თავისუფლად შეეძლოთ, აირჩიონ საკუთარი ცხოვრების წესი და იდენტურობა.

თანამედროვე კოლექტიური მოქმედების ფორმები ახალია, ვინაიდან პოსტინდუსტრიული საზოგადოება კოლექტიური მოქმედების ახალ ფორმებს წარმოშობს. პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მზარდი საშუალო კლასი, რომლის წარმომადგენლებიც დასაქმებული არიან საჯარო და კერძო სექტორში. ბევრი მათგანი მუშაობდა კულტურულ, მედია და ცოდნის ინდუსტრიებში.

თანამედროვე სოციალური მოძრაობების შესასწავლად დომინირებს ორი თეორიული პარადიგმა: პირველი ევროპულია - ახალი სოციალური მოძრაობების თეორია და მეორე ჩრდილო ამერიკულია - რესურსების მობილიზაციის პარადიგმა. ორივე თეორია ცდილობს ახსნას პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში თანამედროვე მოძრაობების წარმოშობა და მნიშვნელობა. რესურსების მობილიზაციის თეორეტიკოსების შეხედულებით, მოძრაობის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ მისი მონაწილეები მიიზიდონ სხვადასხვა რესურსები - ფული, მასმედიაზე ხელმისაწვდომობა და ა.შ. მობილიზება გაუკეთონ ადამიანებს და დაამყარონ ალიანსები. მოძრაობა ჩნდება კოლექტიური მოქმედებისათვის განკუთვნილ რესურსებში, ორგანიზაციასა და შესაძლებლობებში ცვლილებების გამო. კოლექტიური მოქმედება დაკავშირებულია ჯგუფური ინტერესების რაციონალურ განხორციელებასთან. ახალი სოციალური მოძრაობების თეორია ხაზს უსვამს ამ მოძრაობების კულტურულ ბუნებას. ამ თეორიის თანახმად, ახალი სოციალური მოძრაობები არის ბრძოლა ახალი კოლექტიური იდენტობის წარმოქმნისა და მნიშვნელობის წარმოებაზე კონტროლის მოპოვებისათვის. ის აქცენტს აკეთებს სოციალური მოძრაობების გამოხატვით ასპექტებზე და მათ ათავსებს სამოქალაქო საზოგადოების სივრცეში სახელმწიფოს წინააღმდეგ. ხოლო რესურსების მობილიზაციის თეორია აქცენტს აკეთებს ახალი მოძრაობების პოლიტიკურ ბუნებაზე და მათ ინტერპრეტირებას აკეთებს, როგორც კონფლიქტზე პოლიტიკურ ბაზარზე საქონლის გადანაწილებისათვის. ის ასევე ხაზს უსვამს ახალი და ძველი კოლექტიური აქტორების უწყვეტობას.

რესურსების მობილიზაციის თეორია ფოკუსირდება მოქმედების სტრატეგიულ ინსტრუმენტულ ასპექტებზე და იმავდროულად სოციალურ მოძრაობას ათავსებს სამოქალა-

ქო საზოგადოების და სახელმწიფოს დონეზე. რესურსები მუდმივად იწარმოება, გადაეცემა და იკარგება. სოციალური კონფლიქტი ჩნდება არსებული რესურსების გადანაწილების და ახალი რესურების შექმნისათვის ბრძოლის გამო. რესურსები შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ხასიათის. მობილიზაცია გულისხმობს პროცესს, როდესაც ჯგუფი აგროვებს რესურსებს და ათავსებს მათ კოლექტიური კონტროლის ქვეშ ჯგუფური ინტერესების რეალიზაციისათვის. ამ თეორიის თანახმად, მობილიზაციის პროცესს განაპირობებს ოთხი ფაქტორი: ორგანიზაცია, ლიდერობა, პოლიტიკური შესაძლებლობა და პოლიტიკური ინსტიტუტების ბუნება.

სოციალური მ̣ოძრაობებს ახასიათებთ გლობალიზების ტენდენცია. ისინი, როგორც წესი, სცილდებიან ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს და აერთიანებენ სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს, რომელთაც აწუხებთ ანალოგიური პრობლემები. თუმცა სოციალური მოძრაობა შესაძლოა ატარებდეს მხოლოდ ლოკალურ ხასიათს და გავლენას ახდენდეს ადგილობრივ დონეზე, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი იყოს ზოგადად სოციალური მოძრაოებების შესწავლის თვალსაზრისითაც. მაგალითად, ტურენი პოლონურ მოძრაობა „სოლიდარობას" უწოდებს წარმატებულ სოციალურ მოძრაობას, მიუხედავად იმისა, რომ ის არის ადგილობრივი და არა საერთაშორისო. მაგრამ უფრო ხშირად სოციალურ მოძრაობებს გლობალურ კონტექსტში განიხილავენ. რობინ კოენი და პოლ კენედი ნაშრომში „გლობალური სოციოლოგია" საუბარობენ სხვადასხვა მიზეზების შესახებ, რომლებიც სოციალური მოძრაობების ტრანსნაციონალურ ხასიათს განაპირობებენ. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, უკვე 1980-იანი წლებიდან დასავლური სოციალური მოძრაობების მხარდამჭერებმა გააცნობიერეს, რომ მათი ინტერესები და ალტერ-

ნატივები, რისთვისაც იბრძოდნენ საკუთარი საზოგადოებების კონტექსტში, სინამდვილეში მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული უფრო ფართო გლობალურ სტუქტურებთან და პრობლემებთან. ბევრ საკითხს, რომელსაც წინააღმდეგობას უწევენ სოციალური მოძრაობები ტრანსსასაზღვრო ხასიათი გააჩნიათ. ეს განსაკუთრებით ნათელია ეკოლოგიის სფეროში. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს არ შეუძლია დაიცვას მოქალაქეები გარესამყაროს საზიანო მოქმედებისაგან, როგორიცაა გლობალური დათბობა, ოზონის შემცირება, მჟავური წვიმა, ჰაერის დაბინძურება. ეს პროცესები საზღვრებით არ იზღუდება. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ, კომუნიკაციის გლობალურმა ქსელებმა და კულტურის გაზიარებამ მთელს მსოფლიოში განაპირობა ადამიანების სურვილი ორგანიზებულიყვნენ ტრანსნაციონალურ საფუძველზე და ჰქონოდათ ტექნოლოგიური იარაღი - ფაქსი, ინტერნეტი, ტელეფონი და ა.შ. ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ ღარიბ, ხშირ შემთხვევაში ავტორიტარული რეჟიმების პირობებში, სჭირდებათ ტრანსნაციონალური სოციალური მოძრაობები და ცდილობენ მათთან დაკავშირებას.

ახალი სოციალური მოძრაობები კულტურას განიხილავენ, როგორც პროტესტის არენას და საშუალებას. როგორც არენა, ის გულისხმობს პოლიტიკურ სფეროში ჩვეულებრივი ინსტრუმენტული ბრძოლიდან გადასვლას კულტურულ სფეროში მნიშვნელობების, სიმბოლოების, იდენტობის შეჯიბრში. როგორც საშუალებები, ის გულისხმობს, რომ აქტივისტები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი მატერიალური რესურსების შეგროვებით და უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი გამოხატვის, იდენტობაზე ორიენტირებული მოქმედებებისათვის ხელი შეწყობით.

მკვლევართა დიდი ნაწილის მტკიცებით, უკანასკნელ პერიოდში ახალი სოციალური მოძრაობების გავლენა იზ-

რდება, თუმცა მათი ქმედებები კვლავ რჩება, უმრავლეს შემთხვევებში, სპონტანური და არაფორმალური, ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონით. ამავე დროს შესამჩნევია ფორმალურ პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და სოციალურ მოძრაობებს შორის სტაბილური ინტერაქციის ნიშნები.

გამოყენებული ლიტერატურა :

1.Global Sociology Robin Cohen , Paul Kennedy 2000

2.Buechler, S, M. (1995) 'New Social Movement Theories' in The ciological Quarterly, 36 (3):

3.Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. – М.: Издательство «Весь Мир», 2003

თავი VI. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

1. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მიმართულებები საქართველოში

თანამედროვე პირობებში სამოქალაქო საზოგადოების იდეა, რომელიც ეფუძნება პოლიტიკურ პლურალიზმს, კონკურენტუნარიან გარემოში არსებული საზოგადოებრივი ჯგუფების პარტნიორობას, ადამიანთა ინდივიდუალურ თავისუფლებას, ხშირად ითვლება დემოკრატიის შემავსებელ ძალად. როგორც მკვლევარები აღიარებენ, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, დემოკრატიული ღირებულებები გადაიქცევა დამკვიდრებულ და გაზიარებულ წესებად და თითქმის აღარ არსებობს სახელმწიფოს ავტორიტარიზმისაკენ გადახრის საფრთხე. დემოკრატიული რეჟიმის პირობებში მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება „უკუკავშირი", როდესაც ცალკეული ინდივიდები და მოქალაქეთა თავისუფალი ასოციაციები, რომლებსაც სახელმწიფოსაგან ავტონომიურობა გააჩნიათ, შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ და გააკონტროლონ ხელისუფლება. ხოლო არადემოკრატიულ საზოგადოებებში წარმოქმნილი კერძო საზოგადოებრივი ინიციატივები და ჯგუფები, ხელს უწყობენ სისტემის დემოკრატიზებას.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება განსაკუთრებით აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, კომუნისტური რეჟიმის რღვევის შემდეგ, როდესაც ერთდროულად მრავალი ქვეყანა გადიოდა დემოკრატიზაციის სხვადასხვა ეტაპებს. საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები დაინტერესდნენ ამ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობით, ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოება გა-

ნიხილებოდა, როგორც დემოკრატიზაციის პროცესის წარმატების ინდიკატორი.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე საუბარი აქტუალური (და ამასთან პოპულარულიც) გახდა საბჭოთა სისტემის რღვევის პერიოდიდან და იგი თანმდევ მოვლენად იქცა არა მარტო ქართული, არამედ მთლიანად პოსტკომუნისტური საზოგადოებისათვის. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბების დასაწყისს შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მე-19 საუკუნიდან. ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის პირობებში მათ არ შეეძლოთ მიმდინარე პროცესებზე ფუნდამენტური გავლენის მოხდენა, მიუხედავად ამისა, მაინც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, ძირითადად, მასების გათვითცნობიერების საქმეში.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას ბიძგი მისცეს „თერგდალეულებმა", რუსეთში განათლება მიღებულმა ქართველმა ახალგაზრდებმა. პირველი სამოქალაქო ორგანიზაციები მეტწილად ორიენტირებულნი იყვნენ კულტურულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ქმედით ორგანიზაციად შეიძლება დავასახელოთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". მისი ღვაწლის აღსანიშნავად უნდა ითქვას, რომ მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს „წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიაში".(1) არსებობდნენ ასევე სხვადასხვა საქველმოქმედო, პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ორგანიზაციები. ამ პერიოდში ჩნდება პრესაც, რომელიც გახდა საზოგადოებაში არსებული საჭირბოროტო საკითხების განხილვის ერთგვარი ფორუმი. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეს პერიოდი 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობით მთავრდება.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სამოქალაქო აქტივობას გააჩნდა მობილიზაციური ხასიათი და წარმოადგენდა მმართველი რეჟიმისადმი გამოვლენილ მხარდაჭერას. ამის მაგალითია მწერალთა, კომპოზიტორთა და სხვა კავშირები, უმაღლესი საწავლებლები, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიის მხარდაჭერის ფუნქციას ასრულებდნენ. ამასთან უნდა ითქვას, რომ სისტემის მოწინააღმდეგეთა მოძრაობები სწორედ ამგვარ კავშირების წიაღში აღმოცენდა. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მიხეილ გორბაჩოვის „პერესტროიკისა და გლასნოსტის" პოლიტიკის შედეგად საქართველოში წარმოიქმნა ავტონომიური დაჯგუფებები, რომელთა აქტივობა და იდეოლოგიური ორიენტირები ემყარებოდა ანტიკომუნისტურ და ნაციონალისტურ აზროვნებას. პოსტკომუნისტური ორგანიზაციების მთავარი დამახასიათებელი ტენდენცია იყო ნაციონალისტური იდეების პრიორიტეტულობა ადამიანის უფლებებთან მიმართებაში. ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოების იდეების მხოლოდ ზოგადი დეკლარირება ხდებოდა.

1988-1989 წლებში წარმოქმნილი ორგანიზაციები ძირითადად პოლიტიკური საქმიანობით იყვნენ დაკავებული, არ არსებობდა მკვეთრი ზღვარი პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის. დასავლეთი დაინტერესებული იყო არანაციონალისტურად განწყობილი ჯგუფების გააქტიურებით, ამიტომ დასაწყისში უცხოური დახმარება მიმართული იყო გარემოს დაცვითი ორგანიზაციების დახმარებისკენ. „მწვანეთა მოძრაობამ„, რომელიც რუსთაველის საზოგადოების ფარგლებში ჩამოყალიბდა, ბიძგი მისცა ქვეყანაში გარემოსდაცვითი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით მოქმედი ორგანიზაციების გააქტიურებას.

ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება დაიწყო 1992 წლიდან, როდესაც საქართველომ დასავლუ-

რი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის კურსი აიღო. ქვეყანაში წარმოიქმნა დასავლურ ლიბერალური იდეების დამცველი მოქალაქეთა გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც როგორც გ. ნოდია აღნიშნავს „სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ძირითად ფორმად იქცნენ".(2)

სამოქალაქო ინსტიტუტების წარმოშობის მასტიმულირებებელი ძალა დასავლური ფონდები და ორგანიზაციები იყო. საერთაშორისო დონორები კონცენტრირებულნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაზე, როგორც დემოკრატიიზაციის აუცილებელ ხელშემწყობ აქტორზე. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მესამე სექტორი საქართველოში, უმთავრესად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაწეული დახმარებებით არსებობდა. თუმცა, სავარაუდოდ, სამოქალაქო აქტივობა საქართველოში უცხოური ფონდების ფინანსური დახმარების გარეშეც იარსებებდა, მაგრამ განსხვავებული ფორმით. უცხოელ მკვლევართა შეფასებით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი განვითარდა „არა ქვემოდან, არამედ ზემოდან"(3) შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტივობა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, მიმართული იყო არა ფართო პუბლიკის ინტერესებზე, არამედ დონორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. თუმცა ბოლო პერიოდში, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები აცხადებენ, დონორებმა, „ყურადღება სახელმწიფოს დახმარებაზე გადაიტანეს და სამოქალაქო სექტორი დაივიწყეს."(4)

2003 წლის შემდეგ მართლაც გაძლიერებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფონზე სამოქალაქო სექტორი ნაკლები ქმედითუნარიანობით გამოირჩევა. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო დონორების მხრიდან ფინანსური

რი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის კურსი აიღო. ქვეყანაში წარმოიქმნა დასავლურ ლიბერალური იდეების დამცველი მოქალაქეთა გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც როგორც გ. ნოდია აღნიშნავს „სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ძირითად ფორმად იქცნენ".(2)

სამოქალაქო ინსტიტუტების წარმოშობის მასტიმულირებებელი ძალა დასავლური ფონდები და ორგანიზაციები იყო. საერთაშორისო დონორები კონცენტრირებულნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაზე, როგორც დემოკრატიიზაციის აუცილებელ ხელშემწყობ აქტორზე. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მესამე სექტორი საქართველოში, უმთავრესად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაწეული დახმარებებით არსებობდა. თუმცა, სავარაუდოდ, სამოქალაქო აქტივობა საქართველოში უცხოური ფონდების ფინანსური დახმარების გარეშეც იარსებებდა, მაგრამ განსხვავებული ფორმით. უცხოელ მკვლევართა შეფასებით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი განვითარდა „არა ქვემოდან, არამედ ზემოდან"(3) შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტივობა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, მიმართული იყო არა ფართო პუბლიკის ინტერესებზე, არამედ დონორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. თუმცა ბოლო პერიოდში, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები აცხადებენ, დონორებმა, „ყურადღება სახელმწიფოს დახმარებაზე გადაიტანეს და სამოქალაქო სექტორი დაივიწყეს."(4)

2003 წლის შემდეგ მართლაც გაძლიერებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფონზე სამოქალაქო სექტორი ნაკლები ქმედითუნარიანობით გამოირჩევა. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო დონორების მხრიდან ფინანსური

სახსრების სახელმწიფო რეფორმებზე გადატანა, არამედ დიდი რაოდენობით კვალიფიციური კადრების გადინება სახელმწიფო სექტორში. როგორც მ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში წარმოადგენენ „მცირერიცხოვან ფუნქციონერთ ჯგუფს", (5) შესაბამისად მათი რაოდენობის დაახლოებით ნახევრის გადასვლამ პოლიტიკაში სამოქალაქო სექტორის განვითარების დინამიკაზე სერიოზული გავლენა იქონია.

თანამედროვე პირობებშიც, არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობისთვის დაფინანსების მთავარი წყარო საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები რჩება. სტრატეგიული კვლევების ცენტრის გამოკვლევით 2010 წელს ჯამური ადგილობრივი დაფინანსება (საწევრო, შემოწირულობა კერძო პირისგან და ბიზნესიდან, სახელმწიფო შეკვეთა, საკუთარი შემოსავალი) ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლებში საშუალოდ 25 % შეადგენს, რაც ფინანსური სტაბილურობისა დადაცულობისთვის არც თუ ისე მაღალი მაჩვენებელია. (6) თუმცა აღნიშნული თვალსაზრისით ბოლო პერიოდისათვის პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით "სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის" დაფუძნება, რომლის ძირითადი მიზანია ახალი საინიციატივო ჯგუფების, სათემო საზოგადოებებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში. (7)

თუ გადავხედათ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ისტორიას, შეიძლება ითქვას, რომ 1992 წლიდან მოყოლებული, როდესაც გაჩნდა პირველი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში, სექტორი ინსტიტუციური თავლსაზრისით მნიშვნელოვნად განვითარდა. როგორც გია ნოდია 2005 წლის კვლევის დასკვნით ნაწილში

აღნიშნავს, „ჩამოყალიბდნენ ორგანიზაციები, რომლებიც უახლოვდებიან მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტებს და აქვთ შინაგანი რესურსები მდგრადი განვითარებისათვის", (8) მაგრამ ინსტიტუციურმა და ორგანიზაციულმა განვითარებამ თავისთავად ვერ განსაზღვრა საზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენის მაღალი ხარისხი. ისინი უდავოდ ასრულებენ გარკვეულ ფუნქციებს, რომელიც პოზიტიურად აისახება ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე. სამოქალაქო ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, პროტესტს გამოთქვამენ სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ღონისძიებების მისამართით ან პირიქით თანამშრომობენ სახელწიფო ინსტიტუტებთან საკანონმდებლო ინიციტივების წამოყენების და განხორციელების თვალსაზრისით.

არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ არჩევნების მონიტორინგს, ამჟამად პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მუშაობენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე. არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უწყობენ სამოქალაქო განათლების დამკვიდრებას, ადამიანის უფლებების დაცვას, დემოკრატიული ღირებულებებისა და პრაქტიკის გავრცელებას. სამოქალაქო სექტორის მიერ აღნიშნული ფუნქციების შეთავსებას უაღრესად პოზიტიური მნიშვნელობა აქვს საქართველოში დემოკრატიული პროცესების გაღრმავებისა და დემოკრატიის კონსოლიდაციის თვალსაზრისით, მაგრამ „მათ გააჩნიათ შეზღუდული ხასიათი, რასაც განაპირობებს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სივრცის სივიწროვე, მისი კარჩაკეტილობა". (9)

სამოქალაქო ორგანიზაცებში ძირითადად თავმოყრილნი არიან ინტელექტულები და კულტურის სფეროს ლიდერები, რაც საბოლოო ჯამში ქმნის ამ ორგანიზაციების ელიტურ და არა მასობრივ ხასიათს. სამოქალაქო საზოგა-

დოება, რომელიც ტრადიციულად ეყრდნობა ძლიერ საშუალო ფენას, საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ვერ გარდაიქმნა ღია, ჭეშმარიტად სამოქალაქო სტრუქტურებად. იგი ასევე ხშირად დასაქმების ალტერნატიული საშუალებაა გარკვეული სფეროს სპეციალისტებისათვის.

ნებაყოფლობით ორგანიზაციებში წევრობის დაბალი დონე დამახასიათებელია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, მთლიანად პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის. ჰოვარდი ამის მიზეზად ასახელებს შემდეგ ფაქტორებს: ნდობის ნაკლებობა, პოსტკომუნისტური იმედგაცრუება და კერძო, მეგობრული კავშირების პრიორიტეტი სამოქალაქო ურთიერთობებთან შედარებით. **(10)**

არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანებული მოქალაქეების ძირითადი ინტერესი ხშირად საკუთარი მუშაობისთვის ანაზღაურების მიღება, ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული წევრთა დიდი რაოდენობის ჩართვით ორგანიზაციის საქმიანობაში. სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის 2010 წლის მონაცემებით „მოხალისეები არ ყავს თბილისის ორგანიზაციების თითქმის ნახევარს და რეგიონის ორგანიზაციების მესამედზე მეტს".**(11)** თუმცა როგორც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოქალაქეების მხრიდან დევნილებისადმი აქტიურმა დახმარებამ აჩვენა ქვეყანაში არსებობს მოხალისეობის არც თუ დაბალი პოტენციალი.

ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე საქართველოში ზეგავლენას ახდენს ასევე მოქალაქეობრივი კულტურის დაბალი დონე. საზოგადოებაში ჭარბობს მორჩილებითი პოლიტიკური კულტურის ელემენტები. მოქალაქეებს ნაკლებად აქვთ იმის შეგრძნება, რომ შეუძლიათ ხელისუფლების საქმიანობაზე და, ზოგადად, პოლიტი-

კურ პროცესებზე გავლენის მოხდენა. საქართველოში უფრო ადვილია მოქალაქეთა მობილიზება ერთჯერადი აქტივობის განსახორციელებლად, მიტინგებზე გამოსვლა რადიკალური მოთხოვნებით, როგორიცაა მაგალითად ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლა. მაგრამ ამავე დროს მოქალაქეებს უჭირთ პასუხისმგებლობის აღება, როცა საქმე ეხება პოლიტიკურ სისტემაზე ზემოქმედების განხორციელებას ლეგალური დემოკრატიული საშუალებებით, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობა, ასოციაციების შექმნა და გაერთიანება, დემონსტრაციები კონკრეტული რეფორმის მოთხოვნით, რომელიმე მოვლენის გასაპროტესტებლად და ა.შ.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული სტრუქტურული სირთულეებისა, სამოქალაქო საზოგადოებამ საქართველოში განახორციელა ბევრი დემოკრატიული წამოწყება, ასევე ცალკეული სამიზნე ჯგუფების მიმართ სასარგებლო მომსახურება. რაც შეეხება სამოქალაქო სექტორის შემდგომი განვითარების ტენდენციებს, ეს პროცესი უკავშირდება პოლიტიკური და ეკონომიკური საზოგადოების განვითარებას ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, ცხოვრების სტანდარტების რეალური გაუმჯობესება შექმნის პირობებს იმისათვის, რომ მოქალაქეებს ქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი დრო და ენეგია მიუძღვნან არაკომერციულ ორგანიზაციებში საქმიანობას, გადაიხადონ საწევრო გადასახადი. დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება შესაბამისი საკანონმდებლო წესრიგის შექმნით ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ოპტიმალურ ფუნქციონირებას, უფრო ფართო საზოგადოებრივ მონაწილეობაზე დაფუძნებული სამოქალაქო ინსტიტუტების წაროშობას. თავის მხრივ სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება და მისი გავლენის ზრდა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საბაზრო ეკონომიკისა და პოლიტიკურ ინსტიტუციური მუშაობის წარმატების ხარისხს.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა:

1. პ. არატიანი, საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები, თბილისი, "მეცნიერება", 1986, გვ.194

2. გ. ნოდია, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. სტრატეგიის განაცხადი. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2005 გვ.

3. . Civil Society and the Rose Revolution in Georgia, Publication of the International centre on Conflict and Negotiation, edited by George Khutsishvili, Copyright © 2008 by ICCN, page 77

4. ქ. ხუციშვილი "ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო", აღმასრულებელი დირექტორი, „არსებობს თუ არა დღეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება?„ 4 ოქტომბერი 2010. სტატია იხილეთ საიტზე: http://www.liberali.ge/node/2995

5. მ. მუსხელიშვილი, „სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი„, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, გვ.67

6. საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში - განვითარების დინამიკა და ტენდენციები, კვლევის ანგარიში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი 2010, გვ.69

7.ინფორმაციის წყარო: http://www.cidf.ge

8. გ. ნოდია, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. სტრატეგიის განაცხადი. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2005 გვ. 10

9. მ.წურწუმია, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისი 2006. გვ.83

11. Howard Marc Morje, The weakness of Civil Society in Post-Communist Europe, Cambridge University Press. 2003

12. საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში - განვითარების დინამიკა და ტენდენციები, კვლევის ანგარიში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი 2010, გვ.52

2. არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში მთავარ როლს არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ. მათი ჩამოყალიბება დაიწყო ქვეყნის ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლის კონტექსტში, ვინაიდან NGO-ები (ინგლისური განსაზღვრების Non-Govermental Organization -ის აბრევიატურა) დასავლური ტრადიციით მოიაზრებიან, როგორც დემოკრატიის აუცილებელი ხელშემწყობი აქტორები. თანამედროვე ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება დაიწყო 1992-93 წლებიდან. 1994 წლის კანონი საქართველოში არ იცნობდა ცნებებს — „არასამთავრობო ორგანიზაცია", „არასამეწარმეო ორგანიზაცია". უფრო მეტად გავრცელებული იყო „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება". 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ „არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ჯგუფის — საქართველოს ეკონომიკის რეფორმებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ბიზნესსამართლის ცენტრი 1996 წლიდან ჩაერთო ამ პროცესში), საქართველოს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საქართველოს კონ-სტიტუციის დაცვის ლიგის და ISAR-საქართველოს (ფონდ „ჰორიზონტის" წინამორბედი ორგანიზაცია) - საკონსტიტუ-ციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების საპარლამენტო კომიტეტებ-თან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად დაიწყო ქვეყა-ნაში საზოგადოებრივი სექტორის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პირველი ეტაპი.

საქართველოში კერძო ინიციატივის საფუძველზე არა-კომერციული მიზნებით შექმნილი პირველი გაერთიანებები იყო კავკასიურ კლუბი, მწვანეთა მოძრაობა, დასი — დემოკ-რატიული არჩევნები საქართველოში, თბილისის პოლიტიკუ-რი კლუბი და სხვ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებამდე სამოქალაქო და პოლიტიკური ორგანიზაციები მკვეთრად გამიჯნული არ იყო. 1992 წლიდან კი გამოკვეთი-ლად არაპოლიტიკურ, არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვმა თანდათანობით დაიწყო ზრდა. საქართველოში არ-სებული სოციალ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში არა-სამთავრობო ორგანიზაციები, უმთავრესად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაწეული დახმარებებით არსებობდა. ქართული ფინანსური წყაროები არასამთავრობო სექტორის დახმარებაში თითქმის არ მონაწილეობდა. საქართველოს სა-მოქალაქო სექტორი თავიდანვე დაფუძნდა და განვითარდა უცხოური ფონდების მხარდაჭერით. 1998 წელს გამოცემულ ცნობარში „საქართველოს პოლიტიკური სისტემა", ნათქვა-მია: „მხოლოდ წევრთა ენთუზიაზმით მოქმედი ორგანიზაცი-ები იშვიათია, უმრავლესობა ეძებს და პოულობს ფინანსურ მხარდაჭერას საერთაშორისო ფონდებიდან."

• განსაკუთრებით დიდი წვლილი საქართველოში მესა-მე სექტორის განვითარების საქმეში შეტანილი აქვთ შემდეგ ორგანიზაციებს: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"

- ამერიკელი ფინანსისტის ჯ. სოროსის მიერ დაფინანსებული ქსელის ნაწილი. იგი 1994 წელს დაარსდა თბილისში. ფონდი ბევრი სხვადასხვა მიმართულებით მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის ჩართულია ისეთ საკითხებში, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, მედიის მხარდაჭერა, სოციალური საკითხები. მის მიერ გრანტის გაცემის სპექტრი ძალიან ფართოა, მაგრამ როგორც თავად ინსტიტუტი აცხადებს, მისი ძირითადი მიმართულება განათლებაა.

- აღსანიშნავია „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი„, რომელიც ევრაზიის ფონდის მემკვიდრეა. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მისიაა, პრაქტიკული პროგრამების მხარდაჭერით ხელი შეუწყოს ცვლილებების განხორციელებას სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი არის ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც 2007 წლის ბოლოს შეიქმნა. ევრაზიის ფონდმა მუშაობა ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო. ეს იყო ამერიკული ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ოფისი, რომელიც ვაშინგტონში არის განთავსებული და რომელსაც ჰქონდა თავისი ოფისები ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში ბალტიისპირეთის გარდა.

- ამერიკული ფონდი ISAR-Georgia რომლის ქართული წარმომადგენლობა 1997 წლის ბოლოს გარდაიქმნა ადგილობრივ ფონდად - „ჰორიზონტი“, რომელიც ფინანსდებოდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო - USAID-იდან. ფონდს არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირების თემებზე გამოშვებული აქვს წიგნები, პუბლიკაციები. საერთაშორისო განვითარების ბრიტანული დეპარტამენტი (DFID) - გასცემს გრანტებს სხვადასხვა სფეროში.

- მსოფლიო ბანკი - მისი ძირითადი მიზანია ინფორმაციის შეკრება და გავრცელება.

- ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში - გასცემს გრანტებს ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროებში.
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი - მისი მიზანია ზოგადად დემოკრატიული განვითარება.
- IREX-Georgia - საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს განათლების, დამოუკიდებელი მედიის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამებს. იგი ეხმარება ბევრ ნიჭიერ ადამიანს საზღვარგარეთ განათლების მიღებაში.

საქართველოში სხვადასხვა მიმართულების პროექტებს აფინანსებენ ასევე საქართველოში აკრედიტებული საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

უნდა ითქვას, რომ არასამთავრობო სექტორის მთლიანად უცხოურ ფინანსებზე დამოკიდებულებამ ზეგავლენა მოახდინა მათი მოღვაწეობის სპეციფიკასა და თავისუფლების ხარისხზე. როგორც ცნობილია, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ფონდების მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარადგენენ პროექტებს, რომელიც შემდგომ უნდა დაფინანსდეს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილეობენ არა ზოგადად, საზოგადოებრივი სექტორის მიერ წარმოდგენილი პროექტები, არამედ ისინი რომლებიც აკმაყოფილებენ ფონდის პრიორიტეტებს. შესაბამისად, არასამთავრობო სექტორი, ხშირად, უფრო მეტად ორიენტირებულია ფონდების მოთხოვნებზე, ვიდრე საზოგადოების ინტერესებზე.

უცხოურ ფინანსებზე დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან ხშირად არასამთავრობო სექტორის მიმართ უნდობლობის მიზეზიც ხდება. არის ბრალდებები, რომ ისინი ხელს უწყობენ საქართველოსათვის უცხო და მიუღებელი

ლირებულებების დამკვიდრებას. არსებობენ ორგანიზაციები, რომლებისთვისაც სამოქალაქო აქტივობა გარკვეული ეკონომიკური შემოსავლის მიღების წყაროა. უმუშევრობისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე არასამთავრობო ორგანიზაციებში მოღვაწეობა დასაქმების ალტერნატიულ შესაძლებლობაა.

არასამთავრობო სექტორმა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობის მოკლე ისტორიას ითვლის, განვლო რამდენიმე განსხვავებული ეტაპი. 1992-95 წლებში საქართველოში დარეგისტრირდა რამდენიმე ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია, თუმცა მათი უმრავლესობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, ასრულებდა ერთ ან ორ პროექტს და გრანტის არქონის შემთხვევაში წყვეტდა არსებობას. 90-იანი წლების ბოლომდე სამოქალაქო სექტორი ფაქტიურად არსებობდა იზოლირებულად, ის არ ერეოდა მთავრობის საქმიანობაში, ვერ ახდენდა გავლენას ვერც პოლიტიკური ძალების მოღვაწეობაზე და ვერც საზოგადოების დანარჩენ ნაწილზე. მოსახლეობაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიზნებისა და საქმიანობის შესახებ ცოდნა ძალიან დაბალი იყო, შესაბამისად მოქალაქეები საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას მათ არ უკავშირებდნენ. ამ პერიოდს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენლის დ. ლოსაბერიძე შემდეგნაირად აღწერს: "პოლიტიკური ძალები მოქმედებენ დამოუკიდებლად და ჩვენ სამუშაოს ვასრულებთ მხოლოდ დონორებისათვის. იგივე ტრეინინგები, რომლებიც საზოგადოებისაკენ უნდა იყოს მიმართული, უმეტესწილად დონორებისათვის ეწყობოდა. საქმიანობის პროდუქტი კი საკმაოდ ძნელად ვრცელდებოდა თავად არასამთავრობო ორგანიზაციების წრეშიც კი."

1995 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციებში უკვე გარკვეულწილად ყალიბდება ერთიანი კორპორატიული აზ-

როვნება. მესამე სექტორი ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი სუბიექტი ხდება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალთა ურთიერთქმედების პროცესში. ხელისუფლებასთან ურთიერთობის პროცესში თანამშრომლობა და კონფრონტაცია ერთმანეთს ენაცვლება. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ამ პერიოდში ყველანაირად ცდილობენ თავი აარიდონ პოლიტიკურ პროცესებში უშუალოდ ჩართვას, რომელიმე პოლიტიკური ძალის ღია მხარდაჭერას. მაგრამ ამავე დროს არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი (იგულისხმება რეალურად მოქმედი NGO-ები, რომელიც, გ.ნოდიას შეფასებით, რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების 10-15 % შეადგენდა) აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი ინიციატივით ეწყობა სემინარები, კონფერენციები სხვადასხვა აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე. არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ საკანონმდებლო ინიციატივებს, ამ პერიოდში მათ მოახდინეს რამდენიმე კანონპროექტის ლობირება.

მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დამდეგს დაიწყო ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების მკვეთრი ზრდა. ამ პერიოდიდან მესამე სექტორი უკვე აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში. არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილმა ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირების პოლიტიკა აირჩია. შევარდნაძის ხელისუფლებამ დაკარგა ყოველგვარი მხარდაჭერა მოსახლეობაშიც. ამ შემთხვევაში ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები მოგვევლინნენ პოლიტიკური ოპოზიციის, ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილის გუნდის ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორთა" მოკავშირედ. მთავრობის მხრიდან არასამთავრობო ორაგანიზაციებზე დაიწყო გაძლიერებული შეტევა,

რადგანაც ხელისუფლებამ დაინახა მის წინააღმდეგ მიმართული გარკვეული საფრთხე.

არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან განხორციელებულმა კონკრეტულმა ქმედებებმა, საბოლოო ჯამში, დიდი გავლენა მოახდინეს 2003 წელს განვითარებულ მოვლენებზე. ყველაზე მეტად აქტიურობდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: „თავისუფლების ინსტიტუტი" (რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ორგანიზაცია „კმარასთან"), „სამართლიანი არჩევნები," „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია". მათ მიერ გამოქვეყნებულმა კონკრეტულმა და არგუმენტირებულმა ბრალდებებმა გაზარდეს ოპოზიციის გამარჯვების ლეგიტიმურობის ხარისხი. 2003 წლის არჩევნების შემდგომ პერიოდშიც, ოფიციალური შედეგების სასამართლოში გასაჩივრების დროს, მოსარჩელეები ისევ და ისევ „სამართლიანი არჩევნები" და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" იყო. მათ საარჩევნო ადმინისტრაციის წინააღმდეგ შეიტანეს 150 სარჩელი.

2003 წლის შემდგომ საზოგადოებაში გაჩნდა ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის გარკვეულწილად ერთმანეთთთან გაიგივების შიში, რასაც აძლიერებდა სამოქალაქო სექტორის ცნობილი სახეების სახელისუფლებო ელიტაში გადასვლა. სამოქალაქო სექტორი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ხელისუფლების შეცვლაში, აღმოჩნდა ერთგვარ კრიზისში პოსტრევოლუციურ ეპოქაში. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს ვარაუდი არ გამართლდა. ხელისუფლების გადაწყვეტილება 2004 წლის თებერვალში საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შესახებ სამოქალაქო საზოგადოების მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. ამასთან, უფლებადამცავი ორგანიზაციების მხრიდან გამოთქმული კრიტიკის ფონზე, 2004 წლის 6 ივლისს, გაიმართა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეხვედრა პრეზიდენტ მ. სააკაშვილთან. შეხვედრის ინიციატორი, რომელსაც 30-მდე წამყვანი არა-

სამთავრობო ორგანიზაციისა და ფონდის წარმომადგენელი ესწრებოდა, პრეზიდენტის მხრიდან წამოვიდა. არასამთავრობოთა პრეტენზიები, ძირითადად, ეხებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცედურების არაეფექტურობას და ა.შ.

თანამედროვე პირობებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ძირითად მიმართულებებია: ადამიანის უფლებების დაცვა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, არჩევნების მონიტორინგი, სამოქალაქო განათლება, სოციალური კეთილდღეობა, ქალთა პრობლემატიკა, ინფორმაციის მოგროვება და გავრცელება, კვლევების ჩატარება, ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა. არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად უწევენ სასარგებლო მომსახურებას გარკვეულ სამიზნე ჯგუფებს, როგორიცაა დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები, ახალგაზრდობა, ქალები, საზოგადოების მარგინალური ჯგუფები.

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში ინსტიტუციური თვალსაზრისით, როგორც კვლევები აჩვენებს, მეტნაკლებად სტაბილურად ვითარდება. ამავე დროს განვითარებული და აქტიური ორგანიზაციები საერთო რეგისტრირებული ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენენ. განვითარებული ორგანიზაციების დიდი უმეტესობა თბილისშია თავმოყრილი.

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დაფინანსების მთავარ წყაროდ კვლავ რჩება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და დასავლური ფონდების მიერ დააფუძნებული ქართული ფონდები. ხელისუფლებსათან ურთიერთობა თანამშრომლობა-კონფრონტაციის მონაცვლეობის პრინციპზეა აგებული.

ყველაზე ხშირი ბრალდებები არასამთავრობო სექტორის მიმართ ისაა, რომ ჩაკეტილი ჯგუფები არიან და არ ახდენენ რესურსების ურთიერთგაზიარებას. სამოქალაქო აქ-

ტივობა მათ უმეტესობას ბიზნესად აქვს გადაქცეული. როგორც კვლევები აჩვენებს, ორგანიზაციათა დიდ ნაწილს საერთოდ არ ყავს მოხალისეები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საქართველოში უდავოდ ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, მაგრამ მან ჯერჯერობით ვერ მოიპოვა საკმარისი გავლენა იმისათვის, რომ გახდეს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი აქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.წურწუმია, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისი 2006

2. გ. ნოდია, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. სტრატეგიის განაცხადი. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2005

3. Civil Society and the Rose Revolution in Georgia, Publication of the International centre on Conflict and Negotiation, edited by George Khutsishvili, Copyright © 2008 by ICCN

სავალდებულო ლიტერატურა:

1. "მასმედია თანამედროვე საზოგადოებაში. – ბროშურების სერია " თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები", #7, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 2000

2. 2.მუსხელიშვილი მ. „სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი", თბილისი 2006

3. ნოდია გ. " სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები". სტრატეგიის განაცხადი. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2005

4. პატნემი რობერტ, "როგორ ვამუშაოთ დემოკრატია, სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში", თბილისი, ლოგოს პრესი , 2005

5. პოპერი კ. კიდევ ერთხელ ღია საზოგადოებისა და მისი მტრების შესახებ. — ჟურნალი "ეპოქა", #4, 1998

6. სამოქალაქო საზოგადოება. - ბროშურების სერია "თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი. ცნებები და თეორიები", #6, საზოგადოების კვლევის ცენტრი, თბილისი, 2000

7. „სამოქალაქო საზოგადოება „ვარდების რევოლუციის" შემდეგ: ახალი პერსპექტივები და გამოწვევები. CIPDD, თბილისი, 2004

8. Diamond Larry, Developing Democracy: Toward Consolidation, 199 The John Hopkins University Press p.7-19

9. 10.Civil Society: The Critical History of an Idea. By John Ehrenberg. New York: New York University Press, 1999

10. "Civil society: measurement, evaluation, policy", Anheier, helmut k, Published London: Earthscan 2004

11. "Civil Society in Reforming Communist Regimes: The Logic of Emergence". Marcia A. Weigle; Jim Butterfield. Comparative Politics, Vol. 25:1, 24

12. Conditions of Liberty: Civil Society and Its Rivals by Ernest Gellner (London: Hamish Hamilton, 1994

13. Howard Marc Morje, The weakness of Civil Society in Post-Communist Europe, Cambridge University Press. 2003

14. Keane J. Global Civil Society? — Cambridge, 2003

15. 16.The Third sector: comparative studies of nonprofit organizations / editors, Helmut K. Anheier and Wolfgang Seibel

16. The Structural Transformation of the Public Sphere: Inquiry into a category of Bourgeois Society , Jurgen habermas, Polity Press, 1992

17. Альмонд Г. Верба С. Гражданская культура и стабильность демократии. «Полис», 4, 1992

18. Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. – М.: Издательство «Весь Мир», 2003

19. Токвиль А. Демократия в Америке: Пер. с франц. Предисл. Гарольда Дж. Ласки. — М.: Прогресс, 1992

დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები:

1. "არასამთავრობო სექტორის ფინანსური და ინსტიტუციონალური მდგრადობა განვითარების პერსპექტივები", ჩIPDD, თბილისი, 2004

2. არისტოტელე, "პოლიტიკა", ნაწილი I, თბილისი, 1995

3. გაჩეჩილაძე მ. ხარატიანი ქ. "საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში", მესამე სექტორის ფონდი "ჰორიზონტი", 1999

4. დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში, სადისკუსიო მასალა #7 _ დემოკრატიული საზოგადოების განვითარება საქართველოში, INTERNATIONAL IDEA, 2003

5. დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში, 12 სადისკუსიო მასალის შემაჯამებელი ნარკვევი, INTERNATIONAL IDEA, 2003

6. "ინფორმაციული ველები და მესამე სექტორის საინფორმაციო სტრატეგია", CIPDD, თბილისი, 2003

7. კოლა დომინიკ, პოლიტიკური სოციოლოგია (თარგმანი ფრანგულიდან). თავი X: სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება –თბილისი, 1999. გვ.205-228

8. მაკიაველი ნიკოლო, "მთავარი", იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი, გამომც. "საბჭოთა საქართველო", 1984

9. "მესამე სექტორი და პოლიტიკური პარტიები", CIPDD თბილისი, 2003

10. "მესამე სექტორის განვითარების სტრატეგია ახალ გარემოში", CIPDD, თბილისი, 2004

11. "მესამე სექტორის საზოგადოებრივი იმიჯი", CIPDD, თბილისი, 2003

12. მუსხელიშვილი მ. "დემოკრატია როგორც კომუნიზმი: მეთოდოლოგიური ხარვეზები დემოკრატიის კვლევასა და პრაქტიკულ ინსტიტუციონალიზაციაში". ჟურნ. ეპოქა, #3, 2003

13. მსოფლიო ბანკი
http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TPICS/EXTSCIAL DEVELPMENT/EXTTSCIALCAPITAL/0,,contentMDK:20185164~menuPK:418217~pagePK:148956~pIPK:216618~theSItePK:401015,00.html

14. ჟორჟოლიანი გ. ბერეკაშვილი თ. მუსხელიშვილი მ. დემოკრატიზაცია, "მეცნიერება", თბილისი, 2001

15. სამოქალაქო საზოგადოება. კრებული. - სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 1998

16. საქართველოს პოლიტიკური სისტემა (ცნობარი), CIPDD, თბილისი, 1998

17. წურწუმია მაია, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, თბილისი 2006

18. წურწუმია მაია, "ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში", პიროვნება, კულტურა, საზოგადოება, თბილისი , 2010

19. წურწუმია მაია, სამოქალაქო კულტურა – სტაბილური სამოქალაქო საზოგადოების გარანტი, პოლიტიკის მეცნიერებათა საკითხები, 2008, კრებული I

20. ჰაველი ვაცლავ. ძალა უძალოთა. – მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1995.

21. Anheier H., Themudo N. Organizational Forms of Global Civil Society: Implications of Going Global // Glasius M., Kaldor M., Anheier H. (eds.). Global Civil Society 2002. — Oxford, 2002. .

22. Article xx of the United Nations Charter, from the website www.city.staff.ac.uk/p.willetts/UN/CHARTER.HTM

23. Bernhard Michael and Ekrem Karakoc (2007) Civil Society and Legacies of Dictatorship, World Politics 59

24. Bourdieu, P. The forms of capital. In J. Richardson (Ed.) 1986 Putnam, Robert D. (January 1995).

25. "Bowling Alone: America's Declining Social Capital". *Journal of Democracy* 6 (1): 65–78. http://xroads.virginia.edu/~HYPER/DETOC/assoc/bowling.html.

26. Buechler, S, M. (1995) 'New Social Movement Theories' in The ciological Quarterly, 36 (3):

27. Civil Society, A reader in history, theory and global politics, *edited by John A. Hall* and Frank Trentmann.Great Britain, 2005

28. Civil Society and the Rose Revolution in Georgia, Publication of the International centre on Conflict and Negotiation, edited by George Khutsishvili, Copyright © 2008 by ICCN.

29. Diamond L. "Promoting democracy in the 1990s: actors, instruments, and issues, New York: Carnegie Corporation, Report to the Carnegie Commission on Preventing Deadly Conflict, December 1995

30. Edwards Michael Civil Society, Polity press, 2009

31. Global Civil Society 2001; H. Anheier; M.Glasius; M.Kaldor; Oxford University Press; 2001

32. Global Sociology Robin Cohen , Paul Kennedy 2000

33. J. Fisher (1998, *Nongovernments. NGOs and the Political Development of the Third World*, West Hartford: Kumarian Press

34. J. Linz, A. Stepan. Problems of Democratic Transition and Consolidation. South Europe, South America, and Post-Communist Europe. The Johns Hopkins University Press, 1996

35. Lester salamon and Helmut Anhaier "The Civil Society Sector in Society", vol.34 N.2 jan. Feb. 1997,

36. Mckenna G. The Drama of Democracy, American Government and Politics, Second Edition, DPG, Guilford, Connecticut, 1997

37. Migdal J.S. Strong Societies and Weak states: State-society relations and State Capabilities in the third world. princeton, N.J.: Prinseton university Press, 1998

38. Peter Reddaway, ed.. C'ncensored Russia. Protest and Dissent in the Soviet Union (New York: American Heritage Press. 1972).p. 39]

39. Rose, Richard (1999). "What Does Social Capital Add to Individual Welfare? An Empirical Analysis in Russia", SCI Working Paper No. 15. Washington DC: The World Bank.

40. 1987 „Stories and Totalitarianism", Open Letters, trans. Paul Wilson, P. 337-338

41. Seligman A. B. The Problem of Trust. Prinseton University Press, 1997

42. Social Capital and Civil Society Francis Fukuyama The Institute of Public Policy George Mason University October 1, 1999

43. The Transformation of Global Democracy? Anthony McGrew; Open University Press; 1997;

44. The Rise of Illiberal democracy By Fareed Zakaria, Foreign Affairs, November, 1997

45. The idea of civil society: Evolution and Challenges in the Central and Eastern European Context since 1989. http://users.ox.ac.uk/~oaces/conference/papers/Aspen_Brinton.pdf

46. Арато А. Концепция гражданского общества: восхождение, упадок и воссоздание - и направления для дальнейших исследований. «Полис», 6, 1995

47. Волков в. «Общественность: забытая практика гражданского общества» - Pro et contra: www.carnegie.ru

48. Дарендорф Р. «Дорога к свободе: Демократия и ее проблемы в восточной Европе» // Вопросы философии, №9, 1990.

49. Мачкув Э. Преоброзование Коммунистического тоталитаризма и посткоммунистическая трансформация: Проблемы, концепции, периодизация. – «Полис», 4, 2000

50. Мельвиль А. Ю. Опыт теоретико-методологического синтеза структурного и процедурного подходов к демократическим транзитам. - «Полис», 2, 1998

51. Перегудов С. П. Гражданское общество: трехчленная или одночленная модель. «Полис», 3, 1995

52. Растоу Д. А. Переходы к демократии: попытка динамической модели. - «Полис», 5, 1996

53. Шапиро И. Демократия и гражданское общество. «Полис», 4, 1992

54. Шмиттер Ф. Размышления о гражданском обществе и консолидации демократии. - «Полис», 5, 1996

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-446-9